# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 28 მარტი 2000 №56 (1078) | ფასი 50 თეთრი

## 4 ქარმა უკვე დაუბერა

„დინამო“ უკანონოდ არსებობდა — აცხადებს მერაბ ჟორდანია

## 5 ვინღა დაეწევა მანჩესტერს?

სერ ალექს ფერგიუსონის გუნდმა უახლოესი პრემიერლიგელი მდევარი შვიდი ქულით ჩამოიტოვა

## 6 კობიაშვილმა და გოლცმა ლევერკუზენი დაამუხრუჭეს



ბასლერისა და რეჰაგელის ნაწილობრივი შურისძიება

## 13 შენც პელე, მეც პელე

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

მიხაელ შუმახერის ბრაზილიური ტრიუმფი პელემ დააფასა



# ზაზა ჯანაშია მოსკოვში დარჩა

## ფედერაციის პრეზიდენტი ურჩებს ემუქრება

საქართველოს ნაკრები, ისრაელში გამგზავრებას ჯერ თბილის — სტამბოლ — თელ ავივის რეისით რომ აპირებდა, მერე ერევნის გავლით, ბოლოს კი თბილისიდანვე, დაქირავებული თვითმფრინავით, ისრაელის დედაქალაქს ორშაბათს, დილაუთენია ესტუმრა ჩვეულებრივი, თბილის — თელ ავივის რეისით. ნაკრებს თურმე საქართველოში ერთადერთმა ავიაკომპანია „საქართველოს ავიხაზები — ეარზენამ“ გაუტეხა სიტყვა. როგორც ფეხბურთის ფედერაციაში გვითხრეს, ჩარტერული რეისისთვის ფედერაციას ფული გადახდილი ჰქონდა, ავიაკომპანიაში კვირადილით რომ უთქვამთ, სანავიგაციო სისტემები არ გვიმუშავებს და თელ-ავივში ვერ გავფრინდებითო.

ფედერაციის მუშაკებსაც რა გზა ჰქონდათ, შეყოვნდნენ, აქედან გასამგზავრებელ ნაკრების ყველა წევრს თავი სასწრაფოდ მოუყარეს და... ჩვენებურები ისრაელს გამთენიისას ჩაფრინდნენ, თელ ავივიდან პირდაპირ აშქელონს მიაშურეს, სადაც ხვალ ისრაელ — საქართველოს მატჩი უნდა ჩატარდეს და სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ დაბინავდნენ. მასპინძლებმა საუზმის შემდეგვე საქართველოს ნაკრები ექსკურსიაზე წაიყვანეს, წმინდა ქალაქი იერუსალიმი დაათვალიერებინეს, ვარჯიშით კი ქართველებმა საკმაოდ გვიან, ჩვენი დროით 11 საათზე ივარჯიშეს აშქელონის სტადიონზე. ნაკრების ფეხბურთელებს შორისაა მწვრთნელებისგან გუშინდლამდე გამოუძახებელი გოგა გახოკიძეც, ის ხომ იქვე, ისრაელში თამაშობს.

სამაგიეროდ, ეროვნულ გუნდს ისრაელში არ ახლავს ზაზა ჯანაშია, მას ნაკრების მწვრთნელებთან მოსკოვის „ლოკომოტივ“ — ცესკას მატჩის შემდეგაც ულაპარაკია და უთქვამს, გამაყუჩებელი ნემსებით მათამაშეს, ფეხი ძალიან მტკივაო. მწვრთნელებსაც, იმკურნალეო, უპასუხიათ, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, ჯანაშიას ნაკრების თავკაცები აშქელონიდან შეეხმიანონ და ისრაელს ჩასვლა მოსთხოვონ. სიტყვამ მოიტანა და, გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ თქვა, ნაკრებში თამაშზე უარისმთქმელ ფეხბურთელს, მწვრთნელებს არც ვკითხავ, ისე მოვკვეთ გუნდიდან, თუ ვირეშმაკობა შევნიშნეო.

საქართველოს ნაკრებმა გუშინ აშქელონში ამ შემადგენლობით ივარჯიშა: *მეკარეები:* დავით გვარამაძე, იოსებ გრიშიკაშვილი; *მცველები:* გივი დიდავა, ლევან სილაგაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი ჩიხრაძე, გოჩა ქოქოშვილი, ვაჟა თარხნიშვილი; ნახევარმცველები: თენგიზ სიჭინავა, ზურაბ მენთეშაშვილი, გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, გიორგი დარასელია; *თავდამსხმელები:* არჩილ არველაძე, ზურაბ იონანიძე.

წუხანდელი ვარჯიშის შემდეგ ნაკრებს გერმანიიდან ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი, ინგლისიდან გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია და რატი ალექსიძე, კიევიდან კი კახა კალაძე და გიორგი დემეტრაძე უნდა დამატებოდნენ.

კობა ინასარიძე

## საქართველოს ჩემპიონატი

მეორე ეტაპი

# 4 ტური

### «ა» ზონა

26 მარტი, კვირა

| | |
|---|---|
| ტორპედო | 0 |
| დინამო | 0 |
| ბათუმი | 3 |
| სიონი | 0 |
| იბერია | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| კოლხეთი | 3 |
| დილა | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 8:1 | 25 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 22 |
| დინამო | 4 | 0 | 4 | 0 | 0:0 | 21 |
| ბათუმი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:0 | 20 |
| სიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 17 |
| კოლხეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 17 |
| იბერია | 4 | 1 | 0 | 3 | 2:13 | 12 |
| დილა | 4 | 0 | 0 | 4 | 4:11 | 10 |

### «ბ» ზონა

26 მარტი, კვირა

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი | 1 |
| არსენალი | 0 |
| თსუ | 2 |
| თბილისი | 0 |
| სამგურალი | 2 |
| გორდა | 0 |
| ხობი | 1 |
| მერანი | 2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 4 | 3 | 1 | 0 | 6:1 | 19 |
| მერანი | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 18 |
| თსუ | 4 | 3 | 0 | 1 | 5:1 | 17 |
| გორდა | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 15 |
| სამგურალი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:2 | 10 |
| თბილისი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | 10 |
| ხობი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:10 | 8 |
| არსენალი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:9 | 5 |

პირველი ეტაპის ქულები განახევრებულია

# ფეხბურთი დახურდავდა

*რა სანახაობა უნდა გაიმართოს საქართველოში, 15 ათას კაცს თავი მოუყაროს, უმრავლესობას თუნდაც ლარიანი ბილეთი აყიდვინოს, საათნახევარი ერთი სუნთქვით ასუნთქოს და როცა დამლაა, გულგაწვრილებული დაშალოს. ცხადია, ფეხბურთი უნდა იყოს, და თუ ეს ეროვნული ჩემპიონატია, ცხადია, ქუთაისში. ისიც ნათელია, რომ ამხელა აუდიტორია (შარშან 13 ათასმა იხილა) სეზონის უმთავრეს მატჩს უნდა დაესწროს. ...მაგრამ ის, რაც ლარი ღირს, ზოგჯერ ლარიც არ ღირს. ასე იყო კვირასაც: 26 მარტი. ქუთაისი. სტადიონი „ტორპედო“. „ტორპედო“ — „დინამო“ 0:0. ქუთაისელებმა მდევარი ჩემპიონი 4 ქულაზე ახლოს არ გაიკარეს, მაგრამ ვერც ამაზე მეტად ჩამოიშორეს. სამაგიეროდ, „ვიტ ჯორჯია“ და „ბათუმი“ მიიახლოვეს.*

იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდები



კვირას ქუთაისში: „ტორპედო“ — „დინამო“ 0:0. გიორგი გოგიაშვილი (ბურთით) და პაატა ჯინჭარაძე

საქართველოს 11 ჩემპიონატი
მეორე ეტაპი

**4 ტური**

# ვისთვის რა სჯობდა?

ქუთაისი
26 მარტი
15 საათი
ტორპედო
15 000 (ტევადობა 23 800)

**ტორპედო 0:0 დინამო**

**ტორპედო:** ჭანტურია, ახვლედიანი, თურმანიძე, მახვილაძე, ხვადაგიანი, შეყრილაძე (მაღლაკელიძე 86), კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი (ასათიანი 67), დ. ჯანაშია (მეგრელაძე 57), ჩხეტიანი, იონანიძე
*სათადარიგონი:* ზოიძე; ვაჩიბერაძე, მ. ბობოხიძე, იმედაძე
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ი. ვაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე, ზირაქიშვილი (გ. შენგელია 54), წიტაიშვილი, სიჭინავა, მონასელიძე (ქემოკლიძე 62), პ. ჯინჭარაძე, გუჩუა, შაშიაშვილი
*სათადარიგონი:* ა. ჩიხრაძე; შელია, რუხაძე, ო. გველესიანი, ხუციშვილი
**გაფრთხილება:** შაშიაშვილი (43), იონანიძე (51)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე; დ. სანაია (ორივე სოხუმი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**იუზა კაციტაძე ქუთაისიდან**

ამბობენ, სტატისტიკამ ყველაფერი იცისო და, თუ მართლა ასეა, ჩვენც ის მოვიშველიოთ. „დინამო" — „ტორპედო". აწ გარდაცვლილი საკავშირო სარბიელიდან მოყოლებული და ეროვნული ჩემპიონატისა და თასის (სუპერთასის) გათამაშებით დამთავრებული, ოფიციალურ დონეზე 53-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს წამყვანი ქართული გუნდები. ამ 53 მატჩიდან 33 „დინამოს" მოუგია, 7 „ტორპედოს", 13 ფრედ დასრულებულა. გატანილი და გაშვებული ბურთების შეფარდებაც თუ გაინტერესებთ, „დინამო", ბუნებრივია, აქაც წინაა — 108:47. აი, ასეთი გახლდათ გუშინწინდელამდე „ტორპედოსა" და „დინამოს" სათამაშო ბალანსი. მშრალი, მაგრამ მრავლისმეტყველი ციფრები. დიახ, „ტორპედო" ყოველთვის „დინამოს" ჩრდილში იყო, „ტორპედოს" ძველიდან სდევს „დინამოს" შიში (და რიდი), თუმცა...

მეათე ეროვნული იყო, ქუთაისელები რომ „დინამოს" გაუთამაშდნენ, ოღონდ მაშინ „მარად" ჩემპიონს ტახტი მხოლოდ შეუნჯღრიეს. კი, მართალია, „ტორპედომ" შარშან 9 მაისს ლამაზი გამარჯვებაც იზეიმა „დინამოსთან", მაგრამ ეს ცოტალა იყო, „დინამომ" ტიტული მაინც შეინარჩუნა. „ტორპედომ" კი, გახსოვთ, ისტორიაში პირველად ჩემპიონატის ვერცხლს დაეუფლა, მერე თასიც მოიგო და ამითაც კმაყოფილი დარჩა.

მადა ჭამაში მოდისო. მყარმა ფინანსურმა ბაზამ „ტორპედოს" უფრო მაღალ მწვერვალზე ასვლის შესაძლებლობა მისცა და გუნდიც ამ გზას ადგას. „ტორპედო", როგორც არასდროს, ისე ახლოა მიზანთან, მეთერთმეტე ეროვნულში გამარჯვების ჩინებული შანსი აქვს, ოღონდ ერთიცაა, ამ შანსს გამოყენება უნდა.

ამ თვალსაზრისით ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ უკვე გუშინწინ შეიძლებოდა გარკვეულიყო. ჩემპიონატის მეორე ეტაპის მეოთხე ტურის კი არა, ეს, ალბათ, საერთოდ, მეთერთმეტე ეროვნულის ყველაზე მნიშვნელოვანი თამაში გახლდათ. გათამაშებაში ჯერაც დაუმარცხებელი „ტორპედო" ოთხი ქულით გასწრებული უნდა დაპირისპირებოდა მდევარ ათგზის ჩემპიონს. ამას დაუმატეთ ის, რომ ქუთაისელებს „ბათუმთან" გამოტოვებული მატჩიც აქვთ მარაგში და წარმოიდგინეთ, რა პერსპექტივა ესახებოდა „ტორპედოს" გამარჯვების შემთხვევაში. ვინ იყო მისი დამწევი? ახლა „დინამოსი" იკითხეთ. მტრიასას, ის რომ დღეშია. გუნდს ტახტიდან ჩამოგდებას უპირებენ, ვერმოგებული წინა სამი თამაშის შემდეგ „ტორპედოსთან" მარცხი ოთარ კორღალიძის გუნდის კატასტროფას მოასწავებდა. „დინამოს" ჩემპიონატში ოქრო კი არა, ვერცხლიც სანატრელი შეექნებოდა.



ქუთაისელთა მეკარე გრიგოლ ჭანტურია დროულად გამოვიდა

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ქუთაისურ მატჩს ინტრიგა მართლაც არ აკლდა. პირიქით, მგონი, მოჭარბებულიც გახლდათ. კიდევ მზიანი ამინდი, ჩვენს პირობებში იდეალურთან ახლო მინდვრის საფარი, 15 ათასი მაყურებელი და, მეტი რა გინდა, მიდი და ითამაშე. თუ შეგიძლია, თუ არა და...

ერთითვისწინანდელი სუპერფინალი გახსოვთ? მაშინ დიდ ბრძოლას ელოდნენ მეტოქეებისგან ქომაგნი და არ გაუმართლათ. კარგი, „დინამო" დაუძლურებულია და, კაცმა რომ თქვას, დღევანდელ კონტინგენტს, გინდა თუ არა იფრინეო, ვერ მოთხოვ, გასაკვირი უფრო „ტორპედოს" ამბავი იყო. გუნდს ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი მოსამზადებლად, ქუთაისელებს შემადგენლობაც სტაბილური ჰყავთ და სუპერფინალში დუნე, უჯიგრო თამაში არ ეპატიებოდათ. „დინამომ" სუპერთასი, ვერც რომ წარმოედგინა, ისე შეიშნო.

გუშინწინაც დიდ ბრძოლას ელოდნენ ორივე გუნდისგან გულშემატკივრები, და... ისევ გაწბილებულნი დარჩნენ. დიახ, ერთობ უფერული, უინტერესო გამოდგა მეთერთმეტე ეროვნულის ჩემპიონობის პრეტენდენტთა პაექრობა. ეს თუ ქართული ფეხბურთის სახეა, აღარ ყოფილა საშველი და ეგ არისო — გაიძახოდნენ ტრიბუნებზე. დიახ, წუხდა ხალხი.

არადა, „ტორპედომ" თითქოს რიხით დაიწყო. პირველ წუთზე მარჯვენა ფლანგზე გაჭრილი ახვლედიანი გუჩუამ შეაჩერა აკრძალული ილეთით. ჩხეტიანის ჯარიმიდან ჩაწოდებულს საშუალო მანძილიდან კვეტენაძის ძლიერი დარტყმა მოჰყვა, გრიშიკაშვილი ადგილზე დაუხვდა ბურთს, თუმცა ესეც რომ არა, თანამსაჯს მანამდე ერთ-ერთი ტორპედოელის თამაშგარე ჰქონდა დაფიქსირებული. მე-4 წუთზე დინამოელები საკუთარი საჯარიმოს წინა ხაზიდან ხუთ მეტრში დაისაჯნენ. დასარტყმელად ისევ ჩხეტიანი გაემზადა და კარსაც დაუმიზნა, ოღონდ გრიშიკაშვილმა ამჯერადაც მოიგერია ტორპედოელის დარტყმული. დებიუტშივე ჩანს, „დინამო" მასპინძლებს უფრთხის, ყველა ღონეს ხმარობს ტემპის დასაგდებად. განსაკუთრებული ყურადღებისქვეშაა დავით ჯანაშია, მასპინძელთა ეული თავდამსხმელი. ასეთ ვითარებაში ქუთაისელებს უჭირთ შეტევების ორგანიზება, ბურთი მეტწილად „დინამოს" საჯარიმოსა და ცენტრალურ ხაზს შორის ტრიალებს. ეპიზოდურად დინამოელებიც გამოჩნდებიან ხოლმე „ტორპედოს" ნახევარზე, ოღონდ წიტაიშვილს ხვადაგიანი არ აძლევს გასაქანს, ზირაქიშვილის აქტიურობა მარჯვენა ფლანგზე კი უფრო მოჩვენებითია.

ასე იყო თუ ისე, „დინამომ" მისთვის სასურველ დინებაში გადაიტანა თამაში. „ტორპედოს" ვერ იცნობდით. მხოლოდ ერთხელ 30-ე წუთზე შეუტიეს სახიფათოდ მასპინძლებმა, ჩხეტიანმა იონანიძეს მიაწოდა გრძელი პასი. ისიც უკანმოუხედავად გაიჭრა წინ, სტუმართა საჯარიმოშიც შეაღწია, მაგრამ გრიშიკაშვილი ფეხებში ჩაუვარდა და სიტუაცია განმუხტა. „ტორპედოს" ამ გამოხდომას „დინამომ" სწრაფი კონტრშეტევით უპასუხა და ჭანტურიას პირველად მოუხდა საქმეში ჩართვა. მეკარემ ჯერ ზირაქიშვილს აუღო დაბალ კუთხეში დარტყმული და უმალ მეორედაც ადგილზე დაუხვდა ბურთს, დინამოელის არცთუ ძლიერი, მაგრამ სახიფათო შორეული დარტყმის შემდეგ. სხვა რამ საინტერესო პირველ ტაიმში არაფერი მომხდარა. საწყენიც ეს იყო.

„ტორპედოს" ქომაგთა მრავალათასიანი არმია მეორე ტაიმის იმედად დარჩა. დავით ყიფიანი თავდასხმას გააძლიერებსო — ტყუილი ვარაუდი გამოდგა. მართალია, „ტორპედომ" თამაშის განახლებისთანავე, ისევე როგორც მატჩის დებიუტში, მაგრად კი შეუტია, ოღონდ მალევე იძულებული შეიქნა „დინამოს" ნება-სურვილს დაჰყოლოდა. თამაში დაბალ ტემპში გაგრძელდა. „ტორპედო" აშკარად საჭიროებდა წინა ხაზის გაძლიერებას და ყიფიანმაც მეგრელაძე შეუშვა მოედანზე, ოღონდ... ჯანაშიას ნაცვლად. მწვრთნელს უკეთ მოეხსენება ვინ, სად და როგორ, ოღონდ ამ შეცვლის სისწორეში მართლა ბევრს შეეპარა ეჭვი. ათ წუთში ყიფიანმა გოგიაშვილიც დასვა სათადარიგოთა სკამზე. „ტორპედომ" ამითაც ვერაფერი მოიგო.

გუნდებმა დარჩენილ დროშიც მოსაწონი ბევრი ვერაფერი მოიმოქმედეს, თუმც ორ-ორჯერ კი შეუქმნეს ერთმანეთს საფრთხე. 72-ე წუთზე ახვლედიანის პასის შემდეგ იონანიძემ დაარტყა კარისკენ, მაგრამ არაზუსტად. წუთში „დინამოს" მიეცა შანსი. არჩილ სახვაძემ შენგელია გაიყვანა კარგ პოზიციაზე ოღონდ გიორგის ძლიერად დარტყმულმა ხარიხას გადაუქროლა. 84-ე წუთზე პაატა ჯინჭარაძის ანაზდეული შორეული დარტყმა ოდნავ აცდა მიზანს. დამატებულ წუთებში იყო, მეგრელაძემ საჯარიმოს კუთხიდან რომ გაგზავნა კარისკენ და არც მას გაუმართლა.

ერთი სიტყვით, 0:0 — „დინამოსათვის" ზედიზედ მეოთხე (კარნევალის დავცინოდით). ისე, წაგებას სჯობდა. „ტორპედოსაც" ქულა და „დინამოსთან" სტატუს-კვო-ს შენარჩუნება. მშვიდობა კარგია, ოღონდ ერთი-ორი წაფორხილება და ქუთაისელებს, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეთ გუშინწინდელი „ოქროს მომენტის" ხელიდან გაშვება.

მსაჯობაზედა დაგვრჩა სათქმელი. სუპერფინალსაც ეს ბრიგადა უძღვებოდა. გუშინწინ მესხს და კომპანიას არაფერი წაუხდენია. ვალტერ გუჩუას მარტო სიტყვიერი გაფრთხილება რომ აკმარა, არბიტრს ნაკლად ამას თუ ჩავუთვლით.



ტორპედოელმა ვახტანგ თურმანიძემ (№18)
დინამოელ კობა წიტაიშვილს ბურთი არ დაანება

ბათუმი
26 მარტი
15 საათი
დინამო
5 000 (ტევადობა 20 000)

**ბათუმი 3:0 სიონი**

1:0, 2:0 ხომერიკი (6, 35), 3:0 აფხაზავა (67)
**ბათუმი:** ტოგონიძე, ზ. არჩვაძე, სიდამონიძე, მ. მახარაძე, შ. ხუჯაძე, ა. მუჯირი, ღლონტი (კობიძე 68), გელა ქორიძე (რომანაძე 68), ხომერიკი (მაჭუტაძე 46), თ. ტუღუში, აფხაზავა
*სათადარიგონი:* ჩლაიძე; თედორაძე, სიხარულიძე, მინდაძე
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ვ. მაისურაძე, დიმიტრიშვილი, მ. სამხარაძე, მაზანიშვილი, მოსეშვილი, მ. გოგოლაძე (სვანიძე 62), ისიანი (ფ. არჩვაძე 74), კ. გოგოლაძე, ბ. შენგელია (ელბაქიძე 74)
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; კენჭოშვილი, ჩაგელიშვილი
**გაფრთხილება:** ვოლკოვი (83)
**მსაჯები:** მ. მალალურაძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა), ე. სილაგავა (თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. მიმინოშვილი

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

# გოლის წყურვილი

ადრეც ასე იყო, მით უმეტეს ახლა — ბათუმში თამაში ყველას ძლიერ უჭირს. ამ ბოლო ხანს კი კარნევალის (სიონიორ ჯანის გვარი თურმე სწორედ ასე ჟღერს) შეგირდების შეჩერება პრაქტიკულად შეუძლებელია. თავად განსაჯეთ, ჩემპიონატის განახლების შემდეგ ზღვისპირელებმა შინ ოთხი მატჩი (აქედან ორი სათასო) გამართეს, სადაც 14 გოლი გაიტანეს, საკუთარ კარში კი ერთიც არ მიუღიათ.

კვირის მატჩის მონაწილეებმა ბოლოს „დინამოზე" 20 ნოემბერს ითამაშეს. იმ დროისთვის „სიონი" მაშინდელი „ა" ზონის კვარტეტში გახლდათ. აი, „ბათუმს" ქულალა აკლდა, მოტივაციაც მეტი ჰქონდა და მომხვდურთ სულ კუდით ქვა ასროლინა. მაშინ ბოლნისელთა თავკაცი სპარტაკ არჩვაძე ჩიოდა, რიკოთზე ფეხბურთელები მომეწამლნენ და ჩავარდნის მიზეზიც ეგ იყოო.

გუშინწინ ისტორია განმეორდა. „ბათუმმა" კვლავაც დაჯაბნა ამჯერად ჯანზე მყოფი თუმცა შემადგენლობა შესუსტებული ქვემოქართლელები.

„ბათუმი" თავიდანვე შეტევას მიეძალა და შედეგიც მალე მოიმკო. მეექვსე წუთზე მუჯირმა ღლონტს ბურთი ფლანგზე რომ გაუჭრა, მანაც საჯარიმოში მაღალი ჩაჰკიდა. კახა გოდერძიშვილთან საჰაერო დუელში ხომერიკი ვერას გახდა, თუმც ბურთზე კონტროლი მაინც არ დაკარგა და მას მიწაზე დაუშვებლად კარში მიუჩინა ადგილი.

სხვისი არ ვიცი და ჩემთვის მოულოდნელი იყო ბოლნისელთა სუსტი გარჯა. ისინი თავიდანვე ნირწამხდარნი ჩანდნენ და ამ გოლმა ხომ სულ მოუთავათ ხელი.

„ბათუმი" კი იმას აკეთებდა რაც მოესურვებოდა, და 35-ზე მეორე გოლიც გავიდა. ამჯერადაც ხომერიკმა იმარჯვა. გოლებს შორის ხიფათი უამრავი შეიქმა „სიონის" კართან და სტუმართაგან თუ ვინმეზე უნდა ითქვას, ეს უდავოდ თეიმურაზ ვოლკოვია. მართალია, მან სამი გოლი გაუშვა, მაგრამ ორი ამდენი ხიფათი აარიდა „სიონს" და ყველაზე მეტად მას ამაგი მერაბ მალალურაძემ დაუფასა. არ გაიკვირვოთ, უბრალოდ, 83-ე წუთზე თეიმურაზს უდავოდ გაძევება ეკუთვნოდა — საჯარიმოს გარეთ აფხაზავას თავზე გადავლებულ ბურთს ხელებით წაეპოტინა. გაღიოდა კიდეც მინდვრიდან, მაგრამ მსაჯმა აშკარად დაინდო, უკან მოაბრუნა და მხოლოდ გაფრთხილება აკმარა.

ეს ეპიზოდი მატჩის ბოლოსკენ მოხდა. მანამდე კი კვლავ „ბათუმი" დომინირებდა. ბუნებრივია, მომენტიც მრავლად შეექმნა. მარტო შეცვლაზე შემოსულ კობიძეს სამჯერ შეეძლო გატანა (ამით მან იქნებ ძირითადში ადგილიც დაიბრუნოს), მაგრამ ეს სხვამ შეძლო. 67-ე წუთზე ტუღუშმა აფხაზავას გრძელი პასი გაუჭრა. შალვამ საჯარიმოში შეირბინა, მეურვე ვასილ მაისურაძეს თავგზა აუბნია და ვოლკოვიც ზედ მიაყოლა.

„ტორპედო" — „დინამოს" უგოლო ფრეც ემათ ზღვისპირელებს, 5 აპრილს ბათუმში ხომ „ტორპედო" ჩადის და მომვალ ტურში გორში გამარჯვების შემთხვევაში „ბათუმს" ჩინებული შანსი ეძლევა, ლიდერთან სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანოს. ბოლნისელებს კი სწორედ იმერლებთან მასპინძლობა ელით და იქადნებიან, „ტორპედოს" დამარცხებას ყოველნაირად ვეცდებითო.

# ლოკომოტივის ვალი?

სამტრედია
26 მარტი
15 საათი
ეროსი მანჯგალაძე
800 (ტევადობა 15 000)

**იბერია 0:1 ვიტ ჯორჯია**

0:1 ქორიძე (70)
**იბერია:** გ. დოლიძე, ქვანია, ხურციძე (დ. ნოზაძე 88), გეგეშიძე, მიქელთაძე, გიორგაძე (გედენიძე 76), მ. ჯინჭარაძე, ს. გიგიაძე, კ. ჯანაშია (სანიკიძე 46), ივეჩიანი, ზ. მეტრეველი
*სათადარიგონი:* ა. ჩომახიძე; ბიწაძე, კ. ალანია
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, საჯაია, ჭანკოტაძე, თოდუა, კობიაშვილი (ზ. გვაზავა 28), დიღმელაშვილი (ლ. მელქაძე 68), ლ. ნოზაძე, ი. ხაჭაპურიძე, ყიფიანი (კოტორაშვილი 39), ვ. გოჩაშვილი, გიორგი ქორიძე
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ჯ. მუჯირი, დ. დოლიძე, მორჩილაძე
**გაფრთხილება:** ქვანია (42)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქათაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

**პაატა კვანტალიანი სამტრედიიდან**

ამ მატჩის გამო ერთ დღეში ასეულობით კილომეტრგავლილ-გამოვლილ ჟურნალისტს, წესით და რიგით, მოსაყოლიც მეტი უნდა ჰქონდეს მკითხველთათვის, მაგრამ მოლოდინი უნდა გაგიცრუოთ — მშვენიერ საფეხბურთო ამინდში, ულიმღამო, მოსაწყენი, ასე ნაცნობი და შესისხლხორცებული ქართული ფეხბურთი გაათამაშეს გუნდებმა. ასე თუ გაგრძელდა, მალე ჩვენი სტადიონები მსოფლიოში პირველ ადგილს დაიკავებენ მაყურებლის გასაღების საკითხში — ფეხბურთით რომ ფონს ვერ გადიხარ, მატჩზე მისულმა გულშემატკივარმა რამით უნდა შეიქციო თავი. ჰოდა, კვირასაც ჩვენი ქვეყნის ელიტარული ზონის წარმომადგენელთა დაპირისპირებას 800-მდე მაყურებლის მკვნეტელი ადევნებდა თვალს.

თბილისელები ზონის აუტსაიდერ მეტოქესთან იოლ გასეირნებას რომ ვარაუდობდნენ, ისედაც ნათელი იყო, თავის თავში და მოგებაში დარწმუნებული ვეტერინარები, ჩვეულების საწინააღმდეგოდ, მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გამოცხადნენ სამტრედიაში და „ეროსი მანჯგალაძეზე“.

საწყის ხუთ წუთში ირაკლი ხაჭაპურიძე ორჯერ გაექცა მეურვეს მარცხენა ფლანგზე, თუმც საჯარიმოში მის ჩაწოდებულ სახიფათო გადაცემებს თანაგუნდელებმა დამაგვირგვინებელი დარტყმები ვერ მოაყოლეს. 28-ე წუთზე კი სერგო კოტრიკაძეს, სტუმართა გუნდის მთავარ მწვრთნელს, წინა მატჩიდან ტრავმაგამოყოლილი თენგიზ კობიაშვილის ზვიად გვაზავათი შეცვლა მოუხდა — კობიაშვილი ერთ-ერთ იბერიელს უხერხულად შეეჯახა და მარჯვენა ფეხი მძიმედ დაიზიანა.

პირველი ნახევარი ვიტელთა მცირე სათამაშო უპირატესობით ჩამთავრდა და მატჩის სურათი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. 50-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ გასული გიორგი ქორიძე შეაჩერეს იბერიელმა მცველებმა, 54-ე წუთზე კი პირველად დაარტყეს ჭურაძის კარში მასპინძლებმა — ივეჩიანმა სტუმართა მეკარე საჯარიმოს ხაზთან დალანდა და თითქმის მოედნის ცენტრიდან დარტყმულმა ბურთმა ხარიხას გადაუფრინა. ამის შემდეგ მაყურებლის ახალი პარტია შემოიტანეს და მოედანზე კი ახალი ალააფერი მომხდარა. თუმცა არა, 70-ე წუთზე მასპინძლებმა ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას შესცოდეს და მარჯვენა ფრთიდან კარისკენ გაჭრილმა ლევან მელქაძემ უკეთეს პოზიციაში მყოფი ქორიძე მონახა, მანაც ცარიელ კარში ხარიხის გავლით შეაგდო მატჩის ერთადერთი გოლი. ამ ეპიზოდმა მასპინძელთა საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია — იბერიელებმა გვერდით მსაჯს თამაშგარეს დაფიქსირება მოსთხოვეს, მაგრამ ამაოდ. ცენტრიდან განახლებული თამაში ზლაზვნით ჩაამთავრეს გუნდებმა, ნამატჩევს კი 70-ე წუთზე მომხდარი ფაქტით უკმაყოფილო („იბერიის“ მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფრუიძემ) ხელები გაშალა, მსაჯებმა „ლოკომოტივის“ ვალი გადაგვახდევინესო...

# ინსპექტორსაც კი გაეღიმა

მცხეთა
26 მარტი
15 საათი
არმაზი
200 (ტევადობა 3 000)

**თსუ 2:0 თბილისი**

1:0 ერაძე (49), 2:0 ადამია (75)
**თსუ:** მერლანი, ინწკირველი, ებრალიძე, სვანაძე (მესხი 55), ადამია, ხართიშვილი, წუწუნავა (დ. არჩვაძე 68), დეკანოსიძე, მაზიაშვილი (ფარქოსაძე 86), ერაძე, კვიციანი
*სათადარიგონი:* გუგუნავა; გ. გოცირიძე, თ. ბოკერია, ბ. ნოზაძე
**თბილისი:** ბათიაშვილი, ზამთარაძე, მაჭავარიანი, ბარნოვი, კანდელაკი, გ. ღუდუშაური, დ. ტყებუჩავა, ამაშუკელი (თ. მაისურაძე 51), კ. მელქაძე (ნორაკიძე 61), ბურდული, გადელია
*სათადარიგონი:* მამალაძე; ზვ. ლაბაძე, ლოლაძე, ჩივაძე
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი, მ. მაისურაძე, მ. ურუშაძე, ა. მეშკოვი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

**გიორგი ვაშაკიძე მცხეთიდან**

...„ლოკომოტივი“, „მერანი“ და „გორდა“, ალბათ, დარჩებიან ლიგაში, აი, მეოთხეს ვინაობა კი...

მცხეთურ მატჩს ორივე გუნდისთვის მეტად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მეოთხე ამათ შორის გაირკვევაო — ან თსუ, ანაც „თბილისი“. მართალია, წყალტუბოს „სამგურალმა“ „გორდას“ 2:0 ძლევით გუნება გამოიკეთა, მაგრამ...

ზუსტად სამ საათზე არბიტრმა კრიჭაშვილმა ჩასტვინა და ალბათ, გადამწყვეტი მატჩიც დაიწყო. თუმცა თავიდანვე გეტყვით, დაძაბულისა და პრინციპულის შეხვედრას არაფერი ეცხო. „არმაზზე“ მისულ მცირერიცხოვან მაყურებელსაც თავისუფლად შეეძლო, ჩაეთვლიმა და საბოლოო შედეგიც მერელა გაეგო. მოვალეობა რომ არა, თქვენი მონა-მორჩილიც ასე მოიქცეოდა.

საქართველოს ჩემპიონატის მატჩები რა ბედენაცაა, ყველას კარგად მოეხსენება. კვირას ქუთაისში ქართული საკლუბო ფეხბურთის ლიდერთა შეხვედრა ვერ გამოდგა სანახავი და ახლა წარმოიდგინეთ, მცეხთაში რა მოხდებოდა.

ორასიოდე მაყურებელი 74-ე წუთზე არბიტრ კრიჭაშვილის ნამოქმედარმა თუ გაახალისა. ქომაგებს არც ფაქტის მოწმე ფეხბურთელები ჩამორჩნენ. აი, რა მოხდა. „თბილისი“ 0:1 აგებდა და აუტის მოწოდებასაც ჩქარობდა, თუმცა ბურთი არსად ჩანდა. ამის გამო მამუკა მაჭავარიანმა შეიგინა, რა არის მეორე ბურთი სად არისო. ჰოდა, კრიჭაშვილმაც აუტის მომწოდებელი თბილისელი ფეხბურთელი გააჩერა, მოტრიალდა და... სრულიად უდანაშაულო „თბილისის“ №3 ილია კანდელაკი გააფრთხილა. კანდელაკმა გაკვირვებისგან ხელები გაშალა, მაგრამ მსაჯს გადაწყვეტილება არ შეუცვლია.

არბიტრის ქმედებამ მატჩის ინსპექტორი, ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის შეფი გია ფირცხალავაც გააკვირვა. მას სახეზე ღიმილმაც კი გადაჰკრა. მსგავსი კაზუსი მცხეთაში უკვე მეორედ შეემთხვა კრიჭაშვილს. ეს კი, დამეთანხმებით, სახუმრო სულაც არაა.

სხვა რა იყო? პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა. მეორე ოთხი წუთის განახლებული იყო, როდესაც სტუდენტ წუწუნავას მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულს პაატა ბარნოვი უხეიროდ დაუხვდა და იმის მაგივრად, ბურთი მოეგერიებინა, იქვე მდგომ სოსო ერაძეს ჩააბარა. თსუ-ელმაც შეირგო ძღვენი და ბათიაშვილს შორეულ კუთხეში გაუტანა. მეორედ „თბილისის“ მეკარეს თითქმის პირისპირ გასულმა გიორგი ადამიამ გაუტანა.

კიდევ? ლადო ბურდულს ორჯერ შეეძლო გატანა. პირველად მერლანთან ერთი-ერთზე დარჩენილმა მოიწადინა მისთვის ბურთი თავზე გადაეგდო, თუმცა ვერ აჯობა. მეორედ კი კარგ პოზიციაში მყოფი თავით ცდილობდა სტუდენტთა დამწუხრებას, მაგრამ ამაოდ.

მატჩის დასრულების მერე ორივე გუნდის ფეხბურთელები წარამარა კითხულობდნენ „გორდას“, „მერანის“, „ლოკომოტივის“ ამბავს. თსუ-ს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა „ვიტ ჯორჯიას“ სამტრედიაში გამარჯვების შესახებ რომ გაიგო, დაუფიქრებლად თქვა, აბა, მეტი არც მაინტერესებს, ჯერ თსუ და მერე „ვიტ ჯორჯიაო“. სხვა რა იყო? არც არაფერი...



თსუ-ელი კახა წუწუნავა (№9) თბილისელთა გარემოცვაში მოექცა

# რა არის ფეხბურთი?

სენაკი
26 მარტი
15 საათი
ეგრისი
1 000 (ტევადობა 8 000)

**ხობი 1:2 მერანი**

0:1 კვეტენაძე (30პ), 0:2 კაკაბაძე (37), 1:2 ჩიტაია (81)
**ხობი:** ნიქაბერიძე, ოდიშარია (ვ. ჩიტაია 61), ბულუხია, ვ. ალანია, ზურაბ აიანადი, ხურცილავა, გ. გიორგაძე (დანელია 64), ქაშიბაძე, ლ. ბუკია (ჯამბურია 33), ჭიჭინაძე, ზაზა აიანადი
*სათადარიგონი:* რ. თოლორდავა; ვართაგავა, ჯიქია, მ. ტყებუჩავა
**მერანი:** ნაჭყეპია, ივანიშვილი, ცქიფურიშვილი (გ. ილურიძე 66), დევიძე, გ. კვეტენაძე, კობესაშვილი, კაკაბაძე (ლ. თოლორდავა 65), ჭინჭარაული (როსტიაშვილი 60), ბოლქვაძე, გუჯაბიძე, კარიაული
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ლურსმანაშვილი, ჯიშკარიანი, კოშკაძე
**გაფრთხილება:** დევიძე (38), ზურაბ აიანადი (44), ცქიფურიშვილი (56), ოდიშარია (61), კაკაბაძე (64), ზურაბ აიანადი (89)
**გაძევება:** ზურაბ აიანადი (89)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ო. ხეცაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ნ. კაკულია

**თენგიზ ძოჩუა სენაკიდან**

რა არის ფეხბურთი? ეს კითხვა ვინმეს იქნებ უადგილოდ მოეჩვენოს, მავანმა კი ცნობილი ქართული კინოკომედია გაიხსენოს, ერთმა მეორეს მისცა პასი, მეორემ — მესამეს, მესამე დაჰყვა მეტოქის მცველებს, მოატყუა ერთი, მეორე, მესამე და...

მართლაც, რა არის ფეხბურთი? გვსმენია, რომ ეს არის თამაში, ბრძოლა, პასი, ჯარიმა, კარში დარტყმა, გოლი... აქედან გამომდინარე, ფეხბურთი არ შეიძლება დაერქვას იმას, რაც გუშინწინ სენაკში ხდებოდა. 90 წუთის განმავლობაში მეტოქეებმა კარში სულ 5-ჯერ დაარტყეს. არა, კი ცდილობდნენ, ეს გაეკეთებინათ, მაგრამ...

„ხობს“ სამი ქულა ჰაერივით სჭირდებოდა, ეგებ სახიფათო ზონიდან ამოსვლა მოეხერხებინა. ამიტომაც იყო მოსალოდნელი დაძაბული თამაში, თუმცა...

ტაიმის პირველმა ნახევარმა მშვიდად ჩაიარა. ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა და ორივე გუნდის მეკარე, ფაქტობრივად, უსაქმოდ იყო.

30-ე წუთზე ხობელთა დაცვის უხეში შეცდომის შედეგად კაკაბაძე თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან მარტოდმარტო აღმოჩნდა, მაგრამ დარტყმა დაახანა და იქამდე იჯახირა, სანამ დაცვაში დაბრუნებულ ქაშიბაძეს პენალტი არ გამოსტყუა. არადა, ქაშიბაძეც შეცდა, მერანელთა თავდამსხმელი უკვე კარში დამრტყმელი არ იყო და თერთმეტმეტრიანიც მაქსიმუმი გახლდათ რისი მოპოვებაც მან შეძლო. „მერანმა“ დაწინაურების შანსი ხელიდან არ გაუშვა და კვეტენაძე — ნიქაბერიძის დუელი პირველის სასარგებლოდ დასრულდა — 0:1.

შვიდიოდე წუთის შემდეგ კი ბოლქვაძემ ზუსტი გადაცემით მოძებნა კაკაბაძე და მანაც ახლო მანძილიდან თავით მარჯვენა „ცხრიანში“ გაიტანა ბურთი. ამ შემთხვევაშიც ხობელთა დაცვის უხეში შეცდომაა გამოსაყოფი — კაკაბაძე კვლავ მარტოდმარტო იმყოფებოდა კარის სიახლოვეს.

მეორე ტაიმიც კვლავ ნელ ტემპში წარიმართა, მაგრამ პირველისგან განსხვავებით „მერანი“ უფრო გააზრებულად მოქმედებდა, ბურთს აგორებდა და ნერვებმოშლილ ხობელებს კიდევ უფრო ანერვიულებდა.

ერთადერთი საინტერესო მომენტი, სტუმართა კართან რომ შეიქმნა, უგოლოდ დასრულდა. ზურაბ აიანადს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ საჯარიმოს ხაზიდან ცარიელ კარს ააცილა ბურთი.

თამაში მთავრდებოდა. შედეგი ლოგიკური გახლდათ და ხობელებიც შეგუებულნი იყვნენ წაგებას, როცა შეცვლაზე შესულმა დანელიამ მარცხენა ფლანგიდან ზუსტი პასი მიაწოდა ვლადიმერ ჩიტაიას. მანაც მეკარის ბაქნიდან თავით სხვაობა შეამცირა.

ეს იყო და ეს. მასპინძლები მეტის გამტანნი არ იყვნენ, ავჭალელებიც კმაყოფილნი გახლდნენ და არბიტრმა ლაცაბიძემაც დროულად დაამთავრა მატჩი.

ამით ყველაფერი არ ამოწურულა. მაშინ, როცა ფეხბურთელებმა გასახდელებს მიაშურეს, მეკარე რევაზ ნაჭყეპია და ერთ-ერთი ხობელი გულშემატკივარი შელაპარაკდნენ, რასაც ერთმანეთის უშვერად ლანძღვა მოჰყვა. ამან ხალხი ალაშფოთა. მატჩის დელეგატმა ნოდარ კაკულიამ და სტუმართა გუნდის ხელმძღვანელობამ ნაჭყეპია გაამტყუნეს, გულშემატკივარმა რაც უნდა შემოგძახოს, პასუხი არ უნდა გასცეო...

# ინატრეთ ფანიაშვილი!

თბილისი
26 მარტი
15 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75 000)

**ლოკომოტივი 1:0 არსენალი**

1:0 გოდერძიშვილი (73პ)
**ლოკომოტივი:** ლომაია, გილაური, აბრამიძე (გ. გვაზავა 70), გ. ჩიხრაძე, გ. ჩხაიძე, ლ. მიქაძე, გამცემლიძე, ჯულელი, რუსია, ძოძუაშვილი (დ. გოდერძიშვილი 46), ხუროძე (კაციაშვილი 57)
*სათადარიგონი:* ნიკურაძე; ბაქრაძე, სალუქვაძე, ონიანი
**არსენალი:** კუპატაძე, ირემაშვილი, ასპინძელაშვილი, ხარებავა, სულაძე, შუკაკიძე, ქოიავა (ა. ხმელიძე 74), ი. კაპანაძე (გ. ჩალაძე 64), ხოსროშვილი, კაკაშვილი, გ. ტულუში
*სათადარიგონი:* დ. ქაცარავა; წონ კოლაური
**გაფრთხილება:** ირემაშვილი (11)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ა. ნონიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი); ა. ორდინიძე (ონი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** კ. ყრუაშვილი

**კობა ინასარიძე**

ცუდად აქვს საქმე „არსენალს“, თავდაცვის სამინისტროს გუნდი რომ ჰქვია — ზედიზედ მეოთხე მატჩია, აგებს, შინ იქნება თუ სტუმრად. ოთხ თამაშში, არც მეტი, არც ნაკლები, ცხრა გოლი გაუშვა და მხოლოდ ერთხელ, ბში, გაიტანა. მტკიცედ ხომ დამკვიდრდა „ბ“ ზონის ბოლო ადგილზე და უახლოეს მატჩებში ხუთი-ექვსი მოგება თუ არ გამოურია, რეგიონალურ ლიგაში ჩაქვეითება არ ასცდება. ეს კი ერთობ საძნელო იქნება ჯონი ჯანელიძისა და მისი შეგირდებისთვის. მე-12 ადგილისგან, უძლიერესთა ლიგაში დარჩენის გარანტია რომ არის, 5-ქულიან „არსენალს“ დღესდღეობით 12 ქულა აშორებს.

და „ლოკომოტივი“... თავი ქუდში გვაქვსო, მათ თქვან. დამშვიდება შეუძლიათ, რა უნდა მოხდეს ისეთი, ქვემოთ ჩაინაცვლონ.

კვირას კი რკინიგზელთაგან, ზონის ლიდერისგან აუტსაიდერის განადგურებას რომ ელოდნენ, სხვაგვარად მოხდა. უგოლო, დუნე და მოსაწყენი პირველი ტაიმის შემდეგ რევაზ ძოძუაშვილმა გასახდელში ფეხბურთელებს ისე დაუცაცხანა, ფოიეში მყოფთაც გაჰკვირვებიათ. ისე, შესვენების შემდეგ ვერც ამან გაჭრა, ორივე გუნდი ზანტობდა. ერთი ხეირიანი კომბინაციაც ვერ გაითამაშეს. და რომ არა კაციაშვილის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი, ვინ იცის, მატჩი მთლად უგოლოდ დამთავრებულიყო. 73-ე წუთი გამოდგა „არსენალისთვის“ საბედისწერო: გამცემლიძემ საკუთარი საჯარიმოდან რომ წაიღო ბურთი, გოდერძიშვილს მისცა, მან კი ერთი შეხებით მიაწოდა საჯარიმოში მყოფ კაციაშვილს, რომელმაც ტანი ჩაუდგა ჩალაძეს და ფანიაშვილის სასტვენმაც არ დააყოვნა. გოდერძიშვილმა პენალტი უნაკლოდ შეასრულა. ფანიაშვილი კი, სიტყვამ მოიტანა და ზედიზედ მესამე მატჩია, 11-მეტრიანს ნიშნავს და სამჯერვე გადამწყვეტი სწორედ ეს პენალტები გამოდგა.

გოლის შემდეგ ფეხბურთელები ოდნავ გამოცოცხლდნენ, მაგრამ მეტოქის კართან სახიფათო მომენტი რომ ეთქმის, ისეთი არაფერი შეუქმნიათ. ერთხელ იყო, მატჩის ბოლო წუთზე, „არსენალმა“ რკინიგზელებს შეუტია და მცველთაგან უყურადღებოდ მიტოვებულმა კაკაშვილმა სცადა გატანა, თუმცა მისი დარტყმული ბურთი ლომაიამ კარის ხაზზე დაიჭირა...

# რომელი მხარე ჯობია...

წყალტუბო
26 მარტი
15 საათი
26 მაისი
500 (ტევადობა 12 000)

**სამგურალი 2:0 გორდა**

1:0 გიორგობიანი (44), 2:0 ხუნდაძე (65)
**სამგურალი:** სტურუა, ძაგნიძე, ფრანგიშვილი, ჩხაბერიძე, ვოსკანოვი (გ. ჯანელიძე 37), ზ. ქუთათელაძე (კვერნაძე 79), სუხიაშვილი, ჭყონია (დარსაძე 67), ხუნდაძე, ლონლაძე, გიორგობიანი
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ბაბუნაშვილი, ნებიერიძე, ჭელიძე
**გორდა:** ბედიაშვილი (გონგაძე 74), ბერიძე, სილაგაძე, მ. სახვაძე, ბურნაძე, ვ. კილასონია, მელაძე, გ. კილასონია, მიშველიძე (კიტეიშვილი 80), კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე
*სათადარიგონი:* მჭედლიძე, ა. ბუკია, ბექაური, ბაჩილავა
**გაფრთხილება:** ვოსკანოვი (27), სილაგაძე (29) სუხიაშვილი (76)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე (ყველა თბილისი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

**მამუკა კვანტალიანი** წყალტუბოდან

26 მარტს „26 მაისზე" წყალტუბოს „სამგურალმა" რუსთავის „გორდას" უმასპინძლა და მოუგო, მაგრამ ვერავინ იტყოდა, მასპინძლებმა სტუმრები ხელაღებით დაჩაგრესო.

რუსთაველები თითქმის მთელი თამაშის მანძილზე ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ მას შემდეგ, რაც იასონ ბზიკაძემ მინდორზე ვოსკანოვის ნაცვლად ჯანელიძე შეუშვა, სტუმართა შეტევებიც უხიფათო შეიქნა. ჯანელიძე აჩრდილივით აეკიდა „გორდას" ყველაზე სახიფათო მოთამაშე ვარლამ კილასონიას და მასპინძელთა დაცვამაც სიმშვიდე დაიბრუნა.

არადა, „გორდას" უკვე დებიუტშივე შეეძლო დაწინაურება, როცა უფროსმა კილასონიამ კარგად გამოიყენა მცველთა უყურადღებობა და საჯარიმოს ხაზიდან ძლიერად დაარტყა. ბურთი კარის მარჯვენა ძელს მოხვდა.

სულ ცოტა ხანში ისევ ანერვიულდნენ მასპინძლები. ამჯერად მელაძემ გაისროლა შორიდან და ბურთს ისევ მასპინძელთა კარის მარჯვენა ძელი დაუხვდა მედგრად.

მერე „სამგურალმაც" მოიცალა შეტევებისთვის, გოლიც გაიტანა, ცოტა უცნაური, მაგრამ თანამსაჯმა ჩოჩიშვილმა სამართლიანი თამაშგარე დააფიქსირა.

ტაიმიც თითქოს უგოლოდ უნდა დასრულებულიყო. ხიფათი არც ერთს არსაიდან ელოდა, როცა გიორგობიანი შუიდან მიუახლოვდა სტუმართა საჯარიმოს და ბურთი არცთუ ძლიერად, მაგრამ ზუსტად წავიდა ბედიაშვილის კარისკენ.

ვერ გეტყვით, რამ შეუშალა ხელი სტუმართა მეკარეს, კარის წინ არსებულმა ტალახმა თუ უბრალოდ, დარტყმას არ ელოდა. ფაქტი ერთი იყო, ბურთი ჯერ მცველებს გასცდა, მერე ზანტად გადამხტარ მეკარეს და ბადეში გაეხვია.

მასპინძელთა თავკაცობამ მეორე ტაიმში კონტრიერიშზე თამაში ირჩია და შეგირდებმაც შეასრულეს დავალება. ერთ მომენტში „სამგურალმა" სტუმართა კარის სიახლოვეს ჯარიმის დარტყმის უფლება მოიპოვა. რუსთაველები ჯერ მსაჯს ეკამათებოდნენ, მერე თავიანთ მეკარეს გადახედეს და ცოცხალი კედლის დაყენებას შეუდგნენ. ამ დროს ხუნდაძემ მოულოდნელად კარში დაარტყა. მეკარეს მზეც ხელს უშლიდა და ბურთი იმ კუთხეში შეგორდა, საიდანაც ბედიაშვილი კედელს აყენებდა.

...იასონ ალადაშვილმა მეკარე გამოცვალა, რუსთაველებმაც შეტევას შეტევა კი მიაყოლეს, მაგრამ კინაღამ აქეთ გაუშვეს. წყალტუბოელთა სახიფათო კონტრიერიში ორჯერ ბედიაშვილის შემცვლელმა გონგაძემ გააუვნებელა.

მაინც ვერ ვიტყვი, რომ „სამგურალი" ჯობია „გორდას", თუმც მატჩის საბოლოო ანგარიშიც ბევრზე მეტყველებს. ესე იგი 26 მარტს „სამგურალმა" უკეთ ითამაშა, ვიდრე „გორდამ".

# ევრიკა! ვერონი ფოთშია

ფოთი
26 მარტი
15 საათი
ფაზისი
1000 (ტევადობა 6 400)

**კოლხეთი 3:1 დილა**

1:0 შალამბერიძე (3), 1:1 ხორგუაშვილი (68), 2:1 ლალანიძე (69), 3:1 ქობულაძე (70)
**კოლხეთი:** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, შალამბერიძე, ტრაპაიძე, კიკლიაშვილი, ე. გვასალია (ხუჭუა 86), შავგულიძე (კედელაშვილი 46), ლალანიძე (რ. ახალკაცი 72), ფანჩულიძე, მ. ქობულაძე
სათადარიგონი: მ. გვასალია; ქუნთელია, პაპავა, ანჯაფარიძე
**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, ვ. სამხარაძე (ფეზუაშვილი 74), გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, მარეხაშვილი, ოლგესაშვილი (კარელაძე 66), საყვარელიძე (არუთინიანი 56), ხორგუაშვილი, სულთანიშვილი
*სათადარიგო:* თ. ილურიძე
**მსაჯები:** ი. კახიანი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**კონსტანტინე გოგიშვილი** ფოთიდან

ვერონის მზემ, პირს დაწვავდა შავი ზღვა და ფოთის ჰაერი, მაგრამ დრომ ასე მოიტანა, ყველა გზა რომში მიდის და ხუან სებასტიანსაც მეტი რა ჩარა აქვს — „ლაციოში" უნდა გაიტანოს ჯარიმები.

„კოლხეთი" კი ვერონის გარეშეც იოლას გადის, ფოთშიც თამაშობს „ვერონი" — ზაველ ლალანიძე, რომელსაც ხოტორა არგენტინელის შესრულებული ჯარიმა („რომას" კარში) უნახავს თუ არა, ეგრევე დაუქადნია, მეც მასე უნდა ავჭრაო და...

რას ერჩი, შეასრულა სიტყვა ლალანიძემ, ოცდაორიოდე მეტრიდან იმგვარი დაუშხუილა გორელ მეკარეს, იმგვარი ტრაექტორია მოხაზა ბურთმა და გზადაგზა ისეთი მოძრაობები აჩვენა, სოლოლაშვილმა თვალიღა გაადევნა ბურთს.

სიტყვა მეორე ფოთელმაც შეასრულა, ლაპარაკი ჯონი შალამბერიძეზეა, მატჩამდე საათით ადრე რომ ეუბნებოდა ექსგორელ და ახლა კოლხეთელ გაგა ჩიტაიას — შენ თუ გინდა, მითხარი და გავიტანო.

გაიტანა მანაც, ოღონდ ლალანიძეზე ბევრად (მთელი 66 წუთით) ადრე, დაახლოებით 30 მეტრიდან მეტად ძლიერად დაურტყა სოლოლაშვილს და რამაზმა ვერც ამ ბურთზე მოასწრო რეაგირება.

შალამბერიძის გოლი მესამე წუთზე გავიდა. ქართლელებს ჯერ სალამიც არ გაეთავებინათ, რომ ანგარიშში ჩამორჩნენ და პირველი ბურთის შემდეგაც საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ფოთელებს იოლად უნდა გაემარჯვათ.

არ მოხდა ასე — კოლხები მეტოქის საჯარიმომდე მშვენივრად მიდიოდნენ, მერე კი სწორედ გადამწყვეტი დარტყმა უცუდდებოდათ და ორ-სამჯერ სოლოლაშვილის კარი რომ სასწაულით გადაურჩა გოლს, ამაში მხოლოდ ფოთელი ფეხბურთელების ხელი (ფეხი, თავი) ერია.

მეორე ნახევარი შედარებით აკადემიური გახლდათ. ის იყო, მაყურებელიც და მინდორზე მყოფნიც კოლხთა მინიმალური უპირატესობით გამარჯვებას უნდა შეგუებოდნენ, შეტევაში გართულ მასპინძლებს გორელთა შეტევა გაეპარათ და ხორგუაშვილი რის ხორგუაშვილი იქნებოდა, შანსი ხელიდან გაეშვა — 1:1.

ეტყობა, ნამეტნავად ცივი გამოდგა ეს შხაპი კოლხთათვის — გადაიტანეს თუ არა ბურთი მეტოქის ნახევარზე, მსაჯმა ჯარიმა დანიშნა და...

მერე ლალანიძემ ვერონისებური დაჭუხა.

ყოველივეს კი წერტილი მიხეილ ქობულაძემ დაუსვა. მიშა მანამდეც აქტიურობდა, ორიოდე ჩვეული, გრძელი რეიდიც მოაწყო და მესამე ცდაზე ბურთის ცარიელ კარში შეგორება მოუწია.

დარჩენილი დროის განმავლობაში „კოლხეთი" მეტოქის ნახევარს არ მოსცილებია, მარცხნივ ტრაპაიძე, წინ კი შეცვლაზე გამოსული ხუჭუა წამდაუწუმ აწუხებდნენ „დილას" მცველებს, მერე და მერე ექსდილელმა ახალკაცმაც გამოიღო ხელი, მაგრამ ბურთი ფეთიანივით გაურბოდა სოლოლაშვილის კარს. ეს სეზონის განახლების შემდეგ პირველი გამარჯვებაა კოლხეთისთვის. წინ „ვიტ ჯორჯიასთან" გასვლაზე შეხვედრაა.



მერაბ ჟორდანია

ბადრი იორდანიშვილის ფოტო

*თითქმის ერთი კვირის განმავლობაში ვნერდით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან თბილისის „დინამოს" ფეხბურთელ მიხეილ აშვეთიას ვლადიკავკაზის „ალანიაში" თამაშისთვის საჭირო განთავისუფლების ფურცელზე. ფედერაცია, აქაოდა აშვეთია „დინამოს" პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ რომან შოთაძის მიერ დისკვალიფიცირებულიაო, ფეხბურთელს ტრანსფერს არ აძლევდა. ამისი წინააღმდეგი ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია გახლდათ. დღესაც ასეა, თუმც პარასკევს ორკვირიანი დროებითი ტრანსფერი ფედერაციიდან რუსეთის საფეხბურთო კავშირში მაინც გაიგზავნა. ქართული ფეხბურთისა და ფეხბურთელის ინტერესები გავითვალისწინოთო, გვითხრეს ფედერაციაში. ვინც იმ დღეებში მოვლენებს თვალყურს ადევნებდა, ფედერაციისა და „დინამოს" ურთიერთობას შეხმატკბილებულს ნამდვილად ვერ უწოდებდა, მეტიც, შესაძლო იყო, ეს საქმე სკანდალამდე მისულიყო.*

*ისე, მომავალში რა მოხდება, კიდევ საკითხავია. ვითარება ქარიშხილსწინა სიჩუმეს ჰგავს.*

*აქამდე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას მოხელთება ამ თემაზე სასაუბროდ ვერა და ვერ მოვახერხეთ. გუშინ კი ფედერაციაში, თავის კაბინეტში დაგვხვდა და... თურმე ნუ იტყვით, შპს „საფეხბურთო კლუბი „დინამო" თბილისი" 1996 წლიდან უკანონოდ არსებულა. პარადოქსია? მაშინ მერაბ ჟორდანიას მოვუსმინოთ:*

# ქარმა უკვე დაუბერა

## დინამო თურმე უკანონოდ არსებულა

— თბილისის „დინამოს" 1996 წლის შემდეგ იუსტიციის სამინისტროში ხელახალი რეგისტრაცია არ გაუვლია. კლუბი დღესდღეობით იურიდიული პირი არ არის. შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ის გადაწყვეტილებები, რომელსაც მე „დინამოს" პრეზიდენტობისას ვიღებდი და რომან შოთაძე პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებისას, უკანონო იყო. ახლაც „დინამოში" თანამდებობის დარიგება ნაადრევია. არ ჩატარებულა კლუბის დამფუძნებელთა კრება, ყოველ შემთხვევაში, თუ ჩატარდა მე, რომან შოთაძე, ვალერი შალიკაშვილი იქ არ ვყოფილვართ, არც „დინამოს" საბჭოს წევრები ესწრებოდნენ შეკრებას. აქედან გამომდინარე, ვამბობ, რომ „დინამოში" თანამდებობაზე ლაპარაკი ჯერ არ შეიძლება. კრება უნდა გაიმართოს, რომელსაც ყველა დამფუძნებელი დაესწრება, მერე „დინამომ" ხელახალი რეგისტრაცია გაიაროს, სასამართლომ გადაწყვიტოს შპს-ის კანონიერება და შემდეგ იქნება შესაძლებელი თანამდებობების დანაწილება დღეს კი...

ისე, არ არის ფედერაცია და „დინამო" ერთმანეთს დაპირისპირებული. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ „დინამოში" რაც შეიძლება მალე გაირკვეს სიტუაცია, იურიდიულად ყველაფერი მოწესრიგდეს. ფედერაციამ უნდა იცოდეს, საქმე ვისთან დაიჭიროს. ვცდილობთ, „დინამოს" პრობლემების მოგვარებაში დავეხმაროთ. თავად განსაჯეთ, შვეიცარიაში ფედერაციის გენერალური მდივანი მივავლინეთ, რომელიც ფიფა-უეფას დიდმოხელეებს „დინამოს" ირგვლივ ესაუბრა. იყო საშიშროება, „დინამოსთვის" საერთოდ აეკრძალათ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობა. მეკარე დონდტის ვალი ჩვენ გადავიხადეთ, „დინამოს" ფეხბურთელებისთვის ხელფასების დასარიგებლად 100 ათას შვეიცარიულ ფრანკამდე ვასესხეთ, „მრეტების" საკითხიც თითქმის მოვუგვარეთ, უახლოეს მომავალში ისინი ქინქლაძის გაზრდისთვის საკომპენსაციო თანხას გადაუხდიან „მრეტებს" და ისე არ იქნება, როგორც თავად „მრეტები" ითხოვს. მაქსიმალურად ხელს ვუწყობდით „დინამოს", რომ ეარსება. ფედერაციისა და კლუბის ურთიერთობა ქაღალდების დონეზე არ იქნება, „დინამო" რეგისტრაციაში უნდა გატარდეს, სასამართლომ დაადგინოს მისი კანონიერება.

რატომ არ მივეცით აშვეთიას განთავისუფლების ფურცელი? უფრო სწორად, რატომ გავაჭიანურეთ და მხოლოდ ორკვირიანი ტრანსფერი რატომ გავეცით? ზუსტად ამის გამო. ვიდრე „დინამო" ხელახალ რეგისტრაციას არ გაივლის, ფედერაცია კლუბს ტრანსფერების უფლებას არ მისცემს. უკიდურეს შემთხვევაში ფეხბურთელების სხვა გუნდში გადასვლის საკითხს თავად მოვაგვარებთ და შემდეგ, შემოსული ფული იქნება თუ საბუთები, ყველაფერს კლუბის ლეგიტიმურ ხელმძღვანელებს გადავცემთ. აშვეთიასთვის გაცემული ორკვირიანი ტრანსფერის თაობაზე გეტყვით, რომ ამ დროის განმავლობაში ჩვენი, ფედერაცია, ოსური კლუბის უფროსობას დაველაპარაკებით და თუ ყველაფერი ისე მოგვარდა, როგორც გვინდა, ქართულ ფეხბურთს წაადგება, მხოლოდ იმ შემთხვევაში გავუგრძელებთ „ალანიაში" თამაშის ვადას.

მე პიროვნულად არავის წინააღმდეგი არ ვარ. უბრალოდ, ვფიქრობ, თუ „დინამოს" დამფუძნებლები იგივენი დარჩებიან, სამომავლოდ არ ივარგებს. კლუბს ფინანსურად ძლიერი დამფუძნებლები, ინვესტორები სჭირდება. პიროვნულად ვინმეს წინააღმდეგ რომ ვიყო, საკითხს სხვაგვარად დავაყენებდი.

„დინამოს" რეგისტრაცია 1996 წლის შემდეგ გაჯანჯლდა, რადგანაც „დინამოს" საბჭო კლუბში მეტ წილს ითხოვდა. ამიერიდან ფედერაცია ამას არ დაუშვებს. რამდენიმე დღის წინ შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ კახა თარგამაძეს წერილი მივწერე. მან — თავის მხრივ სახელმწიფო მინისტრს, რომელმაც კიდეც მოაწერა ხელი ბრძანებულებას, საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოსა" და ეროვნული სტადიონის პრობლემების შემსწავლელი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ. კომისიაში 22 კაცია და ორ თვეში სახელმწიფო მინისტრს უნდა წარუდგინოს შესაბამისი დასკვნები.

ფიფამ და უეფამ „დინამოს" უკანონობის შესახებ დღესაც არაფერი იცის. არ გვსურდა, ამ ამბავს მათ ყურამდე მიეღწია. „დინამო" რომ შეგვენარჩუნებინა, არაკანონიერი გზა იმიტომ გამოვიყენეთ.

ეს გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ. აი, ასე ყოფილა „დინამოს" საქმე. ჯერ ქარიშხალი არ ამოვარდნილა, მაგრამ ქარმა ნელ-ნელა უკვე კი დაუბერა...

**კობა ინასარიძე**

# რატის ჩელსური ჰეთ-თრიქი



„ამ ბიჭს თქვენ უკვე იცნობთ. მოგახსენებთ, რომ მან ჩვენი კლუბის რეზერვების ბოლო მატჩში სამი გოლი გაიტანა" — შაბათს, „ჩელსისა" და „საუთჰემპტონის" მატჩის წინ, რატი ალექსიძის წარმატების ამბავი ლონდონელ გულშემატკივარს „სტამფორდ ბრიჯის" დიქტორმა ამცნო.

„ჩელსის" რეზერვთა გუნდმა წინა კვირას იაპონიის ახალგაზრდულ ნაკრებს უმასპინძლა და 4:1 გაიმარჯვა. აქედან სამი რატი ალექსიძემ, ანუ როგორც თანაკლუბელები ეძახიან, „ალექსმა" შეაგდო. საქართველოს ეროვნული გუნდის წევრი „ჩელსის" ძირითად შემადგენლობასთან კი ვარჯიშობს, მაგრამ ჯერჯერობით და ალბათ სეზონის ბოლომდე სარეზერვოა გუნდში ითამაშებს.

გუშინ საღამოს ალექსიძე, წინადღით ლონდონში ჩასულ ქინქლაძესთან და ქეცბაიასთან ერთად ისრაელს გაემგზავრა.

**გიგა კობახიძე**

# აიაქსი ქინქლაძეში 4 750 000 გირვანქას ითხოვს

**გუშინ** „დერბი ქაუნთის" მენეჯერმა ჯიმ სმიტმა გიორგი ქინქლაძის ტრანსფერის ამბავს პირველად მოჰფინა ნათელი. სმიტის თქმით, „აიაქსი", რომელიც რამდენიმე თვის წინ ქინქლაძეს 3 მილიონად უშვებდა, ახლა უკვე 4,75 მილიონ გირვანქას ითხოვს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ „დერბიმ" კიდევ 3 მილიონ 250 ათასი გირვანქა უნდა ჩაუთვალოს ამსტერდამელებს.

ამ მომენტისთვის „დერბის" მხოლოდ მილიონი გირვანქა აქვს. სმიტმა „პორტსმუთში" გაშვებულ რასელ ჰოულტში 300 000 გირვანქა აიღო, სპენსერ პრიოსი კი „მანჩესტერ სიტის" მოჰყავს 500 000 გირვაქად. კიდევ 100 000-ის შოვნას სმიტი დანიელი მიქაელ ბეკის „ქუინზ პარკ რეინჯერსში" გაყიდვით ფიქრობს.

საიდან მოიტანს დანარჩენ 2 მილიონ 250 ათასს სმიტი ჯერ უცნობია, თუმცა მენეჯერმა უკვე განაცხადა, რომ ივნისამდე, როცა ქინქლაძეს „დერბისთან" საიჯარო კონტრაქტი უმთავრდება, გუნდი კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს გაყიდის. სმიტი სწორედ სეზონის ბოლოს აპირებს ქინქლაძის გამოსყიდვას. ეს კი ძალიან სახიფათოა თავად გიორგისთვის, რადგან არავინ იცის, ივნისში „დერბი" კვლავ პრემიერლიგის გუნდი იქნება, თუ პირველი დივიზიონის.

**სიმონ მენაბდე**

# ვინღა დაეწევა მანჩესტერს?

## ინგლისი

XXX ტური

**ბრედფორდი 0:4 მანჩესტერი**

0:1, 0:2 იორკი (37, 40), 0:3 სქოულზი (71), 0:4 ბექემი (79)
ბრედფორდი: კლარკი, ჰალე (შარპი 58), ვეზეროლი, ობრაიენი, ჯაკობსი, ლოურენსი, მაკკოლი, უინდასი, ბიგრი, სონდერსი, კადეტე (ბლეიქი 70)
მწვრთნელი: პოლ ჯუელი
მანჩესტერი: ბოსნიჩი, გ. ნევილი, ბერგი, სილვესტრი, ფ. ნევილი, ბექემი, როი კინი (უოლვორკი 75), სქოულზი, გიგზი (სოლსკიაერი 82), ე. კოული, იორკი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ბექემი
მსაჯი: პოლი
18 276 მაყურებელი

**ლესტერი 2:1 ლიდსი**

1:0 კოლიმორი (14), 1:1 კიუელი (38), 2:1 გაპი (48)
ლესტერი: ფლაუერსი, ფ. სინკლერი (ჯილკრისტი 48), ტაგარტი, გაპი, სეიჯი, ელიოტი, იზეტი, ლენონი, ოუქსი, ედი (კოტი 66), კოლიმორი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, რადებე, ვუდგეიტი, ჰარტი, უილკოქსი, ჰაალანდი, მაკფაილი, ბაკე, ბრიჯისი (ჰაკერბი 71), კიუელი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ლენონი, კოლიმორი, ჰარტი, ჰაალანდი
მსაჯი: ლოჯი
21 095 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 2:1 უიმბლდონი**

1:0 დი კანიო (8), 2:0 კანო (59), 2:1 ჰიუზი (75)
ვესტ ჰემი: ფორესტი, ლომასი, შტიმაცი, რ. ფერდინანდი, მინტო, ტ. სინკლერი, ლამპარდი, ფოე, მონკუ (კელერი 89), დი კანიო, კანო
მწვრთნელი: ჰარი რედნაპი
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, ანდერსენი, ვილმოტი (ბლექველი 72), კიმბლი, ერდლი (ლებერნი 75), ერლი (ფრანცისი 64), იუელი, მაიკლ ჰიუზი, გეილი, ლუნდი
მწვრთნელი: ეგილ ოლსენი
გაფრთხილება: იუელი, ფრანცისი
მსაჯი: ჰარისი
22 438 მაყურებელი

**ასტონ ვილა 2:0 დერბი ქაუნთი**

1:0 კარბონე (40), 2:0 ბოატენგი (57)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, ეჰიოგუ, სამუელი, ბერი, დილანი, ტეილორი (ჰენდრი 75), მერსონი, ბოატენგი, ა. რაიტი, ჯოუჩიმი (სტოუნი 61), კარბონე (დაბლინი 80)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
დერბი ქაუნთი: პოომი, ლაურსენი, კარბონარი, ელიოტი (კრისტი 61), შნური, დელაპი, ერანიო (სტარიჯი 88), პაუელი, ჯონსონი, ქინქლაძე, შტრუპარი
მწვრთნელი: ჯიმ სმიტი
გაფრთხილება: შნური
მსაჯი: ალკოკი
28 613 მაყურებელი

**არსენალი 3:0 ქოვენთრი**

1:0 ანრი (50), 2:0 გრიმანდი (79), 3:0 კანუ (80)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ლუჟნი, გრიმანდი, უინტერბერნი, პარლოუ, ვიეირა, პეტი, ოვერმარსი (შუკერი 80), ბერხკამპი (კანუ 68), ანრი (ლიუნგბერგი 75)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, შოუ, გუსტაფსონი (ტელფერი 63), ჰენდრი, ჩიპო, მაკალისტერი, ოსტიჩი, ფროგატი, მ. ჰაჯი (ნორმანი 71), ველანი, რუსელი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: ვიეირა, გუსტაფსონი, ჩიპო
მსაჯი: ნაითი
38 027 მაყურებელი

**უოტფორდი 1:1 ტოტენჰემი**

0:1 არმსტრონგი (51), 1:1 სმარტი (78)
უოტფორდი: ჩემბერლენი, კენედი (პერპეტუინი 66), პეიჯი (უილიამსი 74), პალმერი, რობინსონი, კოქსი, ჯონსონი, ჰიდი, ვუტერი, ჰელგუსონი (მ. სმიტი 66), სმარტი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
ტოტენჰემი: ი. უოკერი, ტარიკო, სკაილზი, პერი, კარი, ჟინოლა, ანდერტონი, ფროინდი, ლეონარდსენი (კლემენსი 26), კ. არმსტრონგი, ივერსენი (ლ. ფერდინანდი 76)
მწვრთნელი: ჯორჯ გრემი
გაფრთხილება: ჰელგუსონი, უილიამსი, ჯონსონი, რობინსონი
მსაჯი: რენიე
20 050 მაყურებელი

**ლივერპული 2:1 ნიუკასლი**

1:0 კამარა (51), 1:1 შირერი (67), 2:1 რედნაპი (88)
ლივერპული: ვესტერველდი, მატეო, ენჩოსი, ჰიიპია, კარაგერი, ბერგერი (მერფი 86), ჰამანი, ჯერარდი (რედნაპი 78), ტომპსონი (მეიერი 75), კამარა, ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, დაბიზასი, ჰაუი, გომა (დომი 57), უ. ბარტონი, სპიდი, ლი (გალაჰერი 65), დაიერი, დ. ფერგიუსონი, შირერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: გომა
მსაჯი: დარკინი
44 743 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:0 უენსდი**

1:0 კემპბელი (11)
მიდლსბრო: შვარცერი, ფლემინგი, ფესტა, პალისტერი, კუპერი, ციგე, ჟუნინიო (მასტო 75), ინსი, სამერბელი, ე. კემპბელი, დინი
მწვრთნელი: ბრაიან რობსონი
შეფილდ უენსდი: პრესმენი, ნოლანი, უოლკერი, აზერტონი, ჰინჩკლიფი, რუდი, ე. ქუინი, იონკი, ჰასლამი (სონერი 79), ალექსანდერსონი, დე ბილდე (კროსველი 82)
მწვრთნელი: პიტერ შრივსი
გაფრთხილება: პალისტერი, პრესმენი
მსაჯი: დურსო
32 748 მაყურებელი

**სანდერლენდი 2:1 ევერტონი**

1:0 სამერბი (7), 1:1 ბარმბი (36), 2:1 ფილიპსი (77)
სანდერლენდი: სორენსენი, ჰოლოვეი, კრადოკი, უილიამსი, მაკინი, სამერბი, რაე, შვარცი (ბოულდი 74), კილბეინი, ნ. ქუინი, ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ევერტონი: ჟერარი, დანი, გაფი, ანსუორთი, შავიერი, კოლინზი, ბარმბი, ს. ჰიუზი, პემბრიჯი, მური (ჰათჩისონი 82), მარკ ჰიუზი (კადამარტერი 82)
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
გაფრთხილება: შვარცი
მსაჯი: ბენეტი
41 934 მაყურებელი

**ჩელსი 1:1 საუთჰემპტონი**

0:1 ტესემი (69), 1:1 რიჩარდსი (75ს.კ.)
ჩელსი: დე გუი, ფერერი, დესაი, ტომე, ჰარლი, პეტრესკუ, უაიზი, მორისი, ძოლა (ამბროზეტი 86), სატონი (პოიეტი 74), ვეა
მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი
საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, რიჩარდსი, ელ ხალეჯი, ბრიჯი, ტესემი, მარსდენი, ოუკლი, პახარსი, კაჩლული, დევისი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
მსაჯი: გალაჰერი
34 956 მაყურებელი

### „მანჩესტერ იუნაიტედმა"

შვიდი ქულით ჩამოიტოვა „ლიდსი". სწორედ წინა კვირას იყო, რომ ლიდსელთა მენეჯერმა დევიდ ოლირიმ თქვა, ჩემპიონობისათვის ბრძოლას არასგზით შევეშვებით, დარჩენილი ცხრავე შეხვედრა უნდა მოვიგოთო. და ბედი არ გინდა? „მანჩესტერმა" ცალი ფეხით დაანგრია „ბრედფორდი", აშკარად მოქანცულ „ლიდსს" კი მახე დაუხვდა ლესტერის „ფილბერტ სტრიტზე".

„ლესტერს" დიდად არ დატყობია ემილ ჰესკის გაყიდვა, რამდენიმეწლიანი უსაქმობის შემდეგ „ლესტერში" ამოჩენილი სტენ კოლიმორი ბრწყინვალედ თამაშობს და კვირას თავისი მეოთხე ლესტერული გოლით შეაგდო. „ლიდსმა" უპასუხა ჰარი კიუელის ლამაზი ბურთით — ზედიზედ მეექვსე თამაშია ყრმა ავსტრალიელს გოლი გააქვს, თანაცაუცილებლად ისე, რომ ორი სამი კაცი დრიბლინგით უნდა ჩამოიცილოს. თუმც კი, ეს იყო იორკშირელი ოზის ერთადერთი განავარდება ამ შეხვედრაში, შესვენებიდან ორიოდ წუთი იყო გასული როცა „მელიების" გაჭირვების ტალკვესმა სტივ გაპიმ მასპინძლები დააწინაურა და როგორც გაირკვა, ეს იყო შეხვედრის ბოლო გოლი.

ამისდაკვალად, „ლივერპულმა" „ნიუკასლს" სძლია და „ლიდსს" ოთხი ქულითღა ჩამორჩება. მერსისაიდელთა მენეჯერმა ჟერარ ულიემ მაიკლ ოუენი დაასვენა, თუმცა, მის შემცვლელად გამწესებული ტიტი კამარა ბრწყინვალე ფორმაშია და ისევე როგორც წინა ტურში, ახლაც უაღრესად ტექნიკური გოლი გაიტანა. პირველი ტაიმი აკადემიური და ფრთხილი გამოვიდა, ნაღდი წეწვა-გლეჯა მეორეში ატყდა. აქვე უნდა ითქვას, რომ მასპინძელთა შემადგენლობას დაუბრუნდა მომჯობინებული კაპიტანი ჯემი რედნეპი. ანგარიში კამარამ გახსნა, მან სტივენ გერარდის კროსი აქცია გოლად. შემდეგ იყო ალან შირერის ოსტატური თავური და გოლი, რამაც თამაში ფრესკენ წაიყვანა და სწორედ აქ, 88-ე წუთზე გაიბრწყინა შეცვლაზე შემოსულმა რედნეპმა, მისი



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ქოვენთრი 3:0. მასპინძელი ემანუელ პეტი (№17) და სტუმარი სედრიკ რუსელი

(ასევე) თავური გამარჯვების მაუწყებელი გამოდგა.

მოიგო, „არსენალმაც", „რომელმაც 3:0 სძლია „ქოვენთრის" და პირველ წრეში განცდილი მარცხისთვის რევანში აიღო. „ქოვენთრის" კი ამ სეზონში პირველად ეყენა კარში 42 წლის სტივ ოგრიზოვიჩი. ბებრუხანა სტივი ერთი ტაიმის განმავლობაში უძალიანდებოდა მეთოფეებს და გვარიანადაც გაისარჯა (ორი კვირის წინათ „ბრენდფორდის" კარში ჩამდგარ თანატოლ ნევილ საუთჰოლისგან განსხვავებით) მაგრამ ტიერი ანრის, უილ გრიმანდისა და ნვანკვო კანუს დარტყმულებს ველარაფერი მოუხერხა. „ქოვენთრის" კი კვლავ რჩება პრემიერლიგის ერთადერთ გუნდად, წლეულს რომ გასვლაზე ვერ მოუგია.

| 16 | სოსიედადი | 30 | 8 | 11 | 11 | 32:38 | -6 | 35 | 15 | 8 | 4 | 3 | 21:15 | 6 | 28 | 15 | 0 | 7 | 8 | 11:23 | -12 | 7 |
| 17 | ბეტისი | 30 | 9 | 8 | 13 | 26:42 | -16 | 35 | 16 | 8 | 5 | 3 | 17:13 | 4 | 29 | 14 | 1 | 3 | 10 | 9:29 | -20 | 6 |
| 18 | ოვიედო | 30 | 8 | 9 | 13 | 30:46 | -16 | 33 | 14 | 8 | 4 | 2 | 16:8 | 8 | 28 | 16 | 0 | 5 | 11 | 14:38 | -24 | 5 |
| 19 | ატლეტიკო | 30 | 8 | 8 | 14 | 39:47 | -8 | 32 | 15 | 5 | 6 | 4 | 22:17 | 5 | 21 | 15 | 3 | 2 | 10 | 17:30 | -13 | 11 |
| 20 | სევილია | 30 | 5 | 12 | 13 | 35:46 | -11 | 27 | 14 | 5 | 6 | 3 | 19:12 | 7 | 21 | 16 | 0 | 6 | 10 | 16:34 | -18 | 6 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| სალვა (რასინგი) | 21 |
| ჰასელბაინკი (ატლეტიკო) | 21 |
| მილოშევიჩი (სარაგოსა) | 19 |
| კატანია (მალაგა) | 19 |

### XXXI ტური

1 აპრილი
სოსიედადი — რეალი
2 აპრილი
მალიორკა — ესპანიოლი
რასინგი — ალავესი
სარაგოსა — ბეტისი
სელტა — ვალიადოლიდი
რაიო — ნუმანსია
ატლეტიკო — ბილბაო
სევილია — დეპორტივო
ოვიედო — მალაგა
ბარსელონა — ვალენსია

## ჰოლანდია

XXVII ტური

**ფეიენოორდი 1:2 სპარტა**

1:0 დალ ტომასონი (5), 1:1 ნილსენი (42), 1:2 ბუხარი (86)

**აიაქსი 5:2 ნაიმეგენი**

0:1 დე გიერი (34), 1:1 ლაუდრუპი (36), 1:2 დე გიერი (39), 2:2 მახლასი (51), 3:2 გრონკიაერი (63), 4:2 მახლასი (65), 5:2 კნოპერი (86)

აიაქსი: გრიმი, ობრაიენი, ვან ჰალსტი, დე კლერი, ვინტერი (ჰეიე 83), კნოპერი, ვიჩგე (შ. არველაძე 67), ბ. ლაუდრუპი, მახლასი (ვერლაატი 73), გრონკიაერი

**ტვენტე 4:2 უტრეხტი**

0:1, 0:2 მარტელი (44, 69), 1:2 ტერ ავესტი (76), 2:2 ჰუვინგი (85), 3:2 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (90), 4:2 ვან დერ მეიდი (90)

**კამბური 2:2 როდა**

1:0 ვან უტრეხტი (18), 1:1 ფერიე (36 ს.კ.), 2:1 ტამერი (52), 2:2 ლუიპერსი (60)

**გრააფსხაპი 2:0 ვალვაიკი**

1:0 აქსი (14), 2:0 მერდინკი (25)

**ვიტესი 3:1 ჰერენვენი**

1:0 კრეეკი (15), 1:1 იენსენი (34), 2:1 ტრუსტფული (36), 3:1 ლაროსი (903)

**ალკმარი 2:0 დენ ბოსხი**

1:0 ფერტუტი (24), 2:0 ვან გალენი (90)

**სიტარდი 3:1 მაასტრიხტი**

1:0 გერიტსენი (2), 1:1 მუტსერსი (22), 2:1 გერიტსენი (27), 3:1 ამოა (73)

**ტილბურგი 0:0 პსვ**

„აიაქსის" ახალ მწვრთნელ ჰანს ვესტერჰოფს აშკარად წარმატებული დებიუტი ჰქონდა — მისი თავკაცობით ამსტერდამელებმა შინ „ნაიმეგენი" დაამარცხეს 5:2. „აიაქსში" კიდევ ორი აღსანიშნავი ფაქტი მოხდა. გუნდის ერთ-ერთმა წამყვანმა წევრმა რიხარდ ვიჩხემ ტრავმა მოიშუშა და ოთხთვიანი იძულებითი შესვენების შემდეგ გუნდს დაუბრუნდა. მინდორზე გამოჩნდა გამოჯანმრთელებული შოთა არველაძეც.

ამსტერდამელებმა, როგორც ყოველთვის, მთელი ყურადღება შეტევაზე გაამახვილეს და მეტოქეს კონტრდარტყმების მშვენიერი საშუალება მისცეს. 34-ე წუთზე დაისაჯნენ კიდეც — ნაიმეგენელმა ჯეკ დე გიერმა ანგარიში გახსნა და „ამსტერდამ არენაზე" შეკრებილი 35 ათასი ქომაგი ერთობ გააწბილა. გოლი „აიაქსის" დაცვის უხეშ შეცდომას მოჰყვა. დე გიერმა ერთობ თავისუფლად მიიღო ბურთი დაამუშავა და მეკარე ფრედ გრიმს პირველი გოლი გაუტანა.

გაშვებულმა ბურთმა ამსტერდამელები გამოაფხიზლა და ორ წუთში ბრაიან ლაუდრუპმა შეძლო გათანაბრება, მაგრამ მასპინძელთა დაცვამ ისევ მოისუსტა და დე გიერი გაეპარა, რომელმაც სამიოდ წუთში კვლავ დააწინაურა „ნაიმეგენი". პირველი ტაიმი „აიაქსმა" 1:2 წააგო.

მეორე ნახევარში „ნაიმეგენმა" დაცვაზე გადაიტანა აქცენტი და ამან აზარალა, „აიაქსის" მწვავე შეტევებს ველარ გაუძლო და სამი უპასუხო ბურთი გაუშვა. გოლები ნიკოს მახლასმა, იესპერ გრონკიაერმა და რიხარდ კნოპერმა გაიტანეს და „აიაქსს" გამარჯვება მოუპოვეს. თუმცა ამსტერდამულ კლუბს ჩვეულ ფორმამდე ბევრი უკლია და ახალ მწვრთნელ ჰანს ვესტერჰოფს საკმაო სამუშაო ელის, განსაკუთრებით დაცვის ხაზია მისახედი. როტერდამულ დერბიში მოულოდნელად დამარცხდა „ფეიენოორდი". 1981 წლის შემდეგ „სპარტამ" „ფეიენოორდს" შინ სტუმრად პირველად მოუგო. ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან გავარდნილმა „ფეიენოორდმა", ეტყობა, ფსიქოლოგიური ბარიერი ვერ გადალახა და არცთუ მრისხანე „სპარტაკთან" სამი ქულა დაკარგა. ახლა იგი გათამაშების ცხრილში მესამე ადგილზეა და სამი ქულით ჩამორჩება მეორეადგილოსან „ტვენტეს", რომელმაც მორიგ ტურში „უტრეხტს" სძლია 4:2.

„ტილბურგთან" სტუმრად ფრედ დასრულებული შეხვედრის მიუხედავად, ერთპიროვნულ ლიდერობას კვლავ ინარჩუნებს პსვ. იგი 8 ქულით უსწრებს „ტვენტეს" და თუ სასწაული არ მოხდა, დარჩენილ 7 ტურში უპირატესობას, ალბათ, ალარ დათმობს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 27 | 20 | 3 | 4 | 81:21 | 63 |
| ტვენტე | 27 | 15 | 10 | 2 | 46:23 | 55 |
| ფეიენოორდი | 27 | 15 | 7 | 5 | 53:33 | 52 |
| ჰერენვენი | 27 | 16 | 3 | 8 | 51:33 | 51 |
| აიაქსი | 26 | 15 | 5 | 6 | 61:37 | 50 |
| ალკმარი | 27 | 15 | 4 | 8 | 58:41 | 49 |
| ვიტესი | 27 | 13 | 8 | 6 | 51:39 | 47 |
| როდა | 27 | 12 | 6 | 9 | 47:39 | 42 |
| ტილბურგი | 27 | 11 | 6 | 10 | 42:48 | 39 |
| უტრეხტი | 27 | 11 | 3 | 13 | 45:50 | 36 |
| ვალვაიკი | 27 | 10 | 4 | 13 | 36:54 | 34 |
| სპარტა | 27 | 10 | 3 | 14 | 40:55 | 33 |
| სიტარდი | 27 | 8 | 7 | 12 | 39:42 | 31 |
| გრააფსხაპი | 27 | 7 | 8 | 12 | 34:44 | 29 |
| ნაიმეგენი | 27 | 6 | 4 | 17 | 33:54 | 22 |
| მაასტრიხტი | 27 | 4 | 6 | 17 | 33:60 | 18 |
| კამბური | 27 | 2 | 7 | 18 | 24:57 | 13 |
| დენ ბოსხი | 26 | 2 | 6 | 18 | 22:66 | 12 |

## ბელგია

XXVIII ტური

**გენტი 1:1 ლოკერენი**

0:1 იულა (8), 1:1 დალუმი (50)

**ჰარელბეკე 2:2 ანდერლეხტი**

1:0 ვოსტინი (1), 1:1 ვან დიმენი (30), 2:1 დიატელი (70), 2:2 კოლერი (75)

**გენკი 0:2 სენტ ტრუიდენი**

0:1 ვან ოკელენი (45), 0:2 რუდონია (51)

**ვესტერლო 3:2 ბეერსხოტი**

0:1 ვან დერ ჰიდენი (14), 1:1 პელიჩი (58), 1:2 დეგრიზი (76), 2:2 ზელენკა (79), 3:2 ტ. ბრონო (89)

**მეხელენი 2:0 აალსტი**

1:0 ვან ჰუტი (37), 2:0 ჟოაო ელიასი (83)

**მუსკრონი 3:3 ლიერსი**

0:1 ლაერემანსი (16), 1:1 ლავარე (31), 1:2 რუდი (45), 2:2 ვიდოვიჩი (69), 3:2 ტანგე (76), 3:3 ჰიუსგემსი (90)

ლიერსი: ნისი, ლაერემანსი, დე კისერი, ჰოფკენსი, დაემსი, ლეენი, სომერსი (ჰიუსგემსი 82), რუდი, სდებელი, ვან დე ვეირი, სპიტერი

**შარლერუა 1:1 ლომელი**

0:1 შეეპერსი (45), 1:1 სერხიო როხასი (59)

**ბევერენი 1:1 გეელი**

1:0 ნუპი (7), 1:1 პრეისინგერი (54)

**სტანდარდი 0:1 ბრიუგე**

0:1 ვერჰეიენი (16)

ერთპიროვნული ლიდერი „ანდერლეხტი" სტუმრად „ჰარელბეკეს" დაუზავდა 2:2, თუმცა ეს შედეგი სავსებით საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ გუნდს 12-ქულიანი უპირატესობა შეენარჩუნებინა. „ჰარელბეკე" კი, სახიფათო ზონას უკვე საკმაოდ გასცილდა და მეორე დივიზიონში, ალბათ, ალარ დაქვეითდება.

აღსანიშნავია, რომ მასპინძლები ორჯერ დაწინაურდნენ. პირველივე წუთზე სტივენ ვოსტინმა გამოიჩინა თავი, თუმცა 30-ზე პატრიკ ვან დიმენმა ანგარიში გაათანაბრა. მეორე ტაიმში ანდრეი დიატელმა თავისიანებს კვლავ მოუპოვა უპირატესობა, მაგრამ „ჰარელბეკემ" ჩეხი იან კოლერისგან გოლი გაუშვა და საბოლოოდ ფრეს დასჯერდა.

საკმაოდ საინტერესო გახლდათ ლიდერის მდევრების — „სტანდარდისა" და „ბრიუგეს" დუელი, რომელშიც სტუმარმა „ბრიუგემ" იმარჯვა 1:0, ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად ერთბაშად რამდენიმე გუნდი იბრძვის, მათ შორის ყველაზე რეალური კანდიდატები „სტანდარდი", „ბრიუგე" და „გენტი" არიან.

გელა შეყელაძის „ლიერსმა" „მუსკრონთან" საგარეო შეხვედრა ფრედ 3:3 დაასრულა, თუმცა შეხვედრის უკანასკნელ წუთზე სტენ ჰიუსგემსს გოლი რომ არ გაეტანა, შინ ქულასაც ვერ წაიღებდა. ქართველი ლეგიონერი არც ამჯერად გამოჩენილა მონდორზე.

იოჰან ბოსკამპის „კენკმა" კი გავარდნის პირას მყოფ „სენტ ტრუიდენს" სამი ქულა გაატანა. აუტსაიდერებმა მოგებით სატურნირო მდგომარეობა ოდნავ გაიუმჯობესეს, ხოლო „გენკი" უკვე მეცხრე ადგილზე დაქვეითდა.

აღსანიშნავია, რომ ჰოლანდიელმა სპეციალისტმა შინ ერი ფორვარდით თამაში არჩია და თავდასხმაში მხოლოდ ზორან ბანო გაამწესა. სტუმრები პირველი ტაიმის მიწურულს დარკ ვან ოკელენმა დააწინაურა, ისაიაშის ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს პოზიცია შეურჩია და თავით კარში გადაგზავნა. მეორე გოლიც თავურ დარტყმას მოჰყვა. ამჯერად მლადენ რუდონია გამოირჩა და საბოლოოდ — 2:0. „გენკი" ბურთს კიდევ გაუშვებდა, მეკარე იშტვან ბროკჰაუზერს რომ არ ეყოჩალა. იოჰან ბოსკამპის გუნდი კი, როგორც ჩანს, ღრმა კრიზისშია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 28 | 19 | 8 | 1 | 73:27 | 65 |
| სტანდარდი | 28 | 17 | 2 | 9 | 61:40 | 53 |
| ბრიუგე | 28 | 16 | 4 | 8 | 57:27 | 52 |
| გენტი | 28 | 16 | 3 | 9 | 64:46 | 51 |
| ლიერსი | 28 | 14 | 6 | 8 | 59:37 | 48 |
| მუსკრონი | 28 | 14 | 6 | 8 | 60:42 | 48 |
| ბეერსხოტი | 28 | 12 | 7 | 9 | 45:40 | 43 |
| ვესტერლო | 28 | 12 | 7 | 9 | 51:59 | 43 |
| გენკი | 28 | 12 | 6 | 10 | 52:48 | 42 |
| მეხელენი | 28 | 11 | 5 | 12 | 42:56 | 38 |
| ლოკერენი | 28 | 9 | 9 | 10 | 45:51 | 36 |
| აალსტი | 28 | 11 | 2 | 15 | 49:57 | 35 |
| ჰარელბეკე | 28 | 8 | 5 | 15 | 45:57 | 29 |
| ბევერენი | 28 | 7 | 8 | 13 | 40:52 | 29 |
| სტ. ტრუიდენი | 28 | 7 | 5 | 16 | 31:56 | 26 |
| შარლერუა | 28 | 5 | 7 | 16 | 32:56 | 22 |
| გეელი | 28 | 3 | 11 | 14 | 22:49 | 20 |
| ლომელი | 28 | 3 | 11 | 14 | 28:56 | 20 |

## ჩეხეთი

22-ე ტური. სიგმა – სლავია 0:2; სპარტა – ბრნო 3:0; დრნოვიცე – ბლშანი 2:0; იაბლონეცი – ბანიკი 2:2; დუკლა – ბუდეიოვიცე 1:0; ვიკტორია – ლიბერეცი 0:0; ოპავა – ჰ. კრალოვე 0:0; ტეპლიცე – ბოჰემიანსი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 22 | 18 | 4 | 0 | 41:10 | 58 |
| სპარტა | 22 | 17 | 3 | 2 | 59:19 | 54 |
| დრნოვიცე | 22 | 12 | 4 | 6 | 30:19 | 40 |
| ბოჰემიანსი | 22 | 8 | 7 | 7 | 19:19 | 31 |
| ტეპლიცე | 22 | 8 | 6 | 8 | 31:31 | 30 |
| ბლშანი | 22 | 9 | 3 | 10 | 22:34 | 30 |
| ბუდეიოვიცე | 22 | 8 | 3 | 11 | 26:33 | 27 |
| დუკლა | 22 | 7 | 6 | 9 | 23:30 | 27 |
| ბანიკი | 22 | 6 | 8 | 8 | 32:34 | 26 |
| ბრნო | 22 | 7 | 5 | 10 | 23:28 | 26 |
| ლიბერეცი | 22 | 5 | 10 | 7 | 13:16 | 25 |
| ოპავა | 22 | 5 | 8 | 9 | 26:28 | 23 |
| სიგმა | 22 | 4 | 11 | 7 | 24:30 | 23 |
| ვიკტორია | 22 | 5 | 7 | 10 | 28:37 | 22 |
| ჰ. კრალოვე | 22 | 3 | 9 | 10 | 17:28 | 18 |
| იაბლონეცი | 22 | 4 | 6 | 12 | 17:35 | 18 |

## უკრაინა

მე-17 ტური. დნიპრო – დინამო 0:2; ცსკა – ნივა 0:0; მეტალისტი – მარიუპოლი 2:0; კარპატი – პრიკარპატია 0:1; ჩორნომორეცი – შახტარი 0:3; მეტალურგი – ზაპოროჟიე 2:1; ზირკა – ვორსკლა 0:2; ტავრია – კრივბასი 2:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 17 | 15 | 2 | 0 | 42:7 | 47 |
| კრივბასი | 17 | 10 | 5 | 2 | 32:18 | 35 |
| ვორსკლა | 17 | 10 | 3 | 4 | 37:18 | 33 |
| შახტარი | 17 | 10 | 2 | 5 | 25:9 | 32 |
| მეტალისტი | 17 | 8 | 3 | 6 | 24:21 | 27 |
| ზაპოროჟიე | 17 | 7 | 5 | 5 | 22:18 | 26 |
| კარპატი | 17 | 8 | 0 | 9 | 27:23 | 24 |
| მეტალურგი | 17 | 6 | 5 | 6 | 22:21 | 23 |
| მარიუპოლი | 17 | 7 | 1 | 9 | 27:26 | 22 |
| ცსკა | 17 | 4 | 7 | 6 | 18:19 | 19 |
| პრიკარპატია | 17 | 4 | 6 | 7 | 13:23 | 18 |
| დნიპრო | 17 | 4 | 5 | 8 | 15:33 | 17 |
| ტავრია | 17 | 4 | 4 | 9 | 21:32 | 16 |
| ნივა | 17 | 3 | 6 | 8 | 22:33 | 15 |
| ჩორნომორეცი | 17 | 4 | 3 | 10 | 8:30 | 15 |
| ზირკა | 17 | 0 | 7 | 10 | 8:32 | 7 |

## პოლონეთი

მე-20 ტური. ზაგლებე – პლოცკი 5:0; ლეხი – ლეგია 1:2; გურნიკი – ვიძევი 0:1; ამიცა – ოდრა 1:0; ლკს – რაძიონკოვი 1:0; ვისლა – გროცლინი 3:0; პოლონია – სტომილი 2:0; რუხი – პოგონი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონია | 20 | 13 | 4 | 3 | 31:17 | 43 |
| რუხი | 20 | 11 | 7 | 2 | 38:17 | 40 |
| ლეგია | 20 | 9 | 10 | 1 | 38:21 | 37 |
| ვისლა | 20 | 10 | 6 | 4 | 37:24 | 36 |
| პოგონი | 20 | 8 | 8 | 4 | 31:27 | 32 |
| ამიცა | 20 | 7 | 8 | 5 | 30:25 | 29 |
| ზაგლებე | 20 | 7 | 7 | 6 | 23:21 | 28 |
| სტომილი | 20 | 6 | 8 | 6 | 22:29 | 26 |
| პლოცკი | 20 | 7 | 5 | 8 | 23:31 | 26 |
| ვიძევი | 20 | 6 | 6 | 8 | 26:30 | 24 |
| ოდრა | 20 | 6 | 5 | 9 | 23:25 | 23 |
| რაძიონკოვი | 20 | 6 | 3 | 11 | 20:31 | 21 |
| გურნიკი | 20 | 4 | 8 | 8 | 27:26 | 20 |
| ლკს | 20 | 4 | 7 | 9 | 16:22 | 19 |
| ლეხი | 20 | 4 | 6 | 10 | 27:36 | 18 |
| გროცლინი | 20 | 2 | 2 | 16 | 12:40 | 8 |

## რუსეთი

I ტური

**სპარტაკი 3:1 ალანია**

1:0 შირკო (5), 2:0 ბარანოვი (21), 3:0 ტიტოვი (45), 3:1 თედეევი (75)

**დინამო 2:0 სატურნი**

1:0 იზიბორი (24), 2:0 გუსევი (33)

**როტორი 2:0 ზენიტი**

1:0, 2:0 ოსიპოვი (65, 78)

**კრილია სოვეტოვი 1:0 ურალანი**

1:0 ივანოვი (85)

**ნ. ნოვგოროდი 0:0 ჩერნომორეცი**

**ფაკელი 1:1 როსტსელმაში**

1:0 გორბაჩევი (69), 1:1 მატვეევი (76)

**ლოკომოტივი 1:0 ცსკა**

1:0 ჯანაშია (76)

**ანჟი — ტორპედო**

გადაიდო

რუსეთის ჩემპიონატი დაიწყო, მაგრამ არა ისე, როგორც სურდათ. პირველ მატჩში მოსკოვის „ლოკომოტივი" ცსკა-ს ხვდებოდა. დედაქალაქელთა ორთაბრძოლამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია, სტადიონსაც მრავლად მიაწყდა მაყურებელი. მათმა უმეტესობამ კი ფეხბურთის ნაცვლად ცხენოსან მილიციელთა ხელკეტებით „ისიამოვნა". როგორც ამბობენ, მავან საქმოსნებს ყალბი ბილეთები და აბონემენტები დაუბეჭდავთ და გაუსაღებიათ. მილიციამ „ზედმეტი" გულშემატკივრების ალმოჩენა განიზრახა, მაგრამ მილეთის ხალხში რას გახდებოდა. ამიტომაც იყო, რომ მარჯვნივ და მარცხნივ ყველას „დუბინკებით" უმასპინძლდებოდა.

მატჩი შედგა და 2000 წლის ჩემპიონატის პირველ თამაშში ერთადერთი გოლის ავტორი ზაზა ჯანაშია გახდა. 76-ე წუთზე დმიტრი ლოსკოვის დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა და ჯანაშიამ დამატებაზე იხეირა.

ბოლო წუთებზე არმიელებმა რკინიგზელები საჯარიმოს მიაჯაჭვეს. ლოკომოტიველ მცველ იგორ ჩერევჩენკოს ნერვებმა უმტყუნა და მსაჯს წითელი ბარათი გამოსტ[illegible] წუთზე ცსკა-ს კაპიტანმა [illegible]მაკმა ანგარიში კი გაათანაბრა, მაგრამ მისი სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა — არბიტრმა წესების დარღვევა შენიშნა.

ჩეჩნეთის ომმა ფეხბურთსაც დაამჩნია კვალი. მოსკოვის „ტორპედო" დებიუტანტ „ანჟის" მახაჩკალაში უნდა გაჯიბრებოდა. მახაჩკალიდან ჩეჩნეთამდე კი, მოგეხსენებათ, ერთი ხელის გაწვდენაა. ორგანიზატორები შეშინდნენ, ემანდ რამე არ მოხდესო და მატჩი გადაიდო. საკითხავია, როდემდე?

ვლადიმერ გუცაევის ოფიციალური დებიუტი „ალანიას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მოსკოვში შედგა. მას არ გაუმართლა — პირველივე ტურში „სპარტაკი" ერგო მეტოქედ. ჩემპიონს ვლადიკავკაზელთა ძლევა არ გასჭირვებია და 3:1 მოიგო. სტუმართა შორის ქართველებიც იყვნენ: სილაგაძე, წერეთელი და აშვეთია.. მაგრამ ისინი ვერაფერს გახდნენ — რუსეთში „სპარტაკს" განსაკუთრებული ძალა აქვს. ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ მილიციელთა გარეშე ამ მატჩმაც არ ჩაიარა. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, სტადიონზე ხომ ვლადიმერ პუტინი მიბრძანებულიყო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| როტორი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| კრილია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| როსტსელმაში | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ფაკელი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ნ. ნოვგოროდი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ჩერნომორეცი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ტორპედო | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ანჟი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ცსკა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ურალანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ალანია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ზენიტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| სატურნი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |




REUTERS მოსკოვიდან

სპარტაკი — ალანია 3:1. ეგორ ტიტოვმა და მისმა „სპარტაკმა" მეტოქეს ერთი თავით აჯობეს

## საფრანგეთი

XXIX ტური

**რენი 3:0 ლანსი**
1:0, 2:0 ნონდა (42, 46), 3:0 ლერუ (50)

**ლიონი 2:0 სედანი**
1:0 მალბრანკი (49), 2:0 ანდერსონი (90)

**მონაკო 2:0 ნანტი**
1:0 პრსო (21), 2:0 ჟული (25)

**სტრასბური 3:1 მარსელი**
1:0 ერე (62), 1:1 ბაკაიოკო (67), 2:1 დუმა (85 ს.კ.), 3:1 დორნი (90)

**მონპელიე 2:0 ოსერი**
1:0, 2:0 რუი პატაკა (40, 65)

**პსჟ 2:1 ლე ავრი**
0:1 მამუნი (28), 1:1 იანოვსკი (35), 2:1 ლ. ლერუა (75)

**ბორდო 2:1 ნანსი**
1:0 პავონი (50), 1:1 ვიარსი (86), 2:1 ვილტორდი (90)

**ტრუა 1:0 ბასტია**
1:0 ვ. ჟუკიჩი (38)

**მეცი 1:1 სენტ ეტიენი**
0:1 მეტომო (10), 1:1 გაილო (83)

**გათამაშების** ერთპიროვნულმა ლიდერმა „მონაკომ“ „ნანტს“ უმასპინძლა, 2:0 დაამარცხა და ჩემპიონის ტიტული გუნდის ისტორიაში მეშვიდედ თითქმის დაიბევა. პირველ ტაიმში დადო პრსომ და ლუდოვიკ ჟულიმ თითო-თითოჯერ გამოიჩინეს თავი და „მონაკოს“ სეზონში მეცხრამეტე გამარჯვება მოუპოვეს. უახლოეს მდევარ ლიონის „ოლიმპიკს“, რომელმაც შინ „სედანი“ დაამარცხა 2:0, „მონაკო“ კვლავ 13 ქულით უსწრებს და დარჩენილ ხუთ ტურში ერთი გამარჯვებაც ჰყოფნის, რათა ჩემპიონობა ვადაზე ადრე მოიპოვოს.

„მარსელის „ოლიმპიკის“ წინააღმდეგ „ველოდრომზე“ გასამართ მომავალი ტურის შეხვედრას მოუთმენლად ველით — თქვა გოლის ავტორმა ჟულიმ — გვჯერა, გავიმარჯვებთ და ჩემპიონის ტიტულს ნაადრევად მოვიპოვებთ, გულშემატკივრობა ალბათ არც სტუმრად მოგვაკლდება, თუმცა, გამოგიტყდებით, რომ მარსელში მოგება იოლი არ გახლავთ, გუნდს ახლა ქულები სჭირდება, გასავარდნ ზონას საკმაოდ მიუახლოვდა და ალბათ არაფერს დათმობს. მატჩი ერთობ საინტერესო იქნება“.

შინ მიღწეული წარმატებით და თითქმის ჩემპიონობის მიღწევით კმაყოფილი ჩანდა „მონაკოს“ თავკაცი კლოდ პიუელი, რომელმაც განაცხადა: „დღეს კარგი თამაში იყო, თუმცა ზოგი დეტალი დასახვეწია, მარსელში ჩასვლამდე დავისვენებთ და ხარვეზებს გამოვასწორებთ. კარგია, როდესაც ჩემპიონობას ოთხი ტურით ადრე ინაღდებ“.

მატჩი საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. ორი გაშვებული გოლის მიუხედავად „ნანტს“ ფარ-ხმალი ბოლო წუთებამდე არ დაუყრია, ბარტეზის კარს რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტია და მეკარეს თავისი ოსტატობის გამოვლენა მოუხდა. აღსანიშნავია, რომ ბარტეზი საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე დაშავდა და შეცვალეს.

ჩემპიონატის ვერცხლის მედლების ბედი ჯერ კიდევ გაურკვეველია, ძირითადი პრეტენდენტები „ლიონი“ და პსჟ არიან. როგორც მოგახსენეთ, „ლიონმა“ შინ „სედანი“ დაამარცხა 2:0 და 48 ქულით მეორე ადგილზე დამკვიდრდა. პსჟ-მ კი გავარდნის ერთ-ერთ კანდიდატ „ლე ავრს“ უმასპინძლა, 2:1 დაამარცხა და „ლიონს“ ქულით ჩამორჩება. თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, 28-ე წუთზე ქარიმ კერკარის ჩაწოდებული კუთხური მამარ მამუნიმ ზუსტად გამოიყენა და ბურთი თავით კარში გადაგზავნა, თუმცა აუტსაიდერმა ანგარიში ვერ შეინარჩუნა, 35-ე და 75-ე წუთებზე ორი გოლი გაუშვა და დამარცხდა, სატურნირო მდგომარეობაც ერთობ გაირთულა.

უეფას თასზე მიღწეული წარმატებისა და ნახევარფინალში მოხვედრის შემდეგ „ლანსი“ სტუმრად „რენთან“ დამარცხდა 0:3. საოცარია, მაგრამ გასავარდნ ზონასაც თითქმის სულ ალაფერი (3 ქულა) აშორებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 29 | 19 | 4 | 6 | 58:25 | 61 |
| ლიონი | 29 | 14 | 6 | 9 | 37:35 | 48 |
| პსჟ | 29 | 13 | 8 | 8 | 42:35 | 47 |
| ბორდო | 29 | 12 | 8 | 9 | 44:36 | 44 |
| სედანი | 29 | 12 | 7 | 10 | 38:38 | 43 |
| ოსერი | 29 | 12 | 6 | 11 | 30:32 | 42 |
| ბასტია | 29 | 10 | 10 | 9 | 35:31 | 40 |
| რენი | 29 | 11 | 7 | 11 | 39:36 | 40 |
| სენტ ეტიენი | 29 | 11 | 7 | 11 | 40:43 | 40 |
| სტრასბური | 29 | 11 | 6 | 12 | 37:45 | 39 |
| მეცი | 29 | 7 | 16 | 6 | 33:28 | 37 |
| ლანსი | 29 | 10 | 7 | 12 | 31:33 | 37 |
| ნანტი | 29 | 10 | 5 | 14 | 35:37 | 35 |
| მარსელი | 29 | 8 | 11 | 10 | 35:37 | 35 |
| ტრუა | 29 | 11 | 2 | 16 | 28:45 | 35 |
| ნანსი | 29 | 9 | 7 | 13 | 33:37 | 34 |
| ლე ავრი | 29 | 9 | 7 | 13 | 28:41 | 34 |
| მონპელიე | 29 | 6 | 8 | 15 | 32:41 | 26 |

### მეორე დივიზიონი

გადადებული მატჩი: გენიონი — კაენი 4:0
30-ე ტური. კაენი — ამიენი 4:1; ნიორი — ლავალი 3:2; კანი — ლილი 2:2; ტულუზი — ნიცა 0:0; ვალანსი — სოშო 2:1; ვასკეალი — ნიმი 0:0; ლე მანი — გენგამი 1:1; ლორიანი — გენიონი 0:3; ლუანი — აიაჩო 1:1; კრეტეი — შატორუ 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 30 | 21 | 5 | 4 | 45:20 | 68 |
| გენგამი | 30 | 14 | 10 | 6 | 52:36 | 52 |
| ტულუზი | 30 | 14 | 7 | 9 | 41:24 | 49 |
| აიაჩო | 30 | 13 | 6 | 11 | 30:30 | 45 |
| კაენი | 30 | 10 | 13 | 7 | 39:29 | 43 |
| ლე მანი | 30 | 10 | 13 | 7 | 36:33 | 43 |
| ლავალი | 30 | 11 | 10 | 9 | 34:31 | 43 |
| გენიონი | 30 | 9 | 15 | 6 | 38:26 | 42 |
| სოშო | 30 | 12 | 6 | 12 | 36:36 | 42 |
| ნიმი | 30 | 10 | 10 | 10 | 36:32 | 40 |
| ლორიანი | 30 | 11 | 7 | 12 | 28:31 | 40 |
| შატორუ | 30 | 9 | 10 | 11 | 30:34 | 37 |
| კანი | 30 | 8 | 12 | 10 | 24:28 | 36 |
| ნიცა | 30 | 6 | 17 | 7 | 20:26 | 35 |
| ამიენი | 30 | 7 | 13 | 10 | 29:34 | 34 |
| ნიორი | 30 | 7 | 13 | 10 | 29:36 | 34 |
| კრეტეი | 30 | 8 | 9 | 13 | 26:37 | 33 |
| ვასკეალი | 30 | 6 | 12 | 12 | 23:34 | 30 |
| ვალანსი | 30 | 4 | 13 | 13 | 26:41 | 25 |
| ლუანი | 30 | 5 | 9 | 16 | 23:47 | 24 |



მონაკო — ნანტი 2:0. მონაკოელი დადო პრსო (№20) ნანტელი ნესტორ ფაბრის შეჩერებას ცდილობს

## შოტლანდია

XXVIII ტური

**რეინჯერსი 4:0 სელტიკი**
1:0 ალბერტცი (3), 2:0 კანჩელსკისი (41), 3:0 ალბერტცი (85), 4:0 ვან ბრონკჰორსტი (87)
რეინჯერსი: კლოსი, ლ. ამორუზო, ნუმანი, ბ. ფერგიუსონი, კანჩელსკისი, ვან ბრონკჰორსტი, უოლესი, ალბერტცი (თუგაი 85), კ. რეინა, უილსონი, დოდსი (მაკკანი 64)
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
სელტიკი: გოულდი, რისეტი, მაე (ტებილი 7), ბოიდი, მიალბი, მაკნამარა, ლამბერტი (ბერჩილი 71), პეტროვი, ვიდუკა, მორავჩიკი, იონსონი
მწვრთნელი: კენი დალგლიში
გაფრთხილება: ფერგიუსონი, ნუმანი, მაკნამარა, ვიდუკა, პეტროვი
მსაჯი: იუნგი
50 039 მაყურებელი

**დანდი იუნ. 1:1 აბერდინი**
0:1 სტავრუმი (5), 1:1 ფერაზი (26)

**ჰართსი 0:0 მოზერუელი**

**კილმარნოკი 1:0 ჰიბერნიანი**
1:0 ვარეილე (52)

**სენტ ჯონსტონი 2:1 დანდი**
1:0 ბოლანი (45), 1:1 ფალკონერი (47), 2:1 მილარი (90)

**კიდევ** ერთხელ დამტკიცდა, რომ დღესდღეობით საუკეთესო შოტლანდიური გუნდი „რეინჯერსია“. კვირას ტურის და, ალბათ, სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი გაიმართა. „აიბროქსის“ სტადიონზე „რეინჯერსმა“ თანაქალაქელ „სელტიკს“ უმასპინძლა. გუნდებს ერთმანეთისგან 12 ქულა აშორებდათ, თუმცა მათი დაპირისპირება, როგორც ყოველთვის, პრინციპული და დაძაბული გახლდათ.

მატჩის წინ ერთ-ერთი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში „სელტიკის“ შვედმა მცველმა იოჰან მიალბიმ გაბედა და „რეინჯერსს“ დაემუქრა: „ვიცი, რომ „სელტიკი“ „რეინჯერსზე“ უკეთესი გუნდია. თუ მოვინდომებთ და სწორ ტაქტიკას ავირჩევთ, მათი დამარცხება არ გაგვიჭირდება“.

თუმცა კვირას გამართულმა მატჩმა მიალბის მოსაზრება მთლიანად გააქარწყლა — „რეინჯერსმა“ მეტოქეს ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა და შერცხვენილი გაუშვა შინ. გამოცდილმა იორგ ალბერტცმა მატჩის დებიუტში და მიწურულს ორჯერ გამოიჩინა თავი და დუბლი შეასრულა, რასაც ანდრეი კანჩელსკისმა და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმა თითო-თითო გოლი დაუმატეს და „რეინჯერსს“ სავსებით დამსახურებული გამარჯვება მოუპოვეს. გუნდის ჩემპიონობა ეჭვს აღარ იწვევს, „რეინჯერსსა“ და „სელტიკს“ შორის ქულათა სხვაობა უკვე 15 ქულაა.

„როდესაც დღევანდელ გაზეთში მიალბის ინტერვიუ წავიკითხე, მეგონა, რომ 12 ქულით წინ „სელტიკი“ იყო და არა „რეინჯერსი“ — ამბობს პოტენციურ ჩემპიონთა თავკაცი დიკ ადვოკაატი — ბიჭებს გამარჯვება სწყუროდათ და მიაღწიეს კიდეც ამას. ნამდვილად გავიხარე“.

მიმდინარე სეზონში ჩატარებული ოთხი დერბიდან „სელტიკმა“ ერთხელაც ვერ გაიმარჯვა. ეს ბოლო 12 წლის ყველაზე ცუდი შედეგი გახლდათ. „რეინჯერსი“ წლეულს ნამდვილად ძლიერი გუნდია — ამბობს „სელტიკის“ თავკაცი კენი დალგლიში — ეს სიმართლეა და უნდა ვაღიარო, თუმც ვგრძნობ, რომ „სელტიკის“ გელშემატკივარი დღეს აშკარად გაწბილდა. ამის საბაბი მათ ნამდვილად ჰქონდათ“.

„აიბროქსზე“ შეკრებილი „სელტიკის“ 7 ათასი ქომაგი მატჩის მესამე წუთზე იორგ ალბერტცმა დაალონა, ტაიმის მიწურულს კი ანდრეი კანჩელსკისმა მეორე გაიტანა და გამარჯვებულის ვინაობა იმთავითვე გამოავლინა.

მერე ეჭვი აღარავის შეჰპარვია, რომ „რეინჯერსი“ მოიგებდა. 85-ე და 87-ე წუთებზე ალბერტცმა და ბრონკჰორსტმა თითოც გაიტანეს და „სელტიკის“ განადგურებას საბოლოოდ დაუსვეს წერტილი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 26 | 20 | 5 | 1 | 75:20 | 65 |
| სელტიკი | 26 | 16 | 2 | 8 | 70:30 | 50 |
| ჰართსი | 27 | 11 | 7 | 9 | 39:33 | 40 |
| მოზერუელი | 26 | 9 | 9 | 8 | 35:47 | 36 |
| სტ. ჯონსტონი | 28 | 8 | 9 | 11 | 27:33 | 33 |
| ჰიბერნიანი | 28 | 8 | 9 | 11 | 40:47 | 33 |
| დანდი იუნ. | 25 | 9 | 6 | 10 | 28:39 | 33 |
| დანდი | 27 | 8 | 3 | 16 | 33:54 | 27 |
| კილმარნოკი | 27 | 4 | 13 | 10 | 28:35 | 25 |
| აბერდინი | 26 | 6 | 5 | 15 | 31:68 | 23 |




რეინჯერსი — სელტიკი 4:0. რეინჯერსელ ბარი ფერგიუსონს „სელტიკის“ მეკარე ჯონათან გოულდმა ხელი ვერ შეუშალა, თუმცა გოლი მაინც არ გავიდა

## საბერძნეთი

25-ე ტური. ოლიმპიაკოსი — პანათინაიკოსი 2:2; არისი — აეკ 1:1; ტრიკალა — ოფი 1:1; პანიონიოსი — პროდეფტიკი 2:1; პანილიაკოსი — ეთნიკოსი 2:0; კავალა — ქსანტი 1:0; კალამატა — ირაკლისი 2:2; აპოლონი — პანაჰაიკი 0:0; იონიკოსი — პაოკ 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 25 | 22 | 1 | 2 | 69:16 | 67 |
| პანათინაიკოსი | 25 | 20 | 4 | 1 | 64:18 | 64 |
| ოფი | 25 | 14 | 8 | 3 | 42:29 | 50 |
| აეკ | 25 | 12 | 5 | 8 | 44:32 | 41 |
| არისი | 25 | 11 | 7 | 7 | 37:29 | 40 |
| ირაკლისი | 25 | 11 | 4 | 10 | 43:43 | 37 |
| პანიონიოსი | 25 | 12 | 1 | 12 | 39:44 | 37 |
| პაოკ | 25 | 9 | 8 | 8 | 40:31 | 35 |
| ქსანტი | 25 | 9 | 8 | 8 | 26:29 | 35 |
| იონიკოსი | 25 | 8 | 10 | 7 | 31:31 | 34 |
| პანილიაკოსი | 25 | 9 | 4 | 12 | 31:33 | 31 |
| ეთნიკოსი | 25 | 8 | 3 | 14 | 22:37 | 27 |
| კალამატა | 25 | 6 | 8 | 11 | 26:44 | 26 |
| კავალა | 25 | 7 | 5 | 13 | 25:43 | 26 |
| პანაჰაიკი | 25 | 5 | 9 | 11 | 24:34 | 24 |
| ტრიკალა | 25 | 4 | 6 | 15 | 24:51 | 18 |
| პროდეფტიკი | 25 | 3 | 7 | 15 | 18:39 | 16 |
| აპოლონი | 25 | 3 | 6 | 16 | 16:38 | 15 |

## შვეიცარია

მე-3 ტური. გრასჰოპერი — ივერდონი 4:1; ლუცერნი — ბაზელი 3:2; სერვეტი — სენტ გალენი 1:2; ლოზანა — ქსამაქსი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:5 | 30 |
| გრასჰოპერი | 3 | 1 | 2 | 0 | 10:7 | 22 |
| ლოზანა | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 22 |
| ბაზელი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 21 |
| ლუცერნი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:6 | 20 |
| სერვეტი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 18 |
| ქსამაქსი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 18 |
| ივერდონი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:9 | 15 |

## დანია

21-ე ტური. აკადემისკი — სილკებორგი 2:0; ორჰუსი — ჰერფიოლგე 2:3; ოლბორგი — ოდენსე 1:2; ვაილე — კოპენჰაგენი 2:7; ვიბორგი — ესბიერგი 2:3; ბრონდბიუ — ლიუნგბიუ 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერფიოლგე | 21 | 12 | 4 | 5 | 35:28 | 40 |
| ბრონდბიუ | 21 | 10 | 5 | 6 | 37:24 | 35 |
| აკადემისკი | 21 | 9 | 6 | 6 | 33:26 | 33 |
| ლიუნგბიუ | 21 | 10 | 3 | 8 | 33:30 | 33 |
| ვიბორგი | 21 | 9 | 5 | 7 | 29:29 | 32 |
| სილკებორგი | 21 | 8 | 7 | 6 | 36:21 | 31 |
| ოლბორგი | 21 | 7 | 9 | 5 | 32:25 | 30 |
| კოპენჰაგენი | 21 | 8 | 4 | 9 | 27:21 | 28 |
| ოდენსე | 21 | 5 | 8 | 8 | 18:27 | 23 |
| ორჰუსი | 21 | 5 | 6 | 10 | 21:33 | 21 |
| ესბიერგი | 21 | 6 | 2 | 13 | 24:40 | 20 |
| ვაილე | 21 | 3 | 9 | 9 | 23:44 | 18 |

## ავსტრია

26-ე ტური. ავსტრია — ტიროლი 2:0; ბრეგენცი — გრაცერი 3:1; ლინცერი — რაპიდი 1:1; ზალცბურგი — ლუსტენაუ 2:0; შტურმი — რიდი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 26 | 15 | 5 | 6 | 45:20 | 50 |
| ტიროლი | 26 | 15 | 5 | 6 | 38:23 | 50 |
| შტურმი | 26 | 14 | 7 | 5 | 49:22 | 49 |
| ავსტრია | 26 | 12 | 6 | 8 | 35:29 | 42 |
| გრაცერი | 26 | 11 | 4 | 11 | 33:37 | 37 |
| რიდი | 26 | 10 | 6 | 10 | 39:30 | 36 |
| ზალცბურგი | 26 | 9 | 8 | 9 | 26:29 | 35 |
| ლინცერი | 26 | 6 | 6 | 14 | 27:39 | 24 |
| ბრეგენცი | 26 | 5 | 5 | 16 | 19:55 | 20 |
| ლუსტენაუ | 26 | 4 | 6 | 16 | 17:44 | 18 |

## თურქეთი

26-ე ტური. ანკარაგიუჯიუ — გენჩლერბირლიგი 0:0; ანთალია — გიოზთეფე 1:0; ქოჯაელი — ალთაი 2:1; გალათასარაი — ფენერბაჰჩე 0:1; ისთანბული — ვანი 0:0; ბურსა — სამსუნი 2:2; ადანა — ერზურუმი 2:0; ტრაბზონი — ბეშიქთაში 1:2; გაზიანთეფი — დენიზლი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 26 | 21 | 3 | 2 | 59:17 | 66 |
| ბეშიქთაში | 26 | 18 | 4 | 4 | 51:15 | 58 |
| ფენერბაჰჩე | 26 | 12 | 10 | 4 | 43:33 | 46 |
| გაზიანთეფი | 26 | 11 | 10 | 5 | 34:19 | 43 |
| სამსუნი | 26 | 12 | 4 | 10 | 42:33 | 40 |
| ტრაბზონი | 26 | 11 | 7 | 8 | 34:26 | 40 |
| დენიზლი | 26 | 10 | 7 | 9 | 40:42 | 37 |
| ადანა | 26 | 10 | 5 | 11 | 38:40 | 35 |
| გენჩლერბირ. | 26 | 9 | 8 | 9 | 32:34 | 35 |
| ალთაი | 26 | 9 | 6 | 11 | 30:32 | 33 |
| ანთალია | 26 | 9 | 6 | 11 | 30:42 | 33 |
| ბურსა | 26 | 8 | 6 | 12 | 37:44 | 30 |
| ანკარაგიუჯიუ | 26 | 7 | 8 | 11 | 32:41 | 29 |
| ქოჯაელი | 26 | 8 | 5 | 13 | 35:46 | 29 |
| ერზურუმი | 26 | 7 | 7 | 12 | 27:42 | 28 |
| ისთანბული | 26 | 5 | 11 | 10 | 25:33 | 26 |
| გიოზთეფე | 26 | 5 | 5 | 16 | 17:37 | 20 |
| ვანი | 26 | 3 | 6 | 17 | 27:57 | 15 |

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანელი** ფორვარდი სებასტიან კნეისლი ფრანკფურტის „აინტრახტის" ახალგაზრდული გუნდიდან „ჩელსიში" გადავიდა. 17 წლის ფეხბურთელის გადაბირებას „აიაქსი", „ლაციო", „რეალი" და „ბაიერნი" ცდილობდნენ, მაგრამ საბოლოოდ ლონდონურმა კლუბმა იყოჩაღა და კნეისლი ხელში ჩაიგდო. თავდამსხმელი ინგლისს ივლისიდან ეწვევა და „ჩელსიში" თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხება. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის წინ უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა ახალგაზრდა ფეხბურთელთა ტრანსფერები მიუღებლად მიიჩნია: „მოზარდ ფეხბურთელთა ტრანსფერები სერიოზულად დაფიქრებას მოითხოვს, ვერაფრით ვამართლებ, როცა 15 წლის ფეხბურთელთა ერთიდან მეორე კლუბში გადასვლის სისტემატური ხასიათი აქვს". „ბოლონიამ" ცოტა ხნის წინ 15 წლის შვედი ფეხბურთელი ფრედრიკ ჰენსონი შეიძინა.

**იტალიური „რომას" ფრანგმა ლეგიონერმა ვინსენ კანდელამ სერია A-ს ბოლო ტურში, „ლაციოს" წინააღმდეგ მატჩში, კუნთი დაიჭიმა. ექიმების ცნობით, ტრავმა სერიოზულია და ფეხბურთელი დაახლოებით ერთ თვეს ვერ ითამაშებს. კანდელა, ბუნებრივია მომავალ ოთხშაბათს საფრანგეთის ნაკრებსაც ვერ დაეხმარება შოტლანდიასთან ამხანაგურ შეხვედრაში.**

**იტალიის** ნაკრების თავკაც დინო ძოფის დიდი თავსატეხი გაუჩნდა —ტრავმირებული კრისტიან ვიერი, შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატამდე ვერ გამოჯანმრთელდეს და „სკუადრა აძურას" ბელგია-ჰოლანდიაში გამოაკლდეს. ვიერი თებერვლის ბოლოს დაშავდა, ფეხბურთელს უახლოეს დღეებში ხელმეორე გამოკვლევებს ჩაუტარებენ, ექიმები ფიქრობენ, რომ იგი ჯერჯერობით ვერ ითამაშებს.

## პორტუგალია

XXVII ტური

**ამადორა 1:1 ფარენსე**
1:0 ბეზერა (13), 1:1 რედუანი (37)

**რიუ ავე 0:0 ლეირია**

**ჟილ ვისენტე 2:0 სეტუბალი**
1:0 ტავარეში (42), 2:0 კარლიტუში (90პ)

**ბოავიშტა 2:1 სანტა კლარა**
1:0 ველიტონ სილვა (5), 2:0 ჟოზე როჟერიუ (35), 2:1 ელ იდრისი (68)

**ალვერკა 2:0 სალგეირუში**
1:0 მატუში (10), 2:0 დუდა (45)

**ბელენენსეში 2:0 გიმარაეში**
1:0 ფილგუიერა (30), 2:0 სება ფერნანდესი (51)

**პორტუ 3:2 მარიტიმუ**
0:1 ილიევი (11), 1:1 ჟარდელი (24), 1:2 რამონი (34), 2:2 ჟარდელი (44), 3:2 ნუნო კაპუჩო (57)

**ბრაგა 3:2 ბენფიკა**
1:0 ტაილსონი (17), 1:1 საბრი (45პ), 1:2 ნუნუ გომეში (53), 2:2 ჟოზე ნუნო (83), 3:2 ოდაირ ბორგესი (88)

**კამპომაიორენსე 0:2 სპორტინგი**
0:1, 0:2 ალბერტო აკოსტა (42, 64პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 27 | 18 | 7 | 2 | 46:19 | 61 |
| პორტუ | 27 | 18 | 6 | 3 | 52:18 | 60 |
| ბენფიკა | 27 | 16 | 6 | 5 | 44:25 | 54 |
| გიმარაეში | 27 | 14 | 4 | 9 | 42:29 | 46 |
| ბოავიშტა | 27 | 12 | 6 | 9 | 29:24 | 42 |
| ჟილ ვისენტე | 27 | 11 | 8 | 8 | 35:27 | 41 |
| მარიტიმუ | 27 | 10 | 9 | 8 | 31:28 | 39 |
| ამადორა | 27 | 7 | 13 | 7 | 28:26 | 34 |
| ალვერკა | 27 | 9 | 7 | 11 | 31:37 | 34 |
| ბელენენსეში | 27 | 7 | 12 | 8 | 29:29 | 33 |
| ფარენსე | 27 | 7 | 10 | 10 | 28:47 | 31 |
| ლეირია | 27 | 7 | 9 | 11 | 24:28 | 30 |
| ბრაგა | 27 | 9 | 3 | 15 | 32:38 | 30 |
| რიუ ავე | 27 | 7 | 8 | 12 | 28:39 | 29 |
| კამპომაიორ. | 27 | 7 | 6 | 14 | 24:40 | 27 |
| სალგეირუში | 27 | 7 | 5 | 15 | 21:37 | 26 |
| სეტუბალი | 27 | 6 | 5 | 16 | 19:40 | 23 |
| სანტა კლარა | 27 | 4 | 10 | 13 | 24:36 | 22 |

## ამხანაგური მატჩები

29 მარტი

**პორტუგალია — დანია**

დანიის ნაკრების შემადგენლობა

*მეკარეები: პიტერ შმაიხელი (სპორტინგი, პორტუგალია), ტომას სორენსენი (სანდერლენდი, ინგლისი);*

*მცველები: სორენ კოლდინგი (ბრონდბიუ), იან ჰაინცე (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), რენე ჰენრიკსენი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), იეს ჰოგი (ჩელსი, ინგლისი), მარტინ ლაურსენი (ვერონა, იტალია), მიხაელ შონბერგი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია);*

*ნახევარმცველები: ბიარნე გოლდბეკი (ფულემი, ინგლისი), თომას ჰელვეგი (მილანი, იტალია), მარტინ იორგენსენი (უდინეზე, იტალია), ბრაიან სტენ ნილსენი (კოპენჰაგენი), სტიგ ტოფტინგი (დუისბურგი, გერმანია), მორტენ ვიგჰორსტი (სელტიკი, შოტლანდია);*

*თავდამსხმელები: იესპერ გრონკიაერი (აიაქსი, ჰოლანდია), მიკლოშ მოლნარი (კანზას სიტი, აშშ), ებე სანდი (შალკე, გერმანია), იონ დალ ტომასონი (ფეიენოორდი, ჰოლანდია)*

პორტუგალიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა

*მეკარეები: ვიტორ ბაია (პორტუ), პედრო ეშპინია (გიმარაეში);*

*მცველები: აბელ შავიერი (ევერტონი, ინგლისი), კარლოს სეკრეტარიუ, ჟორჟე კოშტა (ორივე პორტუ), ფერნანდო კოუტუ (ლაციო, იტალია), დიმაშ ტეიშეირა (სტანდარდი, ბელგია), ბეტო, რუი ჟორჟე (ორივე სპორტინგი);*

*ნახევარმცველები: ვიდიგალი (სპორტინგი), მანუელ რუი კოშტა (ფიორენტინა, იტალია), ლუიშ ფიგუ (ბარსელონა, ესპანეთი), სერჟიო კონსეისაო (ლაციო, იტალია), ნუნო კაპუჩო (პორტუ), დანი კარვალიო (აიაქსი, ჰოლანდია), კოსტინია (მონაკო, საფრანგეთი);*

*თავდამსხმელები: ჟოაო პინტუ, ნუნუ გომეში (ორივე ბენფიკა), რიკარდუ სა პინტუ (სოსიედადი, ესპანეთი), რესენდეს პაულეტა (დეპორტივო, ესპანეთი).*

29 მარტი

**ხორვატია — გერმანია**

გერმანიის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა

*მეკარეები: ოლივერ კანი (ბაიერნი), იენს ლემანი (ბორუსია, დორტმუნდი);*

*მცველები: მარკუს ბაბელი, თომას ლინკე (ორივე ბაიერნი), ლოთარ მათეუსი (ნიუ იორკ მეტროსტარზი, აშშ), იენს ნოვოტნი (ბაიერი, ლევერკუზენი), მარკო რემერი (ჰერტა), კრისტიან ვიორნსი (ბორუსია, დორტმუნდი);*

*ნახევარმცველები: მიხაელ ბალაკი, შტეფან ბაინლიხი (ორივე ბაიერი, ლევერკუზენი), სებასტიან დაისლერი (ჰერტა), იენს იერემისი, მეჰმეტ შოლი (ორივე ბაიერნი), დარიუშ ვოში (ჰერტა), კრისტიან ციგე (მიდლსბრო, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: ოლივერ ბირჰოფი (მილანი, იტალია), მარკო ბოდე (ვერდერი), ულფ კირსტენი, ოლივერ ნოივილი, პაულო რინკი (ყველა ბაიერი, ლევერკუზენი)*

29 მარტი

**შოტლანდია — საფრანგეთი**

საფრანგეთის ეროვნული ნაკრების შემადგენლობა

*მეკარეები: ლიონელ ლეტიზი (მეცი), ულრიხ რამე (ბორდო);*

*მცველები: ლორან ბლანი (ინტერი, იტალია), მარტინ ჯეტუ (მონაკო), მარსელ დესაი, ფრანკ ლებეფი (ორივე ჩელსი, ინგლისი), ბიქსენტ ლიზარაზუ (ბაიერნი, გერმანია), ლილიან ტურამი (პარმა, იტალია);*

*ნახევარმცველები: დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ემანუელ პეტი, პატრიკ ვიეირა (ორივე არსენალი, ინგლისი), რობერ პირესი (მარსელი), იოან მიკუ (ბორდო);*

*თავდამსხმელები: იური ჯორკაეფი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), კრისტოფ დიუგარი, სილვენ ვილტორდი (ორივე ბორდო), ლუდოვიკ ჟული, დავიდ ტრეზეგე (ორივე მონაკო), ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი)*

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისი. II დივიზიონი

28 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | რექსემი-სკანთორპი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 002 | ბრისტოლი-სტოკი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 003 | ჩესტერფილდი-ბერი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 004 | უიკომბი-ჯილინგემი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

### ინგლისი. III დივიზიონი

28 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 005 | კარლაისლი-სუონსი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 006 | მენსფილდი-როჩდეილი | 2,0 | 3,0 | 3,3 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი

28 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 007 | გენიონი-კრეტეი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

30 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 008 | გენგამი-კაენი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

### დანია

28 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 009 | ორჰუსი-ესბიერგი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### მჩ შესარჩევი მატჩები

28 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 501 | კოლუმბია-ბრაზილია | 3,4 | 2,9 | 2,0 |

29 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 502 | ეკვადორი-ვენესუელა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 503 | ურუგვაი-ბოლივია | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 504 | არგენტინა-ჩილე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 505 | პერუ-პარაგვაი | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ამხანაგური მატჩები

28 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 06 | მალტა-ჩრდ.ირლანდია | 6,0 | 3,3 | 1,5 |

29 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 507 | ბულგარეთი-ბელარუსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 508 | ისრაელი-საქართველო ანგარიში – 5,0 | | | |
| 509 | ჩეხეთი-ავსტრალია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 510 | საბერძნეთი-რუმინეთი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 511 | ხორვატია-გერმანია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 512 | ავსტრია-შვედეთი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 513 | ბელგია-ჰოლანდია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 514 | შვეიცარია-ნორვეგია | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 515 | უნგრეთი-პოლონეთი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 516 | უელსი-ფინეთი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 517 | შოტლანდია-საფრანგეთი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 518 | ესპანეთი-იტალია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 519 | პორტუგალია-დანია | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### კალათბურთი

28 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 801 | ნიუ ჯერსი-ინდიანა | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 802 | ორლანდო-ბოსტონი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 803 | მაიამი-ფინიქსი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 804 | ატლანტა-დენვერი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 805 | კლივლენდი-ტორონტო | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 806 | მინესოტა-ფილადელფია | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 807 | ჰიუსტონი-გოლდენ სტეიტი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 808 | კლიპერსი-დალასი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 809 | საკრამენტო-ნიუ იორკი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 810 | პორტლენდი-სან ანტონიო | 1,35 | 12,0 | 2,5 |

29 მარტი

811 ვაშინგტონი-დენვერი
812 დეტროიტი-შარლოტი
813 ჩიკაგო-კლივლენდი
814 იუტა-ფილადელფია
815 სიეტლი-ნიუ იორკი
816 ვანკუვერი-ლეიკერსი

30 მარტი

817 ნიუ ჯერსი-ტორონტო
818 მაიამი-ჩიკაგო
819 ატლანტა-ფინიქსი
820 მინესოტა-ჰიუსტონი
821 სან ანტონიო-გოლდენ სტეიტი
822 კლიპერსი-მილუოკი

### კალათბურთი. ევროლიგა. III მატჩები

30 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 823 | ეფესი-ვილერბანი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 824 | მაკაბი-ფორტიტუდო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 825 | ბარსელონა-ოლიმპია | 1,2 | 12,0 | 3,5 |

### ჰოკეი

28 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 826 | ვაშინგტონი-ატლანტა | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 827 | ოტავა-ფილადელფია | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 828 | პიტსბურგი-ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 829 | ტამპა ბეი-დალასი | 3,0 | 4,0 | 1,5 |
| 830 | ნეშვილი-აილენდერსი | 1,5 | 4,0 | 3,0 |

29 მარტი

831 ფლორიდა-დალასი
832 მონრეალი-ბოსტონი
833 კაროლინა-ნეშვილი
834 დეტროიტი-ვანკუვერი
835 სენტ ლუისი-ტორონტო
836 კოლორადო-ედმონტონი
837 ლოს ანჯელესი-სან ხოსე

30 მარტი

838 ვაშინგტონი-პიტსბურგი
839 ბოსტონი-სენტ ლუისი
840 ტამპა ბეი-ოტავა
841 ჩიკაგო-ტორონტო

კალათბურთის და ჰოკეის კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# შევარდნაძის კარიბჭე და სეფე სიტყვა

საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის კარიბჭე ტრიუმფით გადაულახავს და იქიდან ნაირგვარი ჯილდოების სახით უამრავი ნადავლით დაბრუნებულა, ახლა კი, მას ერთი კარიბჭე სულაც თბილისში აახლეს. ეს გახლავთ ნაგ არნოლდის ქანდაკება „2000 წლის კარიბჭესთან", რომელიც ლოზანაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ტერიტორიაზე აღმართული „დიდი კარიბჭის" ასლია. იგი საქართველოს პრეზიდენტს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, მარკიზმა ხუან ანტონიო სამარანჩმა გამოუგზავნა, ადრესატმა კი, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის საპატიო პრეზიდენტ ნონა გაფრინდაშვილისა და ამავე ორგანიზაციის გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილისაგან ჩაიბარა.



ედუარდ შევარდნაძეს 2000 წლის კარიბჭე ნონა გაფრინდაშვილმა და ემზარ ზენაიშვილმა აახლეს

ეს მოხდა კვირას, როცა საქართველოს პრეზიდენტთან სიდნეის ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა შეხვედრა გაიმართა. უფრო სწორედ, შეხვედრა სწორედ ქანდაკების გადაცემის ცერემონიალით დაიწყო. და რაკი ამ თავყრილობამ ესოდენ მაჟორულად აილო სტარტი, ასევე გაგრძელდა, რადგან საქართველოს პრეზიდენტმა შეკრებილთ თავისი ფონდიდან საოლიმპიადოდ ფინანსური დახმარება აღუთქვა. ისიც დასძინა, სამწუხაროდ, არ მაქვს საშუალება ისე დაგეხმაროთ, როგორც მსურს. ჩემი შესაძლებლობები, როგორც პრეზიდენტისა, შეზღუდულია. ამ საქმეში დახმარებას ვთხოვთ ბიზნესმენებს, გუბერნატორებს, ქალაქების მერებს, საკრებულოებს. ფინანსური უზრუნველყოფის კომიტეტს თუ კომისიას თავად ვუხელმძღვანელებ და გპირდებით, ახლა უკეთ იქნებით ფინანსურად უზრუნველყოფილნი, ვიდრე ატლანტაშიო.

შევარდნაძემ თავის სეფე სიტყვაში ისიც თქვა, ყოველივე ამას კი გპირდებით, მაგრამ 9 აპრილს იქნებ საპრეზიდენტო არჩევნებში ვერ გავიმარჯვო, მაგრამ სადაც უნდა ვიყო, მაინც თქვენთან ვიქნებიო.

საპრეზიდენტო არჩევნების თემას შეეხო ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი, ძიუდოისტი რამაზ ჩოჩიშვილიც და პრეზიდენტს გაანდო, არჩევნებში მხარს თქვენ გიჭერთო. თავად პრეზიდენტმა ტრადიციას არ უღალატა და იხუმრა, რამაზ, ბარემ ისიც გეთქვა, ვინც შევარდნაძეს მხარს არ დაუჭერს, იმას ჩემთან ექნება საქმეო.

მართლაც, საქართველოში ჩოჩიშვილთან ჩვენს მტერს ჰქონდეს საქმე გასარკვევად, აი, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე კი ვნახოთ, ვინ რისი შემძლეა.

ისე კი, ჩვენი შესაძლებლობები ჩვენივე ხელმოკლეობამ უკვე შეამცირა. ყოველ შემთხვევაში ასე გამოჩნდა „სპორტის დეპარტამენტის სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების მიმდინარეობის შესახებ" ინფორმაციაში, რომელიც შეკრებილთ გააცნო ამ ორგანიზაციის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა; ეს გამოჩნდა ზოგიერთი სპორტული ფედერაციის პრეზიდენტისა და სპორტსმენის გამოსვლაშიც, მაგრამ რაკი კაცი იმედით ცოცხლობს, ჩვენს მაჟორულ ინფორმაციას მინორით არ გავასრულებთ.

**ავთანდილ გურასაშვილი**

ავტორის ფოტო



# კუჭი კორტზე

კი ბისკეინი. აშშ. „ერიქსონის ღია პირველობა". ჰარდი. საპრიზო 5, 76 მილიონი $

19 წლის ანდრეას ვინსიგერასთან მატჩის უმნიშვნელოვანეს მომენტში დარტყმული ზუსტი ბექჰენდი და მეტოქისთვის ართმეული მოწოდება პიტ სამპრასმა მეტად უცნაურად აღნიშნა: მუშტის შეკვრის ან შეკუნტრუშების ნაცვლად წყნარად, მდუმარედ გაემართა თავისი სკამისაკენ და იქვე აღებინა.

თავისი კუჭის შემადგენლობის პირდაპირ კორტზე, არატრადიციული გზით დაცლის გამოცდილება უიმბლდონის ექვსგზის ჩემპიონს ადრეც ჰქონია — 1996-ში აშშ-ის ღია პირველობის მეოთხედფინალში ალექს კორეტხასთან, და იმ შეხვედრის მსგავსად ამერიკელმა ამჯერადაც იმარჯვა 5:7, 7:6 (7:3), 6:4.

„შეიძლება ლებინება ჩვევად ვაქციო, ასეთ მატჩებში ხომ არასოდეს წამიგია" — იხუმრა მოგვიანებით სამპრასმა — „ყველაფერს მეტოქის დასაბნევად ვიყენებ. ისეთი არაფერი მომხდარა, ამაში უკვე დახელოვნებული ვარ".

პისტოლ პიტის თქმით, ამჯერად შეუძლოდ იმიტომ შეიქნა, რომ მატჩის წინ ზურგი სტკიოდა და წამალი დალია: „აბს კუჭში გაჩერება არაფრით უნდოდა და მესამე სეტის დასაწყისში გულისყრის შეგრძნება გამიჩნდა. როდესაც ზედმეტი ტვირთისგან გავთავისუფლდი, თავი მშვენივრად ვიგრძენი. თანაც მოგებას მხოლოდ ორი გეიმი მიკლდა".



პიტ სამპრასი



მარტინა ჰინგისი

მანამდე კი ნიჭიერმა შვედმა თინეიჯერმა ლეგენდარული ამერიკელი გვარიანად გააწამა. ცაცია ვინსიგერა ელვასავით დაქროდა კორტზე, თითქოს აულებელ ბურთებს უსწრებდა და ცაცია, ზუსტი ფორჰენდით ბადესთან გასულ სამპრასს ხშირად აბრიყვებდა.

უხეიროდ მოთამაშე მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ჩვეულებისამებრ, თავისმა მთავარმა იარაღმა იხსნა — უამრავი უნებლიე შეცდომის დაშვების მიუხედავად, სამპრასი საკუთარ მოწოდებებზე იოლად გადიოდა ფონს და თითქმის ორსაათნახევრიანი შეხვედრა 21-ე ეისითაც დაასრულა.

„არც კი ვიცოდი, რომ ცუდად გრძნობდა თავს — დანანებით აღნიშნა მოგვიანებით ვინსიგერამ — „ეს მატჩი რომ მომეგო, დაუჯერებელი, დაუვიწყარი მომენტი იქნებოდა ჩემს კარიერაში".

ახალგაზრდა შვედს სანუგეშოდ სახელოვანი მეტოქის ქებაღა შერჩა: „მან დღეს იმაზე გაცილებით მეტი ოფლი მაღვრევინა, ვიდრე ვისურვებდი, არ მეგონა თუ ასეთი ძლიერი აღმოჩნდებოდა. ვფიქრობ, ამ ბიჭზე სწრაფ მოთამაშეს არასოდეს შევხვედრივარ".

ახალგაზრდა მეტოქეს მეორე წრეში მსოფლიოს პირველი ჩოგანი ანდრე აგასიც გაუსწორდა. ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ 17 წლის გამოუცდელ თანამემამულე ენდი როდიკთან შეხვედრა ხოტორა ლასვეგასელისთვის პირდაპირ მისწრება იყო და მანაც საათზე ნაკლებში მოითავა საქმე 6:2, 6:3.

„ყოველთვის ძნელია, როდესაც ვინმეს პირველად ეთამაშები და არ იცი მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. მე მომწონს ენდის თამაშის სტილი. მას კარგი მოწოდება და ფორჰენდი აქვს და, რაც მთავარია, ჯერ მხოლოდ 17 წლისაა. მას შეუძლია ძალიან მოუმატოს" — ასე შეაფასა აგასიმ როდიკი, რომელზეც შტატებში დიდ იმედებს ამყარებენ.

თავის მხრივ ფლორიდელი მოსწავლეც მადლიერი დარჩა აგასის კარგი საჩოგბურთო გაკვეთილისთვის: „ანდრეს პირადად უნდა ეთამაშო, რომ მიხვდე, რა გამორჩეული ჩოგბურთელია, მგონი, ხაზი არ დაუტოვებია, ბურთი ზედ არ დაესვა. იმდენს დავრბოდი, თავი ფორესტ გამპი მეგონა".

ჯერჯერობით კაცთა ტურნირის ყველაზე დიდ მოულოდნელობად გასული კვირის გმირის, ინდიან უელსის „მასტერსის" ჩემპიონ ალექს კორეტხას მარცხი შეიძლება ჩავთვალოთ. ესპანელმა ფლორიდაში თავისი პირველივე მატჩი ჩეხ ირჟი ნოვაკთან წააგო 7:6 (7:4), 1:6, 1:6.

**კაცები. მეორე წრე:** **ევგენი კაფელნიკოვი** (3, რუსეთი) — გილერმო კანასი (არგენტინა) 6:3, 4:6, 6:4; **რიჩარდ ფრომბერგი** (ავსტრალია) — ნიკოლას კიფერი (4, გერმანია) 6:4, 6:4; **მაგნუს ნორმანი** (შვედეთი) — ნიკოლას მასიუ (ჩილე) 6:4, 6:0; **გუსტავო კუერტენი** (6, ბრაზილია) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:7 (5:7), 7:6 (7:4), 7:5; **ტომას ენკვისტი** (7, შვედეთი) — ჯიმ კურიე (აშშ) 6:7 (5:7), 6:3, 6:4; **მარსელო რიოსი** (8, ჩილე) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 6:4, 6:4; **ნიკოლას ლაპენტი** (9, ეკვადორი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:4, 6:4; **ტიმ ჰენმანი** (11, ინგლისი) — ავგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:3, 6:7 (5:7), 6:4; **მარკ ფილიპუსისი** (22, ავსტრალია) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 4:6, 6:3, 6:4; **მარიანო ზაბალეტა** (23, არგენტინა) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 6:4, 7:6 (9:7); **გეორგ ბასტლი** (შვეიცარია) — ხუან კარლოს ფერერო (25, ესპანეთი) 7:6 (7:1), 6:4

კუჭთან დაკავშირებულ პრობლემებს კი ბისკეინში ვერც ქალები გადაურჩნენ. მარი პირსი (3) პიტ სამპრასი არ არის, ამიტომ შაბათს რომელიღაც საჭმელმა რომ მოწამლა, ზედმეტი ბარგის იქვე, კორტზე დაცლა არ მოისურვა და 18 წლის ამომავალ რუს ვარსკვლავ ელენა დემენტიევას 3:6, 1:2-ზე დანებდა.

კიდევ ერთი განთესილი ფრანგი, მეორე წრეში, თბილისში ნამყოფმა მეორე რუსმა თინეიჯერმა, ნადეჟდა პეტროვამ იმსხვერპლა. თბილისის 1997 წლის ღია პირველობის გამარჯვებულმა ჟული ალარს (8) მოუგო 6:2, 6:3.

სხვამხრივ თითქმის ყველა ფავორიტი დაუბრკოლებლად მიიწევს წინ.

მარტინა ჰინგისს კი ბისკეინში მძიმე ამოცანა აქვს გადასაწყვეტი. საკმარისია, მისმა მთავარმა კონკურენტმა, ლინდსი დევენპორტმა ტურნირზე უფრო წარმატებით იასპარეზოს, რომ 19 წლის შვეიცარიელს კლასიფიკაციაში გადაასწრებს და მსოფლიოს პირველ ჩოგნობას ჩამოართმევს.

თუმც არ გეგონოთ, რომ ჰინგისი ამის დიდი წინააღმდეგია: „როდესაც პირველი არ ვიყავი, უფრო მონდომებით ვირჯებოდი, რადგან ვიცოდი, რომ ერთი მეტოქე ჩემზე წინ იყო და მასზე უნდა მენადირა. თუ კლასიფიკაციის სათავიდან ჩამომაგდებენ, ეს ჩემთვის კიდევ უფრო დიდი სტიმულის მომცემი იქნება".

მესამე წრის მატჩში ფრანგ ანა გეილ სიდოსთან (29) მარტინას მართლაც არავითარი დაძაბულობა არ ეტყობოდა. ჩვეულად, არცთუ მძლავრად, მაგრამ უშეცდომოდ მოთამაშე შვეიცარიელმა მეტოქე აშკარად დაჩაგრა, 50-წუთიანი მატჩის მანძილზე მოწოდება ექვსჯერ აართვა და საბოლოოდ 6:0, 6:3 იმარჯვა.

თუმცა მომდევნო მატჩში მსოფლიოს პირველ ჩოგანს გაცილებით მძიმე გამოცდა ელის. მისი მეტოქე 16 წლის ნიჭიერი ბელგიელი კიმ კლაისტერსი იქნება, რომელმაც იგივე ეტაპზე ჩეხი ადრიანა გერში დაამარცხა 6:4, 7:5.

**მესამე წრე:** **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — სილვია ტალაია (22, ხორვატია) 6:2, 6:2; **ნატალი დეში** (21, საფრანგეთი) — ნატალი ტოზია (4, საფრანგეთი) 6:4, 6:2; **სერენა უილიამსი** (5 აშშ) — აი სუგიამა (17, იაპონია) 6:3, 6:0; **კონჩიტა მარტინესი** (6, ესპანეთი) — პატი შნიდერი (23, შვეიცარია) 7:5, 6:4; **მონიკა სელეში** (7, აშშ) — ლაიზა რეიმონდი (26, აშშ) 6:3, 6:2; **ანა კურნიკოვა** (9, რუსეთი) — ნატაშა ზვერევა (31, ბელარუსი) 6:1, 6:4; **საბინე აპელმანსი** (25, ბელგია) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (10, ესპანეთი) 6:3, 7:5; **სანდრინ ტესტიუ** (12, საფრანგეთი) — სილვია პლიშკე (27, ავსტრია) 6:0, 6:0; **ჯენიფერ კაპრიატი** (13, აშშ) — ჩანდა რუბინი (24, აშშ) 6:1, 6:3; **ელენა ლიხოვცევა** (15, რუსეთი) — რუქსანდრა დრაგომირი (20 რუმინეთი) 6:4, 2:6, 7:6 (7:5)

**ავთანდილ სვანიძე**

## რაგბი. ზე 12
### მეხუთე ტური

24 მარტი

ოკლენდი (ახალი ზელანდია) 31:17 სიდნეი (ავსტრალია)

25 მარტი

ბრისბენი (ავსტრალია) 37:17 ჰამილტონი (ახალი ზელანდია)

პრეტორია (სამხრეთ აფრიკა) 19:28 კანბერა (ავსტრალია)

ველინგტონი (ახალი ზელანდია) 29:23 იოჰანესბურგი (სამხრეთ აფრიკა)

26 მარტი

კრაისტჩერჩი (ახალი ზელანდია) 47:31 კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა)

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია თანაუგრძნობს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელს გია გალდავას მამის **კარლო გალდავას** გარდაცვალების გამო

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია სამძიმარს უცხადებს ცნობილ ფალავანს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს გიორგი მაკასარაშვილს მამის გარდაცვალების გამო

საქართველოს ხელბურთის ასოციაცია თანაუგრძნობს ეროვნული ნაკრების წევრს სერგო დათუკაშვილს მამის გარდაცვალების გამო

# შუმის არია ოპერიდან ფერარი

ყოველი რბოლის წინ გულშემატკივარს, რა თქმა უნდა, წინა წლების შედეგებისკენ გაურბის თვალი და უნებურად მათი გავლენის ქვეშ ექცევა. ბრაზილიის დიდი პრიზის შესახებ ყოვლისმცოდნე სტატისტიკა გვამცნობს, რომ 27 გათამაშებიდან ზედიზედ სამჯერ იქ არავის გაუმარჯვია. ასე რომ, ბოლო ორი ეტაპის გმირის, მიკა ჰაკინენის მოგება ამჯერად „გამორიცხული“ იყო. მისი უმთავრესი მეტოქის მიხაელ შუმახერის შანსს კი ისიც ზრდიდა, რომ გერმანელი პილოტი მეტად გაუშინაურდა „ინტერლაგოსის“ პოდიუმს — მიკასავით ორჯერ მოგების გარდა მის მარაგში კიდევ ხუთი საპრიზო ადგილი იყო, ფინელის აქტივში არც ერთი. მოპოვებული ქულებითაც, ცხადია, შუმი ლიდერობდა — 44:29.

თუმცა, ჰაკინენის სასარგებლოდ ის მეტყველებდა, რომ მან შაბათს ზედიზედ მესამედ მოიგო სან პაულუში პოული, წინა ორს კი რბოლაში გამარჯვებაც მიაყოლა.

ერთი სიტყვით, ამ ციფრობრივ დომხალში ორივე მხარეს თავისი პლუსმინუსი გააჩნდა, შედეგი კი უშუალოდ ტრასაზე უნდა გამოჩენილიყო.

კვალიფიკაცია მიკამ აშკარა უპირატესობით მოუგო უმთავრეს მეტოქეს — შუმი თითქმის ნახევარი წამით ჩამორჩა. ჩემპიონს ღირსეული წინააღმდეგობა მხოლოდ თანაგუნდელმა დევიდ კულჰარდმა გაუწია. ისიც უნდა ითქვას, რომ საკვალიფიკაციო სერია სამჯერ შეწყდა შედარებით უბრალო მიზეზით — ძლიერმა ქარმა „მარლბოროს“ სარეკლამო ფირნიშები ჩამოგლიჯა და ტრასაზე დაყარა, რამაც გარკვეული საშიშროება შექმნა (სწორედ ამის გამო „ზაუბერის“ გუნდმა რბოლაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა). ბოლოს კი წვიმამაც შეუშალა ხელი პილოტებს და ძალაში მანამდე ნაჩვენები დრო დარჩათ, რაკი ვერავინ მოასწრო ნებადართული 12 წრის შემოვლა.

პირველი ოთხეული კვირას ზუსტად წინა ეტაპის თანმიმდევრობით განლაგდა სტარტზე და რბოლაც დაიწყო. ასპარეზობა ავსტრალიურზე ბევრად საინტერესო გამოდგა, თუმც არავინ მოელოდა, რომ უმთავრესი მოვლენები დასაწყისშივე განვითარდებოდა და გამარჯვებულის ვინაობაც, პრაქტიკულად, ორიოდე წრის შემდეგ გახდებოდა ცნობილი.

შეჯიბრების შედეგს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბრძოლის წინ ზუსტად გათვლილ-დამუშავებული ტაქტიკური ვარიანტის უნაკლო შესრულება. ოღონდ, ცხადია, მთავარი მაინც შემსრულებელთა, ანუ პილოტისა და მანქანის მზადყოფნის დონეა. ტაქტიკა ძირითადად საწვავით მანიპულირებას ითვალისწინებს, კერძოდ, ვინ რამდენჯერ ჩაისხამს ბენზინს. ხუთიოდე წლის წინ, რბოლისას საწვავის ჩამატების ნებართვამ ასპარეზობა უფრო აზარტული გახადა. ტაქტიკაც ავზში საწვავის ოდენობით განისაზღვრება — მსუბუქი მანქანა ბევრად სწრაფია და აქედან გამომდინარე, გასწრების უკეთესი საშუალებაც აქვს. ყოველი ბოლიდი 30-კილომეტრიან დისტანციაზე 200 ლიტრზე მეტ ბენზინს „ჭამს“. ამდენი სითხით თავიდანვე გაჭყეპილი მძიმე მანქანა, ცხადია, ზანტად დაღოღავს და ბოლოსღა იძენს სასურველ სისწრაფეს.

„ინტერლაგოსზე“ „მაკლარენს“ თითო ჩამატება დაუგეგმავს, „ფერარის“ — ორი. სწორედ წინასწარ შემუშავებული გეგმის უნაკლოდ განხორციელებამ მოუტანა სისხლისფერ ბედაურებს სასურველი შედეგი — შუმახერმაც და ბარიკელომაც მსუბუქი ბოლიდებით უსწრაფესად აიღეს სტარტი და მანევრირების საშუალებაც მეტი ჰქონდათ. არცაა გასაკვირი, რომ შუმიმ პირველივე მეტრებზე აუარა გვერდი კულჰარდს და იქვე მიკასაც შეუტია. ორი უშედეგო ცდის შემდეგ გერმანელმა პილოტმა მალე მაინც მიაღწია საწადელს და მეორე წრის დასაწყისში, სტარტ-ფინიშის ფართო სწორზე ადვილად ჩამოიტოვა ჩემპიონის „მაკლარენი“. თანაგუნდელს არც ბარიკელო ჩამორჩა და მეორე წრეზე კულჰარდის გასწრების შემდეგ ისე გათამამდა, ჰაკინენსაც იგივე დაუპირა.

10 წრის შემდეგ შუმი უკვე 11 წამით უსწრებდა უმთავრეს მოწინააღმდეგეს და თანდათან ზრდიდა უპირატესობას, რასაც თითქმის დაცლილი ავზიც უწყობდა ხელს — ზედიზედ ოთხ წრეზე გააუმჯობესა სიჩქარის რეკორდი.

ხსენებული ტაქტიკით ბრაზილიელმა მრბოლმაც კიდევ ერთხელ იხეირა და მე-15 წრეზე ზუსტად იმავე აღმართ-დაღმართიან და ტალახიან სასტარტო მონაკვეთზე შუმახერის მსგავსად ბოლოს და ბოლოს გაასწრო ჰაკინენს. ეს დიდი მოულოდნელობა კი იყო, მაგრამ როგორც გაირკვა, ძრავის პრობლემებმა არ მისცა ჩემპიონს შემდგომში ღირსეულად ბრძოლის საშუალება.



მიხაელ შუმახერის ბრაზილიური ტრიუმფი პელემ დააფასა

ოცი წრის შემდეგ „ფერარებმა“ მიმდევრობით შეიარეს ბოქსებში და ათ-ათ წამს მოუნდნენ საბურავების შეცვლასა და საწვავის ჩამატებას. ტრასაზე დარჩენილ 17-მანქანიან ქარავანს კი დროებით ჰაკინენი მოექცა სათავეში. მაგრამ მას ამჯერადაც, არათუ გამარჯვება, ფინიშამდე მისვლაც არ ეწერა — 30-ე წრეზე მისი არაქათგაცლილი ბოლიდი ძლივს მიგორდა ბოქსებამდე. მექანიკოსებს არც კი უცდიათ მანქანის „გონზე“ მოყვანა. მანამდე ორი წრით ადრე ბარიკელოსაც უმტყუნა ბედაურმა. ასე რომ, პოდიუმის პრეტენდენტებმა ნახევარი გზის გავლაც ვერ მოახერხეს.

შუმახერი იმხელა უპირატესობით უსწრებდა კულჰარდს, რომ რბოლის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი ჩანდა. უმთავრეს ყურადღებას ცხადია, ლიდერთა ბრძოლა იპყრობდა, თუმც არც ექვსეულის ბოლოს და მის მისადგომებთან ყოფილა ნაკლები ჭიდილი: მეოთხეზე მყოფი ჯანკარლო ფიზიკელა მხოლოდ წამით უსწრებდა ჰაინც-ჰარალდ ფრენცენს.

კულჰარდმა 43-ე წრემდე ითმინა და მაშინღა გაახსენდა ბოქსები. მართალია, იქ მხოლოდ 8,8 წამით შეაყოვნეს, მაგრამ ტრასაზე დაბრუნების შემდეგ ლიდერთან ჩამორჩენამ უკვე 40 წამი შეადგინა. შუმის კიდევ ერთი პიტ-სტოპი ელოდა, მაგრამ მის უზარმაზარ უპირატესობას ამანაც ვერაფერი დააკლო.

საბოლოო ექვსეული ფინიშამდე კარგა ხნით, თითქმის 100 კილომეტრით ადრე გამოიკვეთა — მიხაელ შუმახერი, კულჰარდი, ფიზიკელა, ფრენცენი, ტრული, რალფ შუმახერი და ამავე თანმიმდევრობით დაასრულა კიდეც რბოლა.

მიხაელმაც და მისმა ურიცხვმა ფანებმაც, რასაკვირველია, უზომოდ გაიხარეს. გერმანელმა მრბოლმა პოდიუმზე იტალიური ჰიმნის ტექსტსაც კი აჰყვა, ხოლო გამარჯვებულის ვეებერთელა სინი თავად პელესგან ჩაიბარა. ეს წარმატება 37-ე გახდა შუმახერის 130-რბოლიან კარიერაში.

უბედურ კულჰარდს კი არც პოდიუმზე შამპანურით წუწაობა და არც დაბადების დღე (დევიდი გუშინ 29 წლისა შესრულდა) შეარგეს — მის „მაკლარენზე“ წინა ფრთის სიმაღლის დარღვევისათვის მეორე ადგილი და ექვსი ქულა გაუუქმეს. ამით მოგება ნახა 20 წლის ბატონმა, რომელიც ფორმულის ისტორიაში უმრწემესი პილოტი შეიქმნა, ვისაც ქულა მოუპოვებია.

სტატისტიკაში მოკირკიტეები, ცხადია, ალმოაჩენენ, რომ ბოლო ორ სეზონში, უფრო ზუსტად 34 რბოლაში, პირველად მოხდა, რომ ჰაკინენმა ზედიზედ ორჯერ ვერ მიაღწია ფინიშამდე. რაც მთავარია, იმასაც გაიხსენებენ, რომ ბრაზილიაში იმ ორჯერ მოგების შემდეგ (1994, 95) მიხაელ შუმახერი ორჯერვე ჩემპიონი გახდა. და კიდევ: თავილან ზედიზედ ორი ეტაპის მოგება 90-იან წლებში სულ ხუთმა პილოტმა შეძლო, რამაც მათ სეზონის ბოლოს ჩემპიონის გვირგვინიც მოუტანა (მათ შორის თავად შუმისაც — 1994 წელს).

**ირაკლი ნიკოლაძე**

## რბოლის შედეგები

**ბრაზილიის დიდი პრიზი**
26 მარტი. სან პაულუ
დისტანცია — 71 წრე — 305.939 კმ

1. *მ. შუმახერი* (ფერარი) 1:31.35,271 (200,403 კმ/სთ) 10 ქულა
2. *ფიზიკელა* (ბენეტონი) ჩამორჩა 39,898 6 ქულა
3. *ფრენცენი* (ჯორდანი) 42,268 4 ქულა
4. *ტრული* (ჯორდანი) 1.12,780 3 ქულა
5. *რ. შუმახერი* (უილიამსი) 1 წრით 2 ქულა
6. *ბატონი* (უილიამსი) 1 წრით 1 ქულა
7. *ვერსტაპენი* (ეროუსი) 1 წრით
8. *დე ლა როსა* (ეროუსი) 1 წრით
9. *ზონტა* (BAR) 2 წრით
9. *მაცაკანე* (მინარდი) 2 წრით

**საუკეთესო წრე**

*მ. შუმახერი* 1.14,755 (207.510 კმ/სთ)

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| *ჰერბერტი* (იაგუარი) | გაიარა 51 წრე |
| *ჟენე* (მინარდი) | 33 |
| *ჰაკინენი* (მაკლარენი) | 30 |
| *ბარიკელო* (ფერარი) | 27 |
| *ირვინი* (იაგუარი) | 21 |
| *ვილნევი* (BAR) | 18 |
| *ალეზი* (პროსტი) | 13 |
| *ჰაიდფელდი* (პროსტი) | 10 |
| *ვურცი* (ბენეტონი) | 7 |
| *კულჰარდი* (მაკლარენი) | დისკვალიფიკაცია |
| *სალო* (ზაუბერი) | არ ურბოლია |
| *დინიცი* (ზაუბერი) | არ ურბოლია |

17 სალო ზაუბერი 1.18,703
21 მაცაკანე მინარდი 1.17,512
16 დინიცი ზაუბერი 1.17,178
15 ჰაიდფელდი პროსტი 1.17,112
20 ჟენე მინარდი 1.16,380
8 ჰერბერტი იაგუარი 1.16,250
19 დე ლა როსა ეროუსი 1.16,002
14 ალეზი პროსტი 1.15,715
18 ვერსტაპენი ეროუსი 1.15,704
12 ვურცი ბენეტონი 1.15,664
6 ტრული ჯორდანი 1.15,627
9 რ. შუმახერი უილიამსი 1.15,561
22 ვილნევი BAR 1.15,515
10 ბატონი უილიამსი 1.15,490
23 ზონტა BAR 1.15,484
5 ფრენცენი ჯორდანი 1.15,455
7 ირვინი იაგუარი 1.15,425
11 ფიზიკელა ბენეტონი 1.15,375
4 ბარიკელო ფერარი 1.14,636
3 მ. შუმახერი ფერარი 1.14,508
2 კულჰარდი მაკლარენი 1.14,285
1 ჰაკინენი მაკლარენი 1.14,111

| FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP | ავსტრალია 12.03.00 | ბრაზილია 26.03.00 | სან-მარინო 9.04.00 | დ.ბრიტანეთი 23.04.00 | ესპანეთი 7.05.00 | ევროპა 21.05.00 | მონაკო 4.06.00 | კანადა 18.06.00 | საფრანგეთი 2.07.00 | ავსტრია 16.07.00 | გერმანია 30.07.00 | უნგრეთი 13.08.00 | ბელგია 27.08.00 | იტალია 10.09.00 | აშშ 24.[illegible].00 | იაპონია 8.10.00 | მალაიზია 22.11.00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | | | | | | | | | | | | | | | | 20 |
| 2 ფიზიკელა ბენეტონი, იტალია | 2 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | 8 |
| 3 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 6 | – | | | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 4 რ.შუმახერი უილიამსი, გერმანია | 4 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 5 ფრენცენი ჯორდანი, გერმანია | – | 4 | | | | | | | | | | | | | | | | 4 |
| 6 ტრული ჯორდანი, იტალია | – | 3 | | | | | | | | | | | | | | | | 3 |
| 7 ვილნევი BAR, კანადა | 3 | – | | | | | | | | | | | | | | | | 3 |
| 8 ბატონი უილიამსი, ბრიტანეთი | – | 1 | | | | | | | | | | | | | | | | 1 |
| 9 ზონტა BAR, ბრაზილია | 1 | – | | | | | | | | | | | | | | | | 1 |
| 10 ვურცი ბენეტონი, ავსტრია | – | – | | | | | | | | | | | | | | | | – |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 16 | 10 | | | | | | | | | | | | | | | | 26 |
| 2 ბენეტონი | 2 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | 8 |
| 3 ჯორდანი | – | 7 | | | | | | | | | | | | | | | | 7 |
| 4 უილიამსი | 4 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | 7 |
| 5 BAR | 4 | – | | | | | | | | | | | | | | | | 4 |

# რუსები და სომეხი ქართული მედლებისთვის იბრძვიან

საქართველოს 9 ჩემპიონატი 1 ტური ექვსეული

ვერის ბაღი. 26 მარტი

**ბასკო 63:52 მაკაბი**

I ტაიმი 26:23

ბასკო: დავითულიანი (8), ბელიაევი (7), ბეჟანიშვილი (9), ვ. კილაძე (6), არხიპოვი; ბაქრაძე, მაისურაძე, კვაჭაძე, აბრამიძე (10), ქარაბაკი (23)

მაკაბი: დ. ბერიშვილი (4), ი. ბერიშვილი (7), ტალაბაძე (6), ფერიაშვილი (10), შენგელია (18); ბ. ნოზაძე (4), სარქისიანი (3), კრიხელი

მსაჯები: გია მოლოდინაშვილი, როლანდ გელოვანი

კომისარი: მურმან ქურიძე

საქართველოს 9 ჩემპიონატი 1 ტური ექვსეული

ვერის ბაღი. 26 მარტი

**აზოტი 97:88 ვითა**

I ტაიმი 44:44

აზოტი: ა. ჟღენტი (13), გოგობერიშვილი (29), წიკლაური (15), ბაბიაშვილი (21), მ. ბერუაშვილი (14); ლ. ჩაჩუა, გაბისონია (5)

ვითა: უსტიაშვილი, ტურაშვილი (22), კოკოლიშვილი (8), შანიძე (14), ახალკაცი (29); გ. გაგნიძე (9), ჭირაქაძე (4), ქევხიშვილი (2)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ზურაბ აბაშიძე

კომისარი: როლანდ ხომერიკი

საქართველოს 9 ჩემპიონატი 1 ტური ექვსეული

ვერის ბაღი. 26 მარტი

**სტუ 80:95 სდასუ**

I ტაიმი 38:50

სტუ: დ. მოისწრაფიშვილი (7), თორთლაძე (4), ზ. ჩუბინიძე (10), ორმოცაძე (16), ოთიურიძე (10); ტულუში (5), კორძაძე (2), მინაშვილი, ლოსაბერიძე (23), მიქაძე (3)

სდასუ: ხოშტარია (30), გ. ჩხეიძე (14), ლ. აბულაძე (6), უძილაური (23), მაჭარაძე (9); ნ. ნოზაძე (6), გ. ნაცვლიშვილი (7)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: თენგიზ ქიქოძე

როლანდ ლაბუჩიძე

საქართველოს მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის ექვსეულის პირველი წრის პირველ ტურს მოუთმენლად ელოდნენ კალათბურთის ქართველი გულშემატკივრები. თუ „ბასკოს" მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე მიზანშეწონილად ჩათვლიდა, კვირას, 26 მარტს, ზღვისპირელთა რიგებში ვიხილავდით რუს ლეგიონერებს — ანდრეი ბელიაევსა და ანტონ არხიპოვს, რომელთაც ადრე ერთად უთამაშიათ რუსეთის სუპერლიგის მონაწილე „ხიმკის" რიგებში. „ბასკოს" ხელმძღვანელობამ მოლაპარაკება გამართა ბოლო დროის უგუნდოდ დარჩენილ ბელიაევსა და არხიპოვთან და ისინი მინიმუმ სეზონის ბოლომდე გუნდში სათამაშოდ დაითანხმა.

მატჩზე დასასწრები ბილეთებით ხელდამშვენებულ გულშემატკივრებს (ბილეთები პირველად გაიყიდა), იმედი გაუმართლდათ — ზღვისპირელთა დამრიგებელმა ზურაბ ტომარაძემ ორივე ახალწვეული სასტარტო ხუთეულში დააყენა. „ბასკოს" ხელმძღვანელობამ ბელიაევს მსროლელის ფუნქციები დაავალა, ხოლო 205 სანტიმეტრი სიმაღლის არხიპოვი ცენტრში გაამწესა, სადაც ახალგაზრდა ლეგიონერს გამოცდილ ფერიაშვილსა და შენგელიასთან მოუწევდა ბრძოლა.

მართალია, ანგარიში სამქულიანი სროლით ბელიაევმა გახსნა, მაგრამ საბოლოოდ შვიდ ქულას ვერ ასცდა. რაც შეეხება არხიპოვს, ქულა საერთოდ არ გაუკეთებია. იგი აშკარად შეავიწროეს თბილისელმა ცენტრებმა და მისი ადგილი ლევან ქარაბაკმა დაიკავა, რომელმაც ლომის წილი დაიდო ბათუმელთა გამარჯვებაში.

რა შეიძლება ითქვას შორეული რუსეთიდან მოწვეულ ახალგაზრდა ლეგიონერებზე, რომლებიც „ბასკოს" გაჩემპიონებაში უნდა დაეხმარონ? აშკარაა, რომ ისინი უვარჯიშებლები და ახალ გუნდთან შეუთამაშებლები არიან. ამიტომ დასკვნების გაკეთება ნაადრევია.

რაც შეეხება შეხვედრას. პირველმა ნახევარმა გარდამავალი უპირატესობით ჩაიარა. ანგარიში მხოლოდ მესამე წუთზე გაიხსნა, როცა ბელიაევმა სამქულიანით „ბასკო" დააწინაურა. „მაკაბიმ" მალე გაათანაბრა და წინ გასვლაც მოახერხა, მაგრამ ისევ მდევრის როლში აღმოჩნდა — 5:7. თანაბარი ბრძოლის ხუთწუთიანი მონაკვეთის შემდეგ უპირატესობას „მაკაბი" დაეუფლა. ლეგიონერებთან შეუთამაშებელ „ბასკოს" თამაში აშკარად არ გამოსდიოდა. ვერცხლისწყალივით მოძრავმა ბელიაევმა მოედანზე თავისი ადგილი ვერ იპოვა, ხოლო არხიპოვი გამოცდილი შენგელიას და ფერიაშვილის ჩრდილში მოექცა. მოედანზე სიტუაცია ზღვისპირელთა სასარგებლოდ მხოლოდ მაშინ შეიცვალა, როდესაც ბელიაევის და არხიპოვის ადგილი შესაბამისად აბრამიძემ და ქარაბაკმა დაიკავეს. „ბასკომ" შვიდი წუთის განმავლობაში მეტოქეს ბურთი არ ჩააგდებინა, ანგარიში კი მეთექვსმეტე წუთზე გაათანაბრა, საჯარიმო ხაზზე მყოფი აბრამიძის ზუსტი სროლების შემდეგ — 17:17. თბილისელთათვის ამაზე უფრო საგანგაშო დავით ბერიშვილის მეოთხე ჯარიმა გახლდათ. მის ნაცვლად შესულმა კიდევ ერთმა ლეგიონერმა მამიკონ სარქისიანმა კი, როგორც მატჩის მსვლელობამ გვიჩვენა, უკანასკნელად შეძლო „მაკაბის" დაწინაურება — 19:17. სტუმართაგან განსაკუთრებით ლევან ქარაბაკმა იაქტიურა და „ბასკო" პირველად დაწინაურდა სამი ქულით — 24:21. ფერიაშვილის ზუსტი თამაშის შემდეგ „მაკაბის" კიდევ ერთხელ შეეძლო წინ გასვლა, მაგრამ ბექა ნოზაძემ ორივე საჯარიმო გააცუდა. სამაგიეროდ, კვლავ ქარაბაკმა იყოჩაღა და სხვაობა ისევ სამ ქულამდე 26:23 გაზარდა.

შესვენების შემდეგ მოედანზე ლეგიონერების გარეშე გასულმა „ბასკომ" მეტოქეს შანსი არ დაუტოვა. განსაკუთრებით კი სასტარტოში უცხოელების ნაცვლად დაყენებულმა აბრამიძემ და ქარაბაკმა გამოიდეს თავი. „მაკაბის" მდგომარეობა უფრო უიმედო მაშინ გახდა, როდესაც მეთერთმეტე წუთზე დავით ბერიშვილმა ხუთი ჯარიმის გამო მოედანი დატოვა. ორიოდე წუთის შემდეგ დავითის ბედი მისმა ტყუპისცალმა ირაკლიმ გაიზიარა, რომელსაც ფეხი გადაუბრუნდა და დაახლოებით ორი კვირით გამოაკლდა თანაგუნდელებს. ბერიშვილების მოედნიდან გასვლის შემდეგ „მაკაბი" საბოლოოდ განწირული ჩანდა, რადგან სომეხი ლეგიონერი არ ჩანს ის კალათბურთელი, ტყუპი ბერიშვილების მაგივრობა გასწიოს.

მეორე ტაიმში იყო პერიოდი, როცა „ბასკო" 18 ქულითაც კი უგებდა მეტოქეს. „მაკაბი" მეტად ადრე შეურიგდა წაგებას, „ბასკომ" კი უპრობლემოდ მიიყვანა მატჩი გამარჯვებამდე.

სტატისტიკის მოყვარულთ ვაცნობებთ, რომ „ბასკო" — „მაკაბის" შეხვედრა პირველია საქართველოს ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში, როდესაც ორივე გუნდის რიგებში ლეგიონერმა ითამაშა. მეორეც — ისინი მოედანზე სამნი იყვნენ. ბელიაევისა და არხიპოვის საქართველოში გამოჩენით კი ეროვნულ ჩემპიონატში ნათამაშევ უცხოელთა რიცხვი ხუთამდე გაიზარდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, დაძაბული გამოდგა ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის შეხვედრის პირველი ტაიმი და მეორე ნახევრის პირველი ათი წუთი. შემდეგ კი რუსთაველი რამაზ გოგობერიშვილის სამქულიანებით გაბრუებული „ვითა" მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო „აზოტის" სასარგებლოდ.

მატჩის დასაწყისი რუსთაველებს კარგს არაფერს უქადდა. ისინი ძალიან დაბნეული გამოიყურებოდნენ და შედეგმაც არ დააყოვნა. მეცამეტე წუთისთვის „აზოტი" არც მეტი, არც ნაკლები, თექვსმეტ ქულას აგებდა — 16:32. „ვითა" კი ის გუნდი არ გახლავთ, ასეთი უპირატესობა უბრძოლველად დათმოს. ემოციებით ცნობილმა „აზოტმა" შეუძლებელი შეძლო და გუნდის კაპიტნის, რამაზ გოგობერიშვილის წინამძღოლობით პირველ ტაიმშივე შეძლო სხვაობის გაქვითვა. ტაიმის ბოლო წამებზე გოგობერიშვილმა ფარქვეშ ოსტატური თამაშის შემდეგ ბურთი კალათში რომ მოათავსა და ერთი საჯარიმოც გამოიყენა, „აზოტი" ორი ქულითღა ჩამორჩებოდა მეტოქეს. ანგარიშის გათანაბრება კი განგებამ მიხეილ ბერუაშვილს არგუნა — 44:44. ასე წავიდნენ გუნდები შესვენებაზე.

მეორე ნახევარი, როგორც უკვე ითქვა, კოშმარად გადაუქცია გოგობერიშვილმა ვითელებს. ჩემპიონებს რომ ბრძოლა არ ეშლებათ, ეს არაერთხელ დაუმტკიცებიათ, მაგრამ გოგობერიშვილი მართლაც შეუჩერებელი იყო. თუ „აზოტის" კაპიტანს სროლა არ მისდიოდა, რაც მეტად იშვიათად ხდებოდა, წიკლაურს აწვდიდა დალეჭილ პასებს, წიკლაურის წარუმატებლობის გამოსწორებას კი მუდამ ფარქვეშ მოფუსფუსე და საბრძოლველად შემართული ზვიად ბაბიაშვილი ცდილობდა, თან ძალიან მონდომებით. შედეგად კი მეორე ტაიმის მეთერთმეტე წუთის დასაწყისში თექვსმეტი ქულით მდევრის როლში მყოფი „აზოტი" ახლა ოცი ქულით (74:54) უგებდა მრისხანე მეტოქეს. შეიძლება მავანმა იკითხოს, „ვითას" ხომ არ ჩაეძინაო. მაგრამ როცა გუნდის კაპიტანი მამუკა ტურაშვილია მოედანზე, ვინ მისცემს ვითელებს მოდუნების საშუალებას. კაპიტანმა თითოეული თანაგუნდელი გაამხნევა, მაგრამ ირაკლი შანიძის, დავით უსტიაშვილისა და განსაკუთრებით კი გულივერ ახალკაცის ოსტატური თამაშის მიუხედავად, მაინც ვერ შეძლო მატჩის გადარჩენა და შეხვედრის ბოლო წუთები ფორმალობად იქცა.

დღითი დღე უმატებენ თამაშს ლევან მოსეშვილის შეგირდები და თუ ასე გააგრძელებენ, პლეი ოფში თამაში კი არა, შეიძლება მედალსაც კი გამოჰკრან ხელი. ფაქტია, რომ სულ რაღაც თვეების განმავლობაში, ექვსეულში შემავალ გუნდებთან შედარებით სუსტი შემადგენლობით, მოსეშვილმა კარგი კოლექტივის შექმნა შეძლო. ამჯერად სდასუ-მ პატარა საკალათბურთო გაკვეთილი ჩაუტარა მეტად გრძელი სკამის მქონე სტუ-ს, რომელსაც მიზნად არც მეტი, არც ნაკლები, ჩემპიონობა დაუსახავს.

ავადმყოფობის გამო ხანგრძლივი შესვენების შემდეგ სდასუ-ს რიგებში პირველად ითამაშა გიგი ნაცვლიშვილმა და თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა თანაგუნდელთა გამარჯვებაში. სტუდენტების სასტარტო ხუთეული, ნიკოლოზ ნოზაძესთან ერთად, რომელმაც შეცვლაზე ითამაშა, ნამდვილად ქებას იმსახურებს. რჩეულთა შორის რჩეულნი კი შოთა უძილაური და განსაკუთრებით გუნდის კაპიტანი ირაკლი ხოშტარია იყვნენ.

რაც შეეხებათ სტუ-ს კალათბურთელებს, მათ შორის ერთადერთი ნათელი წერტილი ლაშა ლოსაბერიძე გახლდათ. არა უშავდა ამროსი ორმოცაძეს, ხოლო დანარჩენები აშკარად სუსტად გამოიყურებოდნენ და თუ ასე გააგრძელეს, ჩემპიონობაზე რომ არაფერი ვთქვათ, პლეი ოფიც სანატრელი გაუხდებათ.

საქართველოს 9 ჩემპიონატი 1 ტური ექვსეული

## საუკეთესო მოთამაშე

### რამაზ გოგობერიშვილი

·აზოტი·



მურაზ ფილიპაშვილის ფოტო

*ვერის ბაღში შეკრებილ გულშემატკივართაგან რომელიმეს ძნელად თუ დაარწმუნებლით, რომ „აზოტთან" შეხვედრაში 16 ქულით დაწინაურებული „ვითა" თვითონ აღმოჩნდებოდა მდევრის როლში, თანაც 20 ქულით. როგორც მატჩის მსვლელობამ გვაჩვენა, სხვაგვარად ფიქრობდა ვიცე-ჩემპიონთა კაპიტანი და გუნდის ლიდერი რამაზ გოგობერიშვილი...*

**— რამაზ, რით ახსნით იმას, რომ პირველი ტაიმის დასაწყისში მეტოქეს თექვსმეტი ქულითაც კი ჩამორჩით?**

— პირველი ნახევრის პირველ ათ წუთში „აზოტი" მართლაც დაბნეულად გამოიყურებოდა და მიზეზი ჯერაც ვერ ამიხსნია. კომბინაციური თამაში რომ არ გამოგვივიდა, სამქულიანებზე გადავედით, მაგრამ ვერც ამან გაამართლა.

**— „აზოტის" თავდაპირველ წარუმატებლობას უიღბლობას აბრალებთ თუ...**

— იყო უიღბლობა, მაგრამ ამით სულაც არ მინდა, მეტოქის მიერ მოპოვებული უპირატესობა დავაკნინო. „ვითამ" ეს ძირითადად კარგი თამაშის ხარჯზე შეძლო.

**— აბა, როგორღა შეატრიალეთ თამაში პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე და მეორე ნახევრის დასაწყისში?**

— მე უიღბლობა ვახსენე, რომელიც, თუ საქმეს გულით აკეთებ, არ შეიძლება კაცს მუდამ უკან სდევდეს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენმა თავდადებამ ნაყოფი გამოიღო.

**— მონდომება ჩემპიონსაც არ აკლდა, მაგრამ...**

— ჩემი აზრით, ვითელებს დათვური სამსახური გაუწია თექვსმეტი ქულით დაწინაურებამ. ეტყობა, მათ ნაადრევად ირწმუნეს გამარჯვება და ოდნავ მოადუნეს ყურადღება.

**— დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ ბოლო მატჩებში თქვენი და ლევან წიკლაურის დუეტი ლამაზი კომბინაციებით გამოირჩევა. თავად შეთანხმდით თუ მთავარმა მწვრთნელმა დაგავალათ ეს?**

— რაც უნდა დაგეგმო და როგორც უნდა მოინდომო, თუ ნიჭი ხელს არ გიწყობს, კალათბურთში საწადელს ვერ მიაღწევ. წიკლაურს დიდებული ნახტომი აქვს და ბურთის კალათში ჩატენვაც ეხერხება. ასეთი მონაცემების მქონე კალათბურთელისთვის, აბა, პასს როგორ დავინანებ. თანაც უკვე ორჯერად ვარჯიშებზე გადავედით და კომბინაციების დასამუშავებლად საკმაო დრო გვაქვს.

**— „ბასკოს" დამმარცხებელი „ვითას" ძლევის შემდეგ ოქროს მედლის მოპოვების კანდიდატი ხომ არ გამოიკვეთა?**

— თქვენ გინდათ, რომ „აზოტი" დავასახელო?

**— ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, თქვენ რას ფიქრობთ.**

— მე აშკარა ფავორიტს ვერ ვხედავ. პლეი ოფში მოხვედრილ ნებისმიერ გუნდს აქვს ჩემპიონობის შანსი.

## რეგულარული ჩემპიონატი

NBA

24 მარტი

**სიეტლი 95:98 იუტა**

სიეტლი: პეიტონი (28), ბერი (9 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი), ლუისი (5), ბეიკერი (25), გრანტი (6); მაქსველი (18), ვილიამსი (4), ფოსტერი

იუტა: სტოქტონი (15 ქულა, 10 პასი, 6 ჩაჭრა), ჰორნაჩეკი (14), რასელი (18), მელოუნი (21 ქულა, 12 მოხსნა), პოლინაისი (10); ოსტერტაგი (7 ქულა, 12 მოხსნა), გილიამი (5), ეისლი 5), ლუისი (3), ვონი

24 მარტი

**ფილადელფია 117: 115 ბოსტონი**

(ძირითადი დრო 97:97)

ფილადელფია: აივერსონი (21), სნოუ (21)

ბოსტონი: პირსი (31)

**ტორონტო 84:102 შარლოტი**

ტორონტო: კარტერი (18)

შარლოტი: ჯონსი (25)

**ნიუ იორკი 95:83 ატლანტა**

ნიუ იორკი: სპრიუელი (30)

ატლანტა: ტერი (17)

**ნიუ ჯერსი 115:116 მინესოტა**

(ძირითადი დრო 108:108)

ნიუ ჯერსი: მარბერი (27), კიტლზი (27)

მინესოტა: გარნეტი (38)

**ორლანდო 112:96 ჰიუსტონი**

ორლანდო: არმსტრონგი (21)

ჰიუსტონი: ანდერსონი (35)

**მილუოკი 87:99 მაიამი**

მილუოკი: ალენი (36)

მაიამი: მურნინგი (24)

**ჩიკაგო 70:68 დენვერი**

ჩიკაგო: ბრენდი (26)

დენვერი: კლარკი (18)

**ლეიკერსი 109:101 ფინიქსი**

ლეიკერსი: ონილი (40)

ფინიქსი: ჰარდევეი (25)

**გოლდენ სტეიტი 83:96 პორტლენდი**

გოლდენ სტეიტი: ფარმერი (18)

პორტლენდი: სტუდემაიერი (26)

**საკრამენტო 113:103 დეტროიტი**

საკრამენტო: ვებერი (29)

დეტროიტი: ჰილი (35)

25 მარტი

**ატლანტა 70:86 შარლოტი**

ატლანტა: ჰენდერსონი (17)

შარლოტი: ჯონსი (24)

**დალასი 86:93 ვაშინგტონი**

დალასი: ნოვიცკი (18)

ვაშინგტონი: ვიტნი (29)

**სან ანტონიო 96:76 კლივლენდი**

სან ანტონიო: დანკანი (17)

კლივლენდი: მილერი (15)

**ვანკუვერი 75:84 იუტა**

ვანკუვერი: სკოტი (16)

იუტა: მელოუნი (25)

**კლიპერსი 107:126 დეტროიტი**

კლიპერსი: ნესბი (22)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (31)

26 მარტი

**ორლანდო 94:69 მაიამი**

ორლანდო: ატკინსი (20)

მაიამი: მურნინგი (14)

**ინდიანა 101:111 ფილადელფია**

ინდიანა: როუზი (19)

ფილადელფია: აივერსონი (35)

**ნიუ ჯერსი 110:112 დენვერი**

ნიუ ჯერსი: ნიუმენი (20), ვან ჰორნი (20)

დენვერი: ვან ექსელი (28)

**ჰიუსტონი 123:78 ჩიკაგო**

ჰიუსტონი: ვილიამსი (24)

ჩიკაგო: ბრენდი (24)

**მილუოკი 99:84 ბოსტონი**

მილუოკი: ალენი (27)

ბოსტონი: უოლკერი (22)

**მინესოტა 106:101 ტორონტო**

(ძირითადი დრო 87:87)

მინესოტა: გარნეტი (34)

ტორონტო: კარტერი (38)

**საკრამენტო 89:90 ლეიკერსი**

საკრამენტო: ვებერი (28)

ლეიკერსი: ონილი (34)

**ფინიქსი 90:82 გოლდენ სტეიტი**

ფინიქსი: ჰარდევეი (33)

გოლდენ სტეიტი: მარშალი (28)

**პორტლენდი 89:93 ნიუ იორკი**

პორტლენდი: პიპენი (20), სტუდემაიერი (20), ვოლესი (20)

ნიუ იორკი: იუინგი (19), სპრიუელი (19), ჰიუსტონი (19)

# პატივი ეცით მაკაბის!

საქართველოს ჩემპიონატი 2 ტური

ვერის ბაღი. 27 მარტი

**მაკაბი 77:74 აზოტი**

I ტაიმი 38:31

**მაკაბი:** დ. ბერიშვილი (12), ტალაბაძე (12), ბ. ნოზაძე (6), ფერიაშვილი (26), შენგელია (17); ხუხაშვილი (2), მჭედლიშვილი, დავარაშვილი (1), სარქისიანი, კრიხელი (1)

**აზოტი:** ა. ქლენტი (11), გაბისონია (3), გოგობერიშვილი (22), წიკლაური (19), ბაბიაშვილი (13); გოგოლაძე (6), ლ. ჩაჩუა, ჯიმშელეიშვილი

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, გია მოლოდინაშვილი

**კომისარი:** ნოდარ დარახველიძე

საქართველოს ჩემპიონატი 2 ტური

ვერის ბაღი. 27 მარტი

**ვითა 69:105 სტუ**

I ტაიმი 35:50

**ვითა:** უსტიაშვილი (6), ტურაშვილი (12), კოკოლიშვილი (14), ქევხიშვილი (2), ახალკაცი (17); ტ. ვაშაკიძე (5), გ. გაგნიძე, ჭიჭრაქაძე (2), ლაცაბიძე, პაპასკირი, შანიძე (11)

**სტუ:** თორთლაძე (20), დ. მოისწრაფიშვილი (9), ტულუში (17), ზ. ჩუბინიძე (15), ორმოცაძე (2); კორძაძე (5), სულაძე (7), ოთიურიძე (16), ლოსაბერიძე (2), მინაშვილი (6), მიქაძე (6)

**მსაჯები:** ზურაბ აბაშიძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

საქართველოს ჩემპიონატი 2 ტური

ვერის ბაღი. 27 მარტი

**სდასუ 69:82 ბასკო**

I ტაიმი 35:34

**სდასუ:** ხოშტარია (13), გ. ჩხეიძე (4), უძილაური (16), ლ. აბულაძე (8), მაჭარაძე (8); ნ. ნოზაძე (2), არჩვაძე (2), გ. ნაცვლიშვილი (16), სუხიშვილი

**ბასკო:** მაისურაძე (9), ბაქრაძე, ბეჟანიშვილი (13), ქარაბაკი (23), გ. კილაძე (13); ბელიაევი (2), კვაჭაძე, აბრამიძე (8), არხიპოვი, დავითულიანი (14)

**მსაჯები:** როლანდ გელოვანი, თემურ სადღობელაშვილი

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**გიორგი ბიკაშვილი**

**გუშინ** „ბასკომ" სტუდენტურ სდასუ-ს მოუგო, ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონი „ვითა" პირწმინდად შეარცხვინა ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა, ვიცე-ჩემპიონ „აზოტს" კი საგრძნობლად მოლონიერებულმა „მაკაბიმ" დააყრევინა ფარ-ხმალი. რას იტყვით, საიდან სჯობს დაწყება? ალბათ, ბოლოდან, რაკი დღის უმთავრეს მოვლენად სწორედ „მაკაბისგან" რუსთაველთა ძლევა უნდა ჩაითვალოს.




მაკაბი — აზოტი 77:74. აზოტელი ზვიად ბაბიაშვილი (№5) ალექსანდრე ფერიაშვილის (№14) და კახა შენგელიას წინააღმდეგ

მავანმა ეგებ ისიც შეგვახსენოს, ეგ „აზოტი" „მაკაბიმ" მეორე წრეშიც დაიფრინაო, მაგრამ ამგვარი ლაპარაკი, თანაც ასეთ დროს, არაფრით შეიძლება. განა მაშინდელი და ეს ერთია? ამ და იმ გამარჯვებას ერთი ფასი აქვს „მაკაბისთვის"? — ცხადია, არა.

„მაკაბი" გვაოცებს. ერთი ჩვეულებრივი გუნდი იყო და ახლა ისე მრისხანებს, ბევრს დაუფრთხო ძილი. დრო იყო, სათვალავში არ აგდებდნენ, დღეს უკვე კრძალვით ეპყრობიან.

ლაპარაკი — „აზოტი" ზედმეტად თავს არ იწუხებს, ხელს ბოლოსკენ გამოიღებს და საწადელსაც მიაღწევსო — ლაპარაკად დარჩა. საქმე საქმეზე რომ მიდგა, ველარ გამოიჩინა ფხა „აზოტმა", ვიცე-ჩემპიონთა ყველა ცდა — თავისკენ გადმოეხარა სასწორი — ამაო გამოდგა.

თვალნათლივ გამოჩნდა, თუ რა ძალას წარმოადგენს რუსთაველთათვის მიხეილ ბერუაშვილი. „აზოტის" სიცხიანი ცენტრი მთელი შეხვედრის მანძილზე სათადარიგოებში იჯდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ოთარ ხმელიძის გუნდს დაცვაში თავიდანვე ცუდად წაუვიდა საქმე. ვერ ვიტყვით, რომ „აზოტი" ფარზე დაეჩაგვრინა მეტოქეს, უბრალოდ, ბერუაშვილის არყოფნაში დაცვითი თამაში ვერ მოაწესრიგა.

ყოველივეს ისიც დაერთო, რომ პირველ ტაიმში თამაში არ გამოსდიოდა რუსთაველთა ლიდერს, რამაზ გოგობერიშვილს, მას არაერთი ნასროლი გაუცუდდა და შესვენებამდე მხოლოდ ორი ქულა გააკეთა. „აზოტის" ბედად წიკლაური და, განსაკუთრებით, ბაბიაშვილი მარჯვობდნენ ფარქვეშ, თორემ მეორე ტაიმისთვის „მაკაბი" გაცილებით უფრო სოლიდურ ფორას შეიქმნიდა.

ტყუპისცალ ირაკლის არყოფნაში (მან წინა დღეს ფეხი იტკინა) დავით ბერიშვილი თავიდან ცოტა მოწყენილი ჩანდა, მერე და მერე ალლო აუღო უკანა ხაზში ძმის გარეშე თამაშს და მაკაბელთა შეტევებიც უფრო ორგანიზებული გახდა. დათოს არც თავისი გუნდის სიმაღლეში უპირატესობა გამორჩა მხედველობიდან და ფარქვეშ გადაიტანა თამაში, იქ კი ფერიაშვილი და შენგელია მოქმედებნენ შეხმატკბილებულად.

მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როცა დავით ტალაბაძემ ზედიზედ ორჯერ ივარგა შორიდან და „მაკაბი" 13 ქულით დააწინაურა. მომდევნო ორწუთიან მონაკვეთში 8 ქულა გააკეთა გოგობერიშვილმა, მისმა გუნდმა 10:0 მოიგო და თამაშიც გათანაბრდა.

ამის შემდეგ ფერიაშვილი გახდა შეუჩერებელი. გამოცდილი „ფერო" რუსთაველთა შეცდომებს ჩაუსაფრდა და თითქმის ყველა ხელსაყრელი სიტუაცია ლოგიკურ დასასრულამდე მიჰყავდა.

კვლავაც გოგობერიშვილის წყალობით „აზოტმა" შეძლო და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე რამაზმა მეხუთე, ერთი შეხედვით საეჭვო ჯარიმა მიიღო და მოედანი დატოვა.

„აზოტს" მატჩის გადარჩენის შანსი მას შემდეგ გაუჩნდა, როცა ბოლო წუთზე „მაკაბიმ" 30 წამის წესი დაარღვია. თავის მხრივ რუსთაველებმაც ხანგრძლივად ათამაშეს ბურთი და 7 წამით ადრე შეუტიეს. ბურთი ვანო გოგოლაძემ ფარქვეშ მოიხელთა, თითქოს ორი ქულაც გარდაუვალი იყო, მაგრამ აღელვებული გოგოლაძე ელემენტარულად შეცდა, გარბენი გააკეთა, რაც მსაჯებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. ქლენტმა ეშმაკობა იხმარა და არბიტრს შეგნებულად დასტყუა ტექნიკური ჯარიმა, რათა „აზოტს" კიდევ ერთი შეტევის განხორციელება მოესწრო. ფერიაშვილმა შეიფერა და ორივე საჯარიმო ჩააგდო. ბოლო წამზე, გაბისონიას იძულებით ნასროლმა სამიანმა კი მიზანს ვერ უწია.

წინა დღით სტუ-სთან ბრძოლაგადახდილი სდასუ მედგრად დაუხვდა გათამაშების ლიდერ „ბასკოს". ბათუმელთა მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ ხუთეულში ირაკლი ბაქრაძე გაამწესა, რომელსაც სტუდენტთა სახიფათო უკანახაზელის, ირაკლი ხოშტარიას გაუვნებლება დააკისრა. მატჩის დებიუტი თანაბარი იყო, ოდნავ მოგვიანებით კი მოსეშვილის გუნდის უპირატესობა გამოიკვეთა.

„ბასკო" უკბილოდ უტევდა, კალათბურთელები მუდმივ მოძრაობაში იყვნენ, მაგრამ ბათუმელთა რიგებში არ მოიძებნა ისეთი მოთამაშე, რომელიც გუნდის შეტევებს ორგანიზებულ სახეს მისცემდა და თანაგუნდელებს თამაშს უკარნახებდა.

ისე ჩანდა, რომ ტომარაძის მითითებით ეს ფუნქცია ბაქრაძეს უნდა ეტვირთა და არა მაისურაძეს, რომელიც ფრთაზე ირჯებოდა. ამან აშკარად არ გაამართლა, ბაქრაძეს ბევრი გადაცემა ჩაუჭრეს სდასუელებმა, მაისურაძეც უჩვეულოდ პასიური იყო.

თითქმის სამი წუთის მანძილზე ზღვისპირელებმა ბურთი ვერ ჩააგდეს, სდასუ-მ კი ზედიზედ 10 ქულა გააზერხა და წინ გაიჭრა — 16:8. ტომარაძემ ნაცად ხერხს მიმართა, ამჯერად აბრამიძეს უხმო მოედანზე და გამთამაშებლობა სწორედ მას დაავალა. ამან მოგვიანებით გამოიღო ნაყოფი, მამუკამ „ბასკოს" თამაში დაალაგა და მეტად დაასაქმა წინა ხაზი, რაც ნელნელა ანგარიშშიც აისახა. ხანგრძლივი ჩამორჩენის შემდეგ ტაიმის მიწურულს „ბასკო" აბრამიძემ დააწინაურა — 30:29. ეს ასე არ იქნებოდა, სდასუ-ს მეტად რომ ეყოჩაღა ფარქვეშ, საჰაერო ორთაბრძოლებში „ბასკომ" აშკარად დაჩაგრა სტუდენტური გუნდი, გაცუდებული შეტევის შემდეგ ზღვისპირელებისთვის ბურთის მოხელთება სირთულეს არ წარმოადგენდა და მათაც შეტევის მორიგი შესაძლებლობა ეძლეოდათ.

უფრო და უფრო უჭირდა სდასუ-ს მეტოქის შევიწროვება, თუმც ბათუმური მატჩის მსგავსად, ტაიმი მაინც თავის სასარგებლოდ დაასრულა. საკითხავი ისლა იყო, კიდევ რამდენ ხანს გაუძლებდა მოსეშვილის გუნდი ბათუმელთა ზეწოლას.

მეორე ტაიმში სტუდენტებს აშკარად დალლა დაეტყოთ, ამიტომაც მათ საგრძნობლად დააგდეს თამაშის ტემპი, რადგან სისწრაფეში აყოლა ფიზიკურად უფრო ძლიერ „ბასკოს" წისქვილზე დაასხამდა წყალს. სდასუ-მ მოახერხა და სასურველი ტემპი მოახვია თავს მეტოქეს, რის შედეგადაც ლიდერობას ინარჩუნებდა. ამის შემდეგ მაისურაძემ იფეთქა და ერთი და იმავე ადგილიდან ორი მეტისმეტად საჭირო სამიანი ჩააგდო, ამან ლევან ქარაბაკი შეაგულიანა, იგი ერთთავად მეტოქის ფარზე დაიგეშა და ამ ეპიზოდის შემდეგ სულ მთლად შეუჩერებელი გახდა.

ახლა უკვე „ბასკო" საბოლოოდ მოსწყდა მეტოქეს, მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე კი სხვაობამ 11 ქულასაც უწია — 67:56. შეხვედრას წერტილიც იქვე დაესვა, სულ რაღაც ერთ წუთში ხუთი ჯარიმით ერთმანეთს მიყოლებით ჩხეიძე, ხოშტარია და მაჭარაძე რომ გავარდნენ, საკითხავიც აღარაფერი დარჩა.

სტუ-ს წინააღმდეგ ჩემპიონ „ვითას" აშკარად ჩაუვარდა თამაში. იმდენად, რომ არსებობის ისტორიაში ყველაზე დიდსხვაობიან მარცხს გამოჰკრა ხელი. თავად ანგარიში ყველაფერზე მეტყველებს.

საქართველოს ჩემპიონატი 2 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 24 | 23 | 1 | 2268:1800 | 47 |
| აზოტი | 24 | 19 | 5 | 2196:1817 | 43 |
| სტუ | 24 | 17 | 7 | 2151:1756 | 41 |
| სდასუ | 24 | 16 | 8 | 1995:1842 | 40 |
| ვითა | 24 | 15 | 9 | 2034:1938 | 39 |
| მაკაბი | 24 | 14 | 10 | 2029:1790 | 38 |

საქართველოს ჩემპიონატი 2 ტური

## საუკეთესო მოთამაშე

### ლევან ქარაბაკი

**-ბასკო-**




*პირველ ტურში სტუ-სთან გამარჯვებით ფრთაშესხმულმა სდასუ-მ ურთულესი პრობლემის წინაშე დააყენა ოქროს მედლების მოპოვების ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი ბათუმის „ბასკო" და ტაიმი მოუგო. ზღვისპირელებმა მხოლოდ შესვენების შემდეგ შეძლეს სტუდენტების წინააღმდეგობის დაძლევა. მოედანზე საუკეთესო იყო „ბასკოს" თავდამსხმელი ლევან ქარაბაკი, რომელმაც საკუთარი ფარი საიმედოდ გადაკეტა და შეტევაშიც 23 ქულით ყველაზე შედეგიანი იყო.*

**— ლევან, მიმდინარე ჩემპიონატში, შესვენებამდე ორჯერ აღმოჩნდა „ბასკო" მდევრის როლში და ორჯერვე სდასუ-სთან შეხვედრაში. როგორ ფიქრობთ, შემთხვევით აგებდით ტაიმებს სტუდენტებთან თუ „სდასუ" „ბასკოსთვის" უხერხულ მეტოქედ ითვლება?**

— არ ვიცი, მაგ თემაზე არ მიფიქრია. უხერხული მეტოქე რომ იყოს, მეორე ტაიმი უფრო დაძაბული უნდა ყოფილიყო.

**— მაშინ რატომ ვერ ახერხებდით შესვენებამდე უპირატესობის მოპოვებას?**

— სდასუ პლეი ოფში მოხვედრის ერთ-ერთ კანდიდატად ითვლება და მის შეუფასებლობაზე საუბარიც კი ზედმეტია. სტუდენტები განსაკუთრებით კარგად თამაშობდნენ დაცვაში და ამიტომ გაგვიწიეს სერიოზული წინააღმდეგობა.

**— თქვენი აზრით, რატომ დათმო სდასუ-მ მეორე ტაიმი?**

— ფიზიკური გამძლეობით ვაჯობეთ. მეორე ტაიმის მეორე ნახევარში სდასუც იმდენად გადაიღალა, რომ სერიოზულ წინააღმდეგობას ვეღარ გვიწევდა.

**— როდის დარწმუნდით, რომ სდასუ „ბასკოს" მომგები აღარ იყო?**

— ეჭვი არც პირველ ტაიმში შემპარვია. ირაკლი ხოშტარიას და შოთა მაჭარაძის ხუთი ჯარიმის გამო მოედნიდან გასვლის შემდეგ კი აშკარა გახდა, რომ სდასუ „ბასკოს" მომგები აღარ იყო.

**— საიდან ასეთი თვითდაჯერება. თქვენ ხომ ერთხანს ათი ქულითაც კი აგებდით შეხვედრას.**

— მთელი სეზონის მანძილზე „ბასკოს" ორჯერადი ვარჯიშები და შეკრებები მაძლევდა იმის იმედს, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა.

**— თქვენ კარგა ხანს ავადმყოფობდით. ამჯერად თავს როგორ გრძნობთ?**

— გრიპის გამო დაახლოებით ერთ თვეს არ მივარჯიშია და ბოლომდე ჯერაც არ გამოვჯანმრთელებულვარ.

**— როგორია თქვენი პროგნოზი, რომელ გუნდებს აქვთ ყველაზე მეტი შანსი, რომ ფინალში ითამაშონ?**

— „აზოტს" და „ბასკოს".

**— თქვენი აზრით, რამ შეიძლება ხელი შეუშალოს „ბასკოს" გაჩემპიონებაში?**

— აზოტელები დიდი ხანია, ერთად თამაშობდნენ, ჩვენ კი ერთი წელიც არ არის, რაც ერთად ვართ.

# სამუელ ღარიბი გამდიდრდა



სამუელ კიპკეტერმა (მარცხნივ), ძმამ უილსონისა, მსოფლიოს რეკორდთან ერთად 25 ათასი დოლარიც დაისაკუთრა

ამერიკელი ორგზის მსოფლიოს რეკორდსმენი, მაიკლ ჯონსონი 20 მარტს დაიქადნა და 24 მარტს აასრულა. პირველი ამბავი სამხრეთაფრიკულ იოჰანესბურგში მოხდა, სადაც ჯონსონმა ჟურნალისტებს გაანდო, 300 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდს დავამყარებო. ორიოდე დღეში ამერიკელმა ოდნავ ჩრდილოეთით აინაცვლა და პრეტორიაში მიმდინარე მსხვილ საერთაშორისო ტურნირზე ახალი მიღწევის ავტორიც გახდა. სტატისტიკის მოყვარულები იმასაც შეამჩნევენ, რომ მისი შედეგი — 30,85 წამი — პირველად ჩამოსცდა 31-წამიან ზღვარს (წინა რეკორდი 31,48 წამი გახლდათ) და რაც უეჭველად ისტორიაში შესატანია, ჯონსონი გახდა პირველი კაცი, ვისაც საერთოდ აფრიკის მიწაზე რაიმე მსოფლიოს რეკორდი დაუმყარებია. ჯონსონი თავიდან კი ამბობდა 300 მეტრისთვის სპეციალური სტრატეგია უნდა შევიმუშავოო, მაგრამ, სამხრეთ აფრიკის დედაქალაქში ისე ირბინა, როგორც 200 მეტრზე და მაინც გამარჯვებული დარჩა.

300 მეტრი იშვიათი დისტანციაა, მას ოლიმპიადებზე არ აჭაჭანებენ და არც რეკორდების ოფიციალური აღრიცხვა ხდება, მაგრამ ამას ჯონსონისთვის ხასიათი არ გაუფუჭებია. მას მაყურებლების მხარდაჭერა ძალიან ესიამოვნა და ისიც აღნიშნა, რომ თავს სულ უფრო და უფრო დამაჯერებლად გრძნობს. „მას შემდეგ, რაც წვრთნას შევუდექი, ჩემი პროგრესი აშკარაა, ოღონდ ჯანმრთელობამ არ მიღალატოს და სიდნეიში რასაც ვიზამ, მე ვიცი" — განაცხადა ჯონსონმა, რომელიც საოლიმპიადოდ, ამჯერად, 200 და 400 მეტრიან დისტანციებზე ივარჯიშებს.

კიდევ ერთი ექსტრავმირებული გამოირჩა პრეტორიაში. შუბის მტყორცნელმა, ჩეხმა მსოფლიოს რეკორდსმენმა იან ჟელეზნიმ ლავიწის მოშუშების შემდეგ პირველად გადააცილა შუბი 90-მეტრიან ნიშნულს და, ჯონსონისა არ იყოს, მომავლის ფრიად ეიმედება. „თუ ასე გავაგრძელე, სიდნეიშიც მოვიგებ" — ეს მისი სიტყვებია.

მომდევნო მსოფლიოს რეკორდის ამბავი კარლსბადიდან მოვიდა და იგი კიპკეტერს ეკუთვნის, ოღონდ არც კარლსბადია გერმანიის ქალაქი, როგორც აქამდე ვიცოდით და არც კიპკეტერი გახლავთ უილსონის სახელით ცნობილი ტიტულიანი შავი დანიელი მორბენალი. რეკორდი ამერიკულ კარლსბადში დამყარდა, ხოლო ავტორი დიდი კიპკეტერის უმრწემესი ძმა გახლავთ. 18 წლის სამუელ (სემი) კიპკეტერმა 5000-მეტრიან დისტანციაზე არსებულ მიღწევას, გუშინ, მთელი 12 წამი ჩამოაკლო და იგი 13 წუთამდე დაამრგვალა. კიპკეტერი შედეგით კმაყოფილი ჩანდა, უფრო იმიტომ, რომ გამარჯვებამ ერთი-ორი კაპიკიც მოუტანა — 15 ათასი დოლარი გამარჯვებისთვის მისცეს და 10 ათასიც რეკორდისთვის დაურთეს.

ძალიან კარგად ვგრძნობ თავსო, თქვა გულაჩუყებულმა კენიელმა და თვისტომებმაც მხრებზე მუშტები მხიარულად რომ აუბრაგუნეს, ლამის ატირდა. სხვათა შორის, არც მის თანამემამულეებს შეურცხვენიათ თავი, მომდევნო ოთხი ადგილიც კენიელებს დარჩათ, ისევე როგორც შორს, ლისაბონში გამართული ნახევარმარათონის პირველობა და მსოფლიოს რეკორდი. პორტუგალიაში პოლ ტერგატმა იხეირა, როცა 13,1 მილი 59 წუთსა და 5 წამში დაფარა და თავისსავე ორწლიან რეკორდს 12 წამი ჩამოაჭრა. წინა რეკორდი კინაღამ გააუმჯობესა სამხრეთაფრიკელმა ჰენდრიკ რამაალმაც, რომელიც ტერგატს ჩამორჩა, ოღონდ ამისთვის მას 100-ათასიან პრემიას ვინ მისცემდა, სულ კაპიკ-კაპიკ ტერგატს ჩაუთვალეს. კენიელის გამარჯვების სამართლიანობაში ეჭვი არავის შეუტანია, მაგრამ მასმედიამ ის ფაქტი მაინც მონიშნა, რომ ტერგატის ერთი უპირველესი კონკურენტი, მარათონში მსოფლიოს რეკორდსმენი მაროკოელი ხალიდ ხანოუჩი ავიაციამ დაალალატა და ნიუ იორკიდან ლისაბონს მხოლოდ რბენის წინადღეს უწია გვარიანად გასავათებულმა. ხანოუჩი ფინიშზე მეექვსე იყო, საათზე მეტი დახარჯა.

დაბოლოს, კენიურ თემას განვავრცობთ და აქვე გეტყვით, რომ ლისაბონში ქალთა ნახევარმარათონი მოიგო დიდებულმა ტეგლა ლორუპემ, მას 1 საათი, შვიდი წუთი და 24 წამი დასჭირდა ფინიშის გადასაკვეთად, ოღონდ ეს რეკორდი არ ყოფილა.

**დავით გულუა**



მაიკლ ჯონსონი



ტეგლა ლორუპე

## ჰოკეი

24 მარტი

**აილენდერსი — ნიუ ჯერსი 2:8**

0:3 1:2 1:3

0:1 სიკორა 8'23 (22), 0:2 ელიაში 11'19 (32); 0:3 მაკეი 16'15 (16); 0:4 ჰოლიკი 25'26 (23); 0:5 ელიაში 28'77 (33); 1:5 კონოლი 31'17 (14); 1:6 სიკორა 47'37 (13); 1:7 მოგილნი 51'09 (22); 2:7 ე. კოროლიოვი 52'28 (1); 2:8 უაიტი 53'40 (1)

**სან ხოსე — ფინიქსი 5:1**

1:1 2:0 2:0

1:0 რიჩი 4'04 (19); 1:1 ნუმინენი 15'18 (8); 2:1 ფრიზენი 29'15 (26); 3:1 მატო 31'28 (11); 4:1 გრენტო 53'13 (6); 5:1 რიჩი 59'54 (20)

**ვანკუვერი — ანაჰაიმი 8:1**

1:0 4:1 3:0

1:0 შეფერი 6'37 (14); 1:1 კარია 20'27 (38); 2:1 შეფერი 31'07 (15); 3:1 მესიე 34'09 (15); 4:1 კუკი 38'22 (5); 5:1 კესელსი 39'18 (15); 6:1 ნესლუნდი 43'44 (25); 7:1 ბერტუცი 57'04 (21); 8:1 ბერტუცი 58'57 (22)

**დალასი — ჩიკაგო 5:1**

0:1 1:0 4:0

0:1 გრომეკი 18'01 (13); 1:1 კონი 33'50 (10); 2:1 მოდანო 48'17 (35); 3:1 ნუინდაიკი 48'44 (13); 4:1 ლანგენბრუნერი 58'50 (18); 5:1 კინი 59'18 (11)

**ატლანტა — პიტსბურგი 3:5**

1:2 1:2 1:1

0:1 სტრაკა 1'29 (18); 0:2 ლანგი 7'44 (21); 1:2 სილვესტრი 8'24 (15); 1:3 ფალუნი 25'57 (9); 2:3 ტრამბლე 28'09 (10); 2:4 კოვალიოვი 31'16 (22); 3:4 გუოლა 47'08 (10); 3:5 ბერანეკი 57'25 (12)

**ტამპა — სენტ ლუისი 1:5**

0:3 0:2 1:0

0:1 ბარტესკო 3'19 (16); 0:2 მაკინისი 7'54 (10); 0:3 რიშე 17'40 (15); 0:4 პელერინი 22'07 (7); 0:5 მაკინისი 36'09 (11); 1:5 პრიმო 59'44 (6)

25 მარტი

**ბოსტონი — ლოს ანჯელესი 4:4**

1:1 3:0 0:3 0:0

0:1 რობიტაილი 11'23 (35); 1:1 სავაჟი 15'07 (7); 2:1 ჰაინცი 23'17 (10); 3:1 ჰაინცი 33'40 (11); 4:1 როლსტონი 38'05 (15); 4:2 გ. მიურეი 40'48 (25); 4:3 კორკამი 48'07 (4); 4:4 გ. მიურეი 59'39 (26)

**ოტავა — ვაშინგტონი 3:4**

2:2 1:1 0:1

0:1 იეიკი 10'05 (10); 0:2 საკო 13'30 (5); 1:2 ვან ალენი 15'24 (8); 2:2 დაინინი 17'52 (8); 3:2 ჟიუნო 20'47 (12); 3:3 გონჩარი 28'13 (18); 3:4 ბონდრა 47'08 (21)

**ტორონტო — ნიუ ჯერსი 5:3**

2:2 3:1 0:0

0:1 მედენი 6'20 (14); 0:2 სიკორა 6'51 (24); 1:2 ბერეზინი 11'03 (23); 2:2 ველკი 15'30 (10); 2:3 მედენი 32'08 (15); 3:3 ბერეზინი 33'47 (24); 4:3 ტაკერი 35'17 (20); 5:3 ანტროპოვი 38'45 (11)

**ფლორიდა — მონრეალი 4:2**

2:0 2:0 0:2

1:0 პ. ბურე 13'33 (53); 2:0 ბერი 18'31 (7); 3:0 პ. ბურე 21'38 (54); 4:0 ჰიკსი 37'27 (1); 4:1 ჟოლტოკი 46'29 (24); 4:2 ლინდი 59'28 (4)

**ნეშვილი — კალგარი 1:2**

0:1 0:1 1:0

0:1 კოუენი 7'15 (4); 0:2 ვარლამოვი 32'59 (1); 1:2 სვრასტინში 44'42 (5)

**ედმონტონი — ვანკუვერი 2:3**

1:0 0:1 1:2

1:0 უეიტი 3'48 (18); 1:1 დრაკენი 20'52 (6); 1:2 ბერტუცი 44'21 (23); 2:2 მორო 50'43 (16); 2:3 ნესლუნდი 54'24 (26)

26 მარტი

**ჩიკაგო — სენტ ლუისი 1:1**

1:0 0:0 0:1 0:0

1:0 ამონტე 1'49 (39); 1:1 პრონგერი 57'59 (13)

**დალასი — კოლორადო 1:2**

1:0 0:1 0:0 0:1

1:0 მოდანო 6'02 (36); 1:1 საკიკი 35'02 (27); 1:2 ჰეიდუკი 63'17 (32)

**დეტროიტი — რეინჯერსი 8:2**

1:1 5:0 2:1

1:0 ლაპოინტი 3'12 (13); 1:1 ლიჩი 6'17 (7); 2:1 შენაჰანი 26'20 (39); 3:1 აიზერმანი 27'24 (33); 4:1 ფიოდოროვი 28'42 (25); 5:1 ლაპოინტი 32'21 (14); 6:1 ლაპოინტი 35'24 (15); 7:1 ჰოლმსტრიომი 46'51 (12); 7:2 გრეივსი 53'34 (22); 8:2 ლიდსტრიომი 54'04 (19)

**ფილადელფია — პიტსბურგი 3:1**

0:0 2:1 1:0

0:1 ბრაუნი 26'41 (9); 1:1 ბერუბი 31'24 (2); 2:1 პრიმო 38'42 (5); 3:1 რეკი 59'15 (25)

**კაროლინა — აილენდერსი 4:1**

0:0 2:1 2:0

0:1 ჩერკავსკი 26'18 (29); 1:1 რობერტსი 34'18 (19); 2:1 კრონი 35'58 (12); 3:1 ფრენსისი 46'20 (22); 4:1 რობერტსი 56'02 (20)

**ტამპა — მონრეალი 1:3**

0:1 1:0 0:2

0:1 ზუბრუსი 18'34 (13); 1:1 ჰოლცინგერი 36'42 (8); 1:2 ბრისბუა 46'35 (6); 1:3 გ. მიურეი 46'48 (27); 1:4 ლაპერიე 59'49 (7)

**ანაჰაიმი — ფინიქსი 4:3**

1:3 1:0 1:0 1:0

0:1 ჰოგი 1'02 (3); 0:2 ლეტოვსკი 9'36 (18); 1:2 სელიანე 17'26 (29); 1:3 ადამსი 17'53 (16); 2:3 სელიანე 23'48 (30); 3:3 ოლაუსონი 41'17 (15); 4:3 ტვერდოვსკი 63'47 (15)

### სატურნირო ვითარება

ალმოსავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *ნიუ ჯერსი* | 76 | 42 | 8 | 5 | 26 | 235:188 | 97 |
| *ვაშინგტონი* | 75 | 41 | 11 | 1 | 23 | 207:176 | 94 |
| *ტორონტო* | 75 | 41 | 7 | 3 | 27 | 229:203 | 92 |
| *ფილადელფია* | 75 | 40 | 12 | 3 | 23 | 217:166 | 95 |
| *ფლორიდა* | 75 | 40 | 5 | 5 | 30 | 223:191 | 90 |
| *ოტავა* | 74 | 37 | 11 | 2 | 26 | 221:190 | 87 |
| *პიტსბურგი* | 75 | 32 | 8 | 6 | 35 | 222:220 | 78 |
| მონრეალი | 76 | 32 | 9 | 3 | 35 | 178:179 | 76 |
| ბუფალო | 75 | 31 | 10 | 3 | 34 | 195:195 | 75 |
| კაროლინა | 75 | 32 | 10 | 0 | 33 | 201:202 | 74 |
| რეინჯერსი | 77 | 29 | 11 | 3 | 37 | 214:227 | 72 |
| ბოსტონი | 75 | 23 | 18 | 6 | 34 | 193:224 | 70 |
| აილენდერსი | 76 | 22 | 8 | 1 | 46 | 180:260 | 53 |
| ტამპა | 74 | 17 | 8 | 6 | 47 | 182:278 | 49 |
| ატლანტა | 74 | 13 | 7 | 4 | 54 | 153:281 | 37 |

დასავლეთ კონფერენცია

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| *სენტ ლუისი* | 75 | 48 | 10 | 0 | 17 | 229:147 | 106 |
| *დალასი* | 75 | 41 | 8 | 5 | 26 | 193:166 | 95 |
| *კოლორადო* | 76 | 36 | 11 | 1 | 29 | 215:191 | 84 |
| *დეტროიტი* | 76 | 45 | 9 | 2 | 22 | 256:195 | 101 |
| *ლოს ანჯელესი* | 76 | 36 | 10 | 4 | 30 | 233:218 | 86 |
| *ფინიქსი* | 75 | 35 | 7 | 3 | 33 | 215:213 | 80 |
| სან ხოსე | 75 | 32 | 9 | 7 | 34 | 212:200 | 80 |
| ედმონტონი | 75 | 28 | 16 | 8 | 31 | 205:194 | 80 |
| ანაჰაიმი | 77 | 32 | 12 | 2 | 33 | 203:214 | 78 |
| ვანკუვერი | 76 | 28 | 14 | 8 | 34 | 210:219 | 78 |
| კალგარი | 76 | 30 | 9 | 5 | 37 | 196:236 | 74 |
| ჩიკაგო | 75 | 29 | 9 | 2 | 37 | 221:231 | 69 |
| ნეშვილი | 76 | 26 | 7 | 7 | 43 | 189:223 | 66 |

*შენიშვნა: ახალი წესის თანახმად, ოვერტაიმში მარცხის შემთხვევაში წაგებული გუნდი 1 ქულას მაინც იღებს ძირითად დროში მიღწეული ფრის ხარჯზე, რაც ცხრილის მეოთხე გრაფაშია აღნიშნული. პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები იმყოფებიან.*

*დახრილი შრიფტით აღნიშნულია პლეი ოფში გასული გუნდები*

**გერმანია**

მეორე ბუნდესლიგა

XXIV ტური

ქემნიცი 1:2 კოტბუსი

**იტალია**

სერია B

XXVIII ტური

ბრეშა 5:1 პესკარა

**ინგლისი**

პირველი დივიზიონი

XXXVIII ტური

ბარნსლი 3:0 გრიმსბი

**იყიდება**

ოროთახიანი ბინა დიღმის მასივში, გაზით, ტელეფონით, 30 კვ. მეტრი მიშენებით. 1 სართული, საგარაჟე ადგილით. სარდაფით. მისამართი: დიღმის მასივი, მე-4 კვარტალი მე-19 კორპუსი.
დაგვიკავშირდით: 8 99 51-15-19; 95-88-61; 52-68-90

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli